ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი

სპორტული გაზეთი · სამშაბათი 10 დეკემბერი 2002 №235 (1757) · ფასი 50 თეთრი

## ანჩელოტიმ კახა კალაძე გლადიატორებს გაარიდა

ამ უქმეებზე იტალიური სერიის გამორჩეულ მატჩში „რომას" გლადიატორებთან , რომელში გამარჯვებაც „მილანისთვის" ლიდერობის მომტანი აღმოჩნდა, კახა კალაძეს არ უთამაშია. ქართველი ტრავმას იშუშებს, ფაქტობრივად, მოიშუშა კიდეც და აუცილებლობის ჟამს ეგებ სათადარიგოდ მაინც ჰყოლოდათ, მაგრამ ჩემპიონთა ლიგაში „დორტმუნდთან" ხვალინდელი მატჩის წინ კარლო ანჩელოტიმ გადაწყვიტა, კალაძის საბოლოო გამოჯანმრთელებას დალოდებოდა.

ინგლისურ პრემიერლიგაში მთავარი ამბავი, ცხადია, „მანჩესტერისგან" „არსენალის" ძლევა იყო. თუ ყველაზე თვალსაჩინო თამაშზე მიდგა საქმე, „ევერტონი" — „ჩელსი" უნდა გამოვარჩიოთ, მაგრამ, თქვენი ნებართვით, ალან შირერის გვიანი გოლიც ვახსენოთ, რომლითაც „ნიუკასლმა" „ასტონ ვილა" დაამარცხა — ვინ მოთვლის, მერამდენედ მოაგებინა ბებერმა დიდმეგოლემ თავის გუნდს. სწორედ ამიტომაც, „ნიუკასლს" მეტად გაუჭირდება დღეს „კამპ ნოუზე" „ბარსელონასთან" სალიგო მატჩში, მით უფრო, კატალონიელთა შედეგიანობას თუ გავიხსენებთ — ცხრა სალიგო მატჩში ცხრა გამარჯვება. და დღეს არ ექნება მნიშვნელობა იმას, რომ პრიმერადივიზიონში „ბარსელონა" საკუთარ თავს არ ჰგავს, აგერ, „რაიო ვალეკანოსთანაც" დამარცხდა და სადღაც ცხრილის შუაგულში გაჩხერილა. და კიდევ, „ნიუკასლი" ბარსელონაში იქაურთა ყოფილმა დამრიგებელმა ჩაიყვანა — ბობი რობსონი „კამპ ნოუს" რაინდის წოდებით უბრუნდება.

ეს ყველაფერი კი იმისთვის ვთქვით, რომ შეგვეხსენებინა, დღეს და ხვალ ჩემპიონთა ლიგაში წლეულს ბოლო ტურია. რვა მატჩიც და ლიგა, ვისთვის სამწუხაროდ, ვისთვის კი არც ისე, თებერვლამდე შეებულებას აილებს.



REUTERS

მანჩესტერი — არსენალი 2:0. ამ თამაშს „მეთოფეთა" მეკარე რამი შაბანი ემსხვერპლა და დღეს ჩემპიონთა ლიგის მატჩში ვალენსიელთა შეტევებს დევიდ სიმენი დაუხვდება

## იბეროამერიკული გოლი იბერიულად



ლოკომოტივი — მერანი 1:0. რაფაელ გალიარდო ბევრს კი ეცადა, მაგრამ ერთადერთი გოლი მისმა თანამემამულე დიეგო გონსალესმა გაიტანა

ეროვნულ ჩემპიონატში პირველი ეტაპის ბოლოსწინა ტური გაიმართა. ჩემპიონობისთვის მებრძოლ და უმაღლეს ლიგაში დარჩენაზე მეოცნებე კლუბებს უკვე რა ხანია, ქულათა უფსკრული აშორებთ და ახლა გუნდები სამეორეეტაპო მარაგის მცირე შევსებაზეღა ფიქრობენ.

ჩვეულებრივი ტური იყო, ეროვნულ ჩემპიონატში ბოლო ხანს გამორეული ერთი ხეირიანი მატჩით, გაჭირვებულებზე გადავლით, მოედანზე შევარდნით, ძაღლის დევნით, პირველი პერუული გოლით, რომელიც ქართულად სტუმართმოყვარე მერანელებმა ლანგრით მიართვეს რკინიგზელებს, ორი გაცუდებული პენალტით, რომელთაგან ერთიც სატირალი იქნებოდა, სასაცილო რომ არ ყოფილიყო და სხვა წვრილმანი თუ მსხვილმანი ამბებით.

და თუ გადავწყვეტთ, რომ ჩამოთვლილი ამბებიდან მხოლოდ კარგზე გავამახვილოთ ყურადღება, ვთქვათ, რომ ის ერთი მართლაც კარგი თამაში არც თბილისური დერბი იყო და არც საქართველოს ორად ორი ჩემპიონის კლასიკო, არამედ ბოლნისური მატჩი, რომლის მავანი მაყურებლები თავიდან „ლაციო" — „ინტერის" წინა დღის მატჩზე საუბარს შეჰყვნენ, მაგრამ მალევე მიჩუმდნენ — რა დროს იტალიაა, აქ ნახე რა ხდებაო.

ისე კი, ვაი ჩვენი ბრალი, აქა-იქ გამორეული თითო-ოროლა კარგი მატჩი რომ გვახარებს.

საქართველოს უმაღლესი ლიგა 14 ჩემპიონატი
პირველი ეტაპი

# 21 ტური

# ტოგონიძემ ბათუმში დარტყმული თბილისში მოიგერია

თბილისი. 8 დეკემბერი. 14 საათი. ბორის პაიჭაძის. 500 (ტევადობა 70 900)

## დინამო 2:0 ბათუმი

1:0 ალექსიძე (12), 2:0 გოგობერიშვილი (74)

დარასელიამ ვერ გაიტანა პენალტი (მე-17)

დინამო: ზოიძე, ხიზანიშვილი, შაშიაშვილი, ამისულაშვილი, კვირკველია, კარლოსი, გოგობერიშვილი, აშვაძე (კანდელაკი 62), ბურდული, დარასელია (ახალაია 75), ალექსიძე
სათადარიგონი: გვარამაძე, ა. სახვაძე, ვაშაკიძე, ი. სამხარაძე, გ. ვ. მიქაძე
მწვრთნელი: იგო შუშაკი

ბათუმი: ტოგონიძე, მახარაძე, მინდაძე, კობიძე, ხუჯაძე, მაჭუტაძე, ტულუში (სეფერთელაძე 84), დარჩიძე (ბეჟანიძე 76), თურმანიძე, გ. მოდებაძე (ცულეისკიშვილი 76), ქადარაია
სათადარიგონი: ი. ბალაძე, ცინარიძე, გორჯელაძე
მწვრთნელი: ასლან ბალაძე

გაფრთხილება: მაჭუტაძე (55)

მსაჯები: ა. მეშკოვი; ზ. მენთეშაშვილი, ზ. ხუციშვილი (სამივე თბილისი); ა. შალამბერიძე (ქუთაისი)

სფფ-ის ინსპექტორი: გ. ბარქაია

ჯარიმა: 9-10; კუთხური: 9-1; კარში დარტყმა: 7-1; კარისკენ დარტყმა: 5-1; თამაშგარე: 3-1



ბათუმელთა მეკარე ნიკა ტოგონიძე ბევრს კი ეცადა, მაგრამ ორი გოლი მაინც გაუშვა



იგო შუშაკი „დინამოს" თამაშით კმაყოფილი დარჩა

კობა ინასარიძე

**პატრონის** გამოჩენით გალაღებული „ბათუმის" ბედი ამ სეზონში გადაწყვეტილია. ზღვისპირელებს გაზაფხულიდან უმაღლეს ლიგაში დასარჩენად მოუწევთ ბრძოლა, მაგრამ შემოდგომაზეც მოკრეფილი ზედმეტი ქულა, სამომავლოდ არავის აწყენს.

წინა ტურში „მილანის" მძლეველნი თბილისს იმ იმედით ეწვივნენ, რომ ნაცნობი მეტოქისთვის ერთი ქულა მაინც წაერთმიათ, თუმც ხელმოცარულნი დარჩნენ.

ასლან ბალაძის მცირე ტაქტიკურმა ცვლილებამ არ გაამართლა. მწვრთნელმა ფორვარდ მაჭუტაძეს ლიბეროობა დააკისრა, რითაც შეტევის ხაზს სიმწვავე მოაკლო. მწვრთნელმა ამის შესახებ ნამატჩევსაც ისაუბრა.

რა გასაკვირია, რომ მასპინძლები უფრო აგრესიულნი იყვნენ და უმეტესადაც ისინი უტევდნენ. მით უმეტეს, გუნდს კარლოს და როჩა დაუბრუნდა, რომელმაც თავის მშობლიური ფლანგი ჩაიბარა. შუშაკისგან ბოლო დროს ნაქები ხიზანეიშვილი დაცვაში ისევ გამოჩნდა, რითაც უკანა ხაზს სიმტკიცე შეემატა.

ამიტომაც იყო, რომ სტუმრები პირველ ტაიმში მხოლოდ ერთხელ დაემუქრნენ „დინამოს" კარს. ტულუშმა თურმანიძეს დაუგორა, მისი დარტყმული კი ზოიძემ კუთხურზე გაჭირვებით მოიგერია.

ამ მომენტისთვის მასპინძლები უკვე იგებდნენ. მათ „ბათუმის" შეტევა ჩაშალეს. ბურთი კარლოსმა მოიხელთა, ბურდულს ფლანგზე გაუჭრა, მან საჯარიმოში ჩააწოდა და რატი ალექსიძემ ლამაზი თავურით ტოგონიძეს შანსი არ დაუტოვა. ძალიან ლამაზი გოლი გამოვიდა.

გატანილის შემდეგაც „დინამო" უტევდა, მაგრამ პირველ ტაიმში მეტს ვერ მიაღწია.

სცენარი არც მეორე ნახევარში შეცვლილა. შესვენების დასრულებიდან ათ წუთში სტუმართა კარში მეშკოვმა თერთმეტმეტრიანი დანიშნა. საჯარიმოში პაატა მაჭუტაძე ხელით თამაშში ამხილა, არადა, ბათუმელთა კაპიტანს ბურთი სრულიად უვნებელ ვითარებაში, მისთვის გასაკვირად, შემთხვევით მოხვდა ხელზე.

თერთმეტმეტრიანის ნიშნულთან დარასელია გაჩნდა. „დინამოს" საუკეთესო მეგოლეს დარტყმული ტოგონიძემ აუღო. გასახსენებელია წინა ტური, როცა ტოგონიძემ თვითონ შეასრულა პენალტი და წნორის „მილანს" გაუტანა. მოკლედ, ბათუმელთა მეკარემ ორ მატჩში თერთმეტმეტრიანიდან გატანაც შეძლო და იგივე ადგილიდან დარტყმულის მოგერიებაც.

ერთბურთიანი სხვაობა სახიფათო რომაა, ძველი ამბავია. ჰოდა, „დინამოც" ქუდში თავის შესაყოფად მოიმართა. მეორე გოლმა გვარიანად დაიგვიანა და გაცუდებული პენალტიდან თითქმის ოცი დასჭირდა.

ფლანგიდან საჯარიმოში ჩაფრენილი ბურთი კარისკენ ზურგით მდგომმა რატი ალექსიძემ მკერდით მიიღო, დაიგდო და ჩარბენილ გოგობერიშვილს დაუგორა. ალეკომ ისე ლაზათიანად დაჰკრა, რომ ტოგონიძე უსაქმოდ დატოვა.

ამ ანგარიშის შენარჩუნება თბილისელებს არ გასჭირვებიათ. შუშაკს კი ახალაიას გამოჯანმრთელება უფრო ახარებდა. ხორვატმა მწვრთნელმა 2:0-ზე დიდი ხნის უთამაშებელი, ტრავმამოშუშებული ლადო ახალაია ვიტალი დარასელიას ნაცვლად შეუშვა და ბურთს შეახვედრა.

თავის მხრივ ასლან ბალაძემაც სცადა შეტევის გაძლიერება. დარჩიძე-მოდებაძე ბეჟანიძე-ცულეისკიშვილით შეცვალა, მაგრამ თამაშის გამწვავება მაინც არ გამოუვიდა.

*ასლან ბალაძე:* „დინამოს" ვულოცავ გამარჯვებას. ველოდით მეტოქისგან ასეთ თამაშს. ამჟამად ფსიქოლოგიურად უფრო თავისუფლად ვგრძნობ თავს, რადგან პატრონი გვყავს და იმედი მაქვს, ძველებურად ავთამაშდებით. თავდასხმაში მცირე პრობლემები გვაქვს, ზამთარში შეკრებას ვგეგმავთ და უკეთ მოვემზადებით.

**იგო შუშაკი:** პირველი გოლი მართლაც ძალიან მომეწონა. ჩვენ სამი ქულა გვჭირდებოდა, გაგვიჭირდა, მაგრამ შედეგს მაინც მივაღწიეთ. განსაკუთრებით გაცუდებული პენალტის მერე გაგვიძნელდა.

# აყვირე და გაიმარჯვე

## ფოლადზე ვიტ ჯორჯია გამოიღრთო

რუსთავი. 8 დეკემბერი. 14 საათი. ფოლადი. 500 (ტევადობა 8 750)

## გორდა 2:3 ვიტ ჯორჯია

0:1 ადამია (16), 0:2 მელქაძე (25), 0:3 ადამია (27), 1:3 ბურნაძე (65), 2:3 გოცირიძე (72)

გორდა: ბედიაშვილი, არსოშვილი, ა. ბურნაძე, ბერიძე, ზვ. ლაბაძე, ზაზაშვილი, ზ. ლაბაძე, ჩოხელი (სოხაძე 46), გოცირიძე, ა. ჯელაძე, კ. ალადაშვილი
სათადარიგონი: ჯალიაშვილი, შიოშვილი, მიქავა, ლვაჩლიანი
მწვრთნელი: გია გეგუჩაძე

ვიტ ჯორჯია: ჭურაძე (მამარდაშვილი 35), კობიაშვილი, ინწკირველი, ჯ. მუჯირი, ვ. გოჩაშვილი, ლ. ნოზაძე, დილმელაშვილი, დ. დოლიძე (ქოქიაშვილი 60), გველესიანი, ადამია (ფეიქრიშვილი 79), მელქაძე
სათადარიგონი: იმედაშვილი, ბერულიძე, ვ. ხურებაშვილი, მარცვალაძე
მწვრთნელი: ჯანი კარნევალი

გაფრთხილება: ალადაშვილი (83)

მსაჯები: ი. კახიანი; მ. ელიავაშვილი, კ. თბილელი (სამივე თბილისი); ა. ორდინიძე (ონი)

სფფ-ის ინსპექტორი: ი. მჭედლიშვილი

ჯარიმა: 17-12; კუთხური: 2-1; კარისკენ დარტყმა: 3-3; კარში დარტყმა: 6-7; თამაშგარე: 1-8

პაატა კვანტალიანი რუსთავიდან

**ჯადო ახსნა** „ვიტ ჯორჯიამ" „ფოლადს". რუსთავში ყოველთვის კრძალვით ჩადიოდნენ ვეტერინარები და უხერხულ მეტოქესთან ჭიდილში დამწუხრებულნიც რჩებოდნენ, მაგრამ კვირას ნავსი გატყდა — ჯანი კარნევალის სიმპათიურმა გუნდმა ნახევარსაათიანი ეშხიანი ბზრიალით გააკეთა საქმე, თუმც მეორე ტაიმში იტალიურად დამოძღვრილმა ვიტელებმა ქართული ხასიათიც არ დაივიწყეს და ლამის წყალს გაატანეს ოფლით მოპოვებული.

„ვიტ ჯორჯია" მართლაც ეფექტური იყო პირველ ტაიმში. კარნევალის ბიჭებს ყველაფერი გამოსდიოდათ. ინწკირველით და კობიაშვილით შეკრულმა დაცვამ მეტოქე არ გაიკარა, ნახევარდაცვაში ნოზაძემ გაილაღა ოღროჩოღრო მოედანზე ბურთის ეშხიანად გორებით, შეტევაში კი ადამიამ და მელქაძემ სრულად წარმოაჩინეს თავიანთი შესაძლებლობები. ამ ყველაფრის დირიჟორი კი ჯანი კარნევალი გახლდათ. ენერგიულად, ხელთაშლით და ფეხბურთელთათვის გასაგები რუსულ-იტალიურით რომ ხელმძღვანელობდა გუნდის თამაშს.

სტუმრებს გაცილებით ადრე შეეძლოთ გატანა, 5-ე წუთზე საზრიანმა ადამიამ ეფექტურად გაჭრა რუსთაველთა დაცვა, თუმც მის გამჭოლ პასს საჯარიმოში მელქაძემ ვერ შეურჩია სწორი პოზიცია. ეს იყო და მასპინძლებმა სცადეს მეტოქის კარისკენ გაწევა, თუმც მოედნის ცენტრდაკარგულმა გეგუჩაძის ბიჭებმა ბევრიც ვერაფერი მოახერხეს. „გორდას" ხუთწუთიან ფაფხურს ისევ სტუმართა დაწოლა მოჰყვა და მე-15 წუთი იყო, ადამიამ საგოლედ რომ ჩაურბინა მიძინებულ მცველებს. მოქნილმა ვიტელმა ბედიაშვილიც იოლად გააცურა და ცარიელ კარში შეაგორა ბურთი.

„გორდას" გამოფხიზლების ნიშანი ჯელაძე-ჩოხელის კომბინაციისას დატყო, საჯარიმოში შესულმა ჩოხელმა მახვილი კუთხიდან დაჰკრა და ჭურაძემ ფეხით შეძლო ბურთის კუთხურზე გადაგდება. ამ კუთხურს გოცირიძის თავური მოჰყვა, თუმც ჭურაძე ამ ეპიზოდშიც გამარჯვებული დარჩა. ეს იყო და სტუმრებმა ისევ მეტოქის ნახევარზე გადაიტანეს თამაში და მალე მეორე გოლით გაიხარეს. საგოლე შეტევა ადამიამ დაიწყო, ოცმეტრიანი დრიბლინგის შემდეგ ნოზაძეს გაუგორა ბურთი, ამან კი საჯარიმოში ჩაჰკიდა, წყლიდან ამომხტარი დელფინივით გაწელილმა მელქაძემ მოხდენილი თავურით შეარხია ბადე. ორ წუთში კი სულ უფრო სათუო გახდა გორდელთა გონზე მოყვანა — ადამიამ ხელოვნურ თამაშგარეზე დაიჭირა მცველები და კარიდან გამოსულ ბედიაშვილს 30 მეტრიდან გაუტანა.

ტაიმის ბოლოს მასპინძლებს ანგარიშის დასხვლება მართებდათ, მაგრამ ჩოხელის პასისას კარიდან ოთხ მეტრში დარჩენილმა გოცირიძემ ვერ გაიტანა.

შესვენების შემდეგ კარნევალის გუნდი თავდაჯერებული, საქმე მოლეული კაცის იერით დაუბრუნდა მოედანს, „გორდას" კი დასაკარგი არაფერი ჰქონდა და რაც იცოდა, იმის კეთებას შეუდგა. მასპინძლებმა ფლანგები გაწელეს, ჩაკიდული პასებით და მეტოქესთან ჯაჯგურით სცადეს ფონს გასვლა. „ვიტ ჯორჯიამ" ერთხანს კი დაიტყო, ბურთის გორებით და ტემპის დაგდებით ანგარიშის შემნარჩუნებელი ვარო, მაგრამ მალე სათამაშო დისციპლინას უგანეს კარნევალის ბიჭებმა და 65-ე წუთზე ზაზაშვილის ჯარიმისას ბურნაძემ თავით გაუტანა პირველ ტაიმში საზარდულ ატკივებული ჭურაძის შემცვლელ მამარდაშვილს. შვიდ წუთში კი „გორდამ" „ფოლადზე" შეყრილ გათოშილ 500-მდე ქომაგს იმედის ნაპერწკალი გაუჩინა — ჯელაძემ მოდუნებულ ვიტელ მცველებს გადაატარა ბურთი და საჯარიმოში ჯაჯგურში გამარჯვებული გოცირიძე დარჩა — 2:3.

მომხდარმა ლამის წყობიდან გამოიყვანა კარნევალი. იტალიელი ფეხზე წამოიჭრა და ერთხანს სასოწარკვეთილმა უყვირა თავისიანებს. ასეთმა დამოძღვრამ გაჭრა — ვეტერინარები სწრაფად გადაეწყვნენ დარჩენილი 18 წუთის სათამაშოდ. სტუმრები ისევ გულდაგულ შეუდგნენ საქმეს და შეხვედრა ისე გაილია, მატჩის შემოტრიალების მოსურნე მასპინძლებს ფიორა შანსიც არ მისცემიათ.

## ინგლისი

პრემიერლიგა. XVII ტური

სანდერლენდი 0:3 სიტი

## გერმანია

II ბუნდესლიგა. XVI ტური

კარლსრუე ¼ ფრაიბურგი

## იტალია

სერია B. XV ტური

ტრიესტინა 2:1 ნაპოლი

## პორტუგალია

I ლიგა. XIII ტური

ჟილ ვისენტე 0:2 გიმარაეში



ამ ეპიზოდში მერანელთა მეკარე რევაზ ნაჭყებიამ კი იმარჯვა,
მაგრამ დიეგო გონსალესმა პირველი ქართული გოლით მაინც გაიხარა

ფოთი. 8 დეკემბერი. 14 საათი. ფაზისი. 50 (ტევადობა 6 000)

## კოლხეთი 8:1 მეტალურგი

1:0 ე. გვასალია (16), 2:0 შ. ლონდაძე (17), 3:0 კრასოვსკი (30), 4:0 გაგუა (35პ), 5:0, 6:0 ქობულაძე (45, 58), 7:0 სვანაძე (61), 7:1 ენდელაძე (73), 8:1 კრასოვსკი (86)

| | |
|---|---|
| კოლხეთი: შ. გვასალია, ქუტიძე (შ. ფილია 46), შ. ქობულაძე, გოროზია (ბალათურია 46), სვანაძე, შ. ლონდაძე, გაგუა, ფანჩულიძე, გურგენაძე, ე. გვასალია (ხურცილავა 62), კრასოვსკი; სათადარიგონი: ჩემია, კვერნაძე, ბაჩილავა, ნარსია; მწვრთნელი: სოსო ფილია | მეტალურგი: ა. ლაბაძე (მერკვილიშვილი 46), გურეშიძე, მილდაკელიძე, კობაიძე, გაბრიჭიძე, სუხიაშვილი (გოგაძე 46), სულაკაძე, კ. თავბერიძე, ენდელაძე, ფოფხაძე; მწვრთნელი: ზაურ ჩუბინიძე |

მსაჯები: ზ. ანიაშვილი (გორი); ზ. ჯვარიძე (თბილისი), ლ. მიქელაძე (სამტრედია); ჯ. ბუაშვილი (ქიათურა)

სფფ-ის ინსპექტორი: ე. სილაგავა

ჯარიმა: 14-8; კუთხური: 5-3; კარისკენ დარტყმა: 6-3; კარში დარტყმა: 11-3; თამაშგარე: 11-2

# გაიტანეთ მეტალურგი!

## ფილიამ ბრძანა: პრემია მხოლოდ დიდისთვის

გოჩა ჯანაშია ფოთიდან

ჩვენი მტრები ჩავარდნენ იმ დღეში, დღესდღეობით ზესტაფონის „მეტალურგი“ რომ იმყოფება. თამაშს თამაშზე აგებენ ზაურ ჩუბინიძის შეგირდები და საშველ-სახიდებელიც არსაიდან ჩანს. წაგება კი გვინახავს, მაგრამ „ფაზისზე“ ნაგემი 1:8 საშინელება უფრო იყო.

ნამატჩევს ისიც ითქვა, ზესტაფონელთა ბედი ამ საზამთრო არდადეგებზე უნდა გაირკვესო. გუნდი რაიონის გამგეობამ კი ჩაიბარა, მაგრამ თავისი მწირი ბიუჯეტით როგორ შეინახავს, გასაკვირია. თუ გამოჩნდა სპონსორი, ხომ კარგი, თუ არა და, მოგვჭამათ ჭირი „მეტალურგმა“.

„ფაზისის“ ატალახებულ მინდორზე ნამდვილი ცოდვა ტრიალებდა. ყოვლად უნიათო სტუმრებს კოლხებმა დღე აყარეს, ნუ იკითხავთ.

ფილიას სამწყსო ისე ირჯებოდა, გეგონებოდათ გადამწყვეტი მატჩი ჰქონოდათ. ამის ნამდვილი მიზეზი ნამატჩევს, პრესკონფერენციაზე გაირკვა. თურმე კოლხთა თავკაცი გორში მარცხს ისე გაუცეცხლებია, შეგირდებისთვის დაუცაცხანებია და პრემია მხოლოდ დიდი ანგარიშით მოგებისთვის დაუწესებია. ჰოდა, პრემიალურების ხათრით მონდომებაც შესაშური ჰქონდათ მასპინძლებს და არც წინააღმდეგობა შეხვედრიათ.

იმერელთა განადგურება თავიდანვე დაიწყო და ბოლო წუთებამდე გაგრძელდა. ზესტაფონელთა კარში ვინც არ დაიზარა, ყველამ გაიტანა. ისიც ვთქვათ, რომ „კოლხეთი“ ორი წამყვანი ფეხბურთელის გარეშე თამაშობდა — როგორც გაირკვა, გოგჩაროვი და წიტაიშვილი ბედის საძიებლად კვიპროსს გაეშურნენ და ერთ-ერთ იქაურ კლუბში ისინჯებიან.

მათ არყოფნაში შემტევობა ელდარ გვასალიამ და კრასოვსკიმ ითავეს და საკმაოდ წარმატებითაც. მართალია, პირველმა ერთხელ იხეირა, მაგრამ ლამის ყველა გოლში დაიდო წილი. მეორემ კი დუბლით გაიხარა და ერთი ორჯერ კიდევ შეეძლო გატანა. მის დარად ორი გოლით გამოირჩა ქობულაძეც, რომელიც დაცვაშიც საიმედოდ ირჯებოდა და წინაც აქტიურობდა.

„მეტალურგის“ მცველთა თამაშზე ნათლად ის ეპიზოდი მეტყველებს, პირველი ტაიმის ბოლოს ქობულაძის გოლი რომ მოჰყვა. მარჯვნიდან ჩაწოდებულ ბურთს საჯარიმოში ჯერ კობაიძემ ააცილა ფეხი, შემდეგ გურეშიძემ. ქობულაძესაც ასეთი საჩუქრის გოლად ქცევა არ გასჭირვებია.

ერთადერთი, რასაც სტუმრები გამორჩნენ, პრესტიჟის გოლი იყო. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც „კოლხეთმა“ შვიდი გოლის გატანა მოასწრო. მამუკა გვასალიას კარი კი გამოცდილმა ზვიად ენდელაძემ დალაშქრა, კარის ხაზზე ლაფში გაჩხერილ ბურთს მიუსწრო და მშვიდად შეაგორა კარში.

პრესკონფერენციაზე **სოსო ფილია** უკვე სამომავლო გეგმებზე ალაპარაკდა. მან გუნდის გაძლიერებაზე ჩამოაგდო სიტყვა და ამისთვის რამდენიმე ფეხბურთელი უკვე შევიგულეთო, ბრძანა. გადაწყვეტილი საქმე ყოფილა ისიც, რომ 25 იანვრიდან კოლხები საზამთრო საშზადისს ნაცნობ ბულგარეთში გაივლიან, სადაც აგერ მეორე წელია, არ ყოფილან. მანამდე კი ზღვისპირელებს ელით ერთადერთი საჩემპიონატო მატჩი და გასანახევრებლად მოქუჩებულ ქულათა მარაგის თუნდაც ერთით გამდიდრებას გულით შეეცდებიან.



სოსო ფილია



ზაურ ჩუბინიძე

თბილისი. 8 დეკემბერი. 14 საათი. ლოკომოტივი. 150 (ტევადობა 25 600)

## ლოკომოტივი 1:0 მერანი

1:0 გონსალესი (77)

| | |
|---|---|
| ლოკომოტივი: ლომაია, ბალაშვილი, ორბელაძე, სალუქვაძე, გ. ონიანი (სოსელია 68), შ. ბურნაძე (გონსალესი 46), კვარაცხელია, სირაძე, ქიქვეიშვილი, კაიდარაშვილი, გალიარდო; სათადარიგონი: იგარდავა, რ. ონიანი; მწვრთნელი: ლუის ცაკარიასი | მერანი: ნაჭყებია, გუჯაბიძე, ადუაშვილი, დევიძე, მესხი, ი. შენგელია (გრიგორიევი 89), გ. ილურიძე, ბაჯელიძე (ფირცხალაიშვილი 67), კოშკაძე, ჩილვინაძე; სათადარიგონი: გ. გაბელაია, ბართაია, მაზანაშვილი, თუთარაშვილი, გ. შ. რევაზიშვილი; მწვრთნელი: ოთარ გაბელია |

გაფრთხილება: ჩილვინაძე (39)

მსაჯები: დ. სანაია; ა. სამხარაძე (ორივე სოხუმი), გ. ცირდავა (გულრიფში); ა. შილაკაძე (თბილისი)

სფფ-ის ინსპექტორი: ნ. კაკულია

ჯარიმა: 7-13; კუთხური: 8-1; კარისკენ დარტყმა: 5-2; კარში დარტყმა: 9-0; თამაშგარე: 2-0

# მერანს ანდებიდან ესროლეს

## უჯანაშიო მატჩის უცნაური დასასრული

დავით თავართქილაძე

პირველი პერუული გოლი ასე გავიდა — გიორგი ბალაშვილმა მარჯვნიდან ჩააწოდა, მერანელთა საჯარიმოში რამდენიმე ლოკომოტიველი მეტოქე მცველთაგან უმეთვალყურეოდ დარჩა, ყველაზე მაღლა კი დიეგო გონსალესი ახტა და მოხდენილი თავურით აულებელი დაურტყა რევაზ ნაჭყებიას.

არადა, უცნაური გახლდათ, როგორ დატოვა „მერანის“ დაცვამ ასე ლიად ამხელა ფართობი. უცნაური იყო ისიც, თუ რატომ შეცვალა ოთარ გაბელიამ ირაკლი შენგელია, რომელმაც მატჩის მიწურულს თამაში გაამწვავა, ერთიორი ჩინებული პასიც დაარიგა და ფირცხალაიშვილს ბურთისთვის ფეხი რომ არ აეცილებინა, ეგებ დიეგოს გოლი სამქულიანი არც ყოფილიყო.

ჯეელმა პერუელმა კი მართლაც ძალიან გაიხარა — გოლის შემდეგ ლუის ცაკარიასთან მიირბინა და თანამემამულე მწვრთნელს მაგრად გადაეხვია.

პერუელის ჩაუქობამდე უცნაური არც არაფერი ხდებოდა — „ლოკომოტივი“ უტევდა, „მერანი“ თავს ფიცხად იცავდა.

პირველ ტაიმში მასპინძლებმა რამდენიმე მძლავრი იერიში მიიტანეს სტუმართა კართან. ჯერ ბალაშვილი-გალიარდო-სირაძის კომბინაცია კაიდარაშვილმა დაამთავრა, მაგრამ ნაჭყებიამ იყოჩაღა. მერე გალიარდომ ვერ შეიშნო ბალაშვილის გადაცემა, შემდეგ ბურნაძემ ვერ გაისწორა მიზანი კარგი პოზიციიდან. გალიარდოს ხელმეორედაც მიეცა გატანის შანსი, მაგრამ მეკარეს ვერ აჯობა.

დისკვალიფიცირებული ზაზა ჯანაშიას გარეშე დარჩენილი რკინიგზელთა იერიშები ძირითადად კვარაცხელიას, ბალაშვილისა და სირაძის აქტიურობით იყო გამოწვეული, მაგრამ ერთი ეპიზოდი მთლიანად გივი კვარაცხელიასი იყო — მან დაახლოებით 35 მეტრიდან დააზმუვლა ბურთი, რომელიც ძელ-ხარიხას გადაკვეთამ ისე აისხლიტა, რომ ნაჭყებია სახტად დარჩა.

მთლიანობაში მერანელთა მეკარეზე აუგს ვერ ვიტყვით, მან ხომ რამდენიმე რთული ბურთი მოიგერია.

შესვენების შემდეგ მატჩის ხასიათი არ შეცვლილა, მაგრამ „ლოკომოტივს“ საგოლე მომენტები აღარ ჰქონია — დიეგოს საკვირველმა გოლმა კი სულზე მიუსწრო. თუმც გონსალეს მალე მეორეც უნდა გაეტანა. ამჯერად ფეხით, მაგრამ ბურთი კარს ააცილა.

პრესკონფერენციაზე ოლენ „ლოკომოტივის“ დამრიგებელი **ლუის ცაკარიასი** გამოცხადდა:

— რთულია თამაში, როცა მეტოქე მთელი შემადგენლობით იცავს თავს. გოლის შემდეგ „მერანი“ გააქტიურდა და პრობლემები შეგვიქმნა, მაგრამ სამი ქულა მაინც მივითვალეთ.

— ცენტრიდან ვუტევდით და უფრო ფლანგებიდან უნდა გვეცადა ბედი. შეცვლებით კი კმაყოფილი გახლავართ.

— ბურნაძე იმიტომ შევცვალე, რომ ფიზიკურად თავს ძლიერად ვერ გრძნობს. ამ ფეხბურთელმა ხომ 19-წლამდელთა ნაკრებშიც ჩაატარა რამდენიმ შეხვედრა და ამიტომ ვცვლი ხოლმე — ის ჯერ 18 წლისაა და შეცდომის უფლება არ გვაქვს — მას განსაკუთრებული ყურადღება სჭირდება. იგივეს ვიტყოდი გოგინაშვილზეც. აშკარაა, რომ ეს ახალგაზრდები არასწორად იკვებებიან.

— რაც შეეხება ზაზა ჯანაშიას, მისი გუნდში დარჩენა-არდარჩენის საკითხი მალევე გადაწყდება. არადა, ერთი კი არა, ორი კარგი ფორვარდი გვჭირდება.



ჰაერში ბურთს პირველი რევაზ ნაჭყებია შეეგება

# კოსმოსიდან დანახული ფეხბურთი

## ბოლნისში მოედანს ცენტრი ამოაჭრეს და გული ჩადეს

### პოროშინის მოტანილი ქორიძემ ვერ წაიღო

**ვაჟა ხუციშვილი ბოლნისიდან**

**ჯერ** კალამში ისეთი მელანი არ ჩამდგარა, საქართველოს ჩემპიონატის დონე ბობოლა ევროპული ქვეყნებისას რომ შეადაროს, მაგრამ ხანდახან ერთი მატჩი, ან ერთი ტაიმი მაინც გამოკრთება სადმე ისეთი, მოევროპულო მაინც რომ ეთქმის. ნამდვილი ფეხბურთის მსგავსის ნახვა ქომაგს ახარებს და ხელების ფშვნეტის ხასიათზე მოჰყავს. ასე იყო ბოლნისშიც.

შემოზამთრებულ საქართველოში სტადიონების საფარსაც დასტყობია სიცივის ნაკბილარი. ბოლნისური მოედანი კოსმოსიდან დანახულ დედამიწას ჰგავდა, აქა-იქ ნაირფერი ლაქებით. ჰოდა, ფეხბურთიც ნაირფეროვანი ითამაშეს სტუმარ-მასპინძლებმა.

ბრძოლა პირველიდან ბოლო წუთამდე არ განელებულა, ხოლო თუ ალაგ-ალაგ მაინც ჩერდებოდა, მხოლოდ წესების დარღვევისას.

გუნდებმა თავიდანვე იუარეს ცენტრში ბურთის თრევა. შეიძლება ითქვას, რომ ერთი საჯარიმოს წინა ხაზიდან მეორემდე ადგილი „ამოჭრეს“ და 90 წუთის მანძილზე კარიდან კარამდე შეუსვენებლად დაჰქროდნენ.

„ტორპედოს“, განსაკუთრებით პირველ ტაიმში, დაეტყო დიდავას, იონანიძისა და ბაბუნაშვილის არყოფნა. მასპინძლებს კი ოდენ დისკვალიფიცირებული დაუშვილი აკლდათ.

ვილაც წინა ღამის „ლაციო“ — „ინტერზე“ საუბრობდა, მაგრამ მალე მიაჩუმეს, რა დროს იტალიაა, აქ ნახე, რა ხდებაო. რა ხდებოდა მოედანზე?

„ქართლურა“ ჩვეულად, ჯიგრიანად უტევდა. ისიანმა და შავგულიძემ ზედიზედ დაურტყეს ჭანტურიას. მეკარეს განსაკუთრებით მეორის დაკრულის მოგერიება გაუჭირდა.

ქუთაისელებმა შეტევითვე „მიუგეს“. ქუთათელაძე საჯარიმოში იოლად შეიჭრა, მცველიც ჩამოიშორა, მაგრამ სუსტად წაარტყა ბურთს.

მეხუთე წუთზე, ერთობ აქტიურმა გამეზარდაშვილმა სიდამონიძის მოქნეულ ფეხს ფეხი დაუხვედრა და „სიონის“ დაცვის „უფროსი“ შესაცვლელი გახდა. ეპიზოდი სათამაშო იყო, ბურთისთვის იბრძოდნენ და მალალურაძემაც ქუთაისელს მეტი სიფრთხილისკენ მოუწოდა.

„ტორპედომ“ მეათე წუთისთვის მასპინძელთა საჯარიმოსკენ მიიწია, თუმცა „სიონი“ უფრო გაალმასდა. მარცხენა ფლანგს ჩხაიძე-ბაქრაძე-ისიანის ტრიო გაუმინაურდა. ჯერ ბაქრაძემ გაუგორა სვლააკრეფილ ჩხაიძეს და მანაც ისეთი ძალით გატყორცნა, რომ ჭანტურიას ხელებისგან ბურთი გვერდით ხაზზე გადავიდა.

მალე გოდერძიშვილმა ჩაირბინა მარჯვენა ფლანგზე, კარის გასწვრივაც ჩააწოდა, მაგრამ ისიანმა მცირედით დააგვიანა.

„ტორპედომ“ გოლს მოსვლა შეძლო. კუთხურიდან ჩაკიდებულს მაღალმა გამეზარდაშვილმა უთავაზა, თუმც ბურთს ვოლკოვი დაეუფლა.

ბოლნისელთა მეკარე უდავოდ საუკეთესო იყო. მან მატჩის განმავლობაში ისეთი დარტყმები მოიგერია, რომ პირლია დატოვა ამის შემხედვარე.

საამო საცქერალი გამოდგა ტაიმის შუაწელი. ჩხაიძე-ბაქრაძემ დინამიური კომბინაცია „მოქსოვეს“, რომლის შედეგად ბაქრაძეს ისლა დარჩენოდა, კარში დაერტყა. მან რატომღაც ისიანს მიაწოდა და სიმწვავე განელდა.

მოწადინებულმა დამხვდურებმა ოდნავ ყურადღება მოადუნეს, რითაც პოროშინმა ვერ ისარგებლა. მის წინ „სიონის“ საჯარიმოში მხოლოდ ერთი მცველი და მეკარელა დარჩა. უკრაინელმა მცველი „მოტეხა“, მისი დარტყმული ბურთი კი გოჯით ასცდა კარს.

სამაგიეროდ, ზუსტად გაისროლა შავგულიძემ. ჭანტურიამ გაჭირვებით, მაგრამ მოიგერია.

პირველი ტაიმის ბოლო ხუთი წუთი ორი ლამაზი ეპიზოდით დასრულდა. სტუმრებმა სწრაფი კონტრშეტევა წამოიწყეს და პოროშინმა ეულად დარჩენილი გამეზარდაშვილი მოძებნა. მიუხედავად სიმაღლისა, ადრესატი კართან ჩაშრიალებულ ბურთს თავით ვერ შესწვდა.

შესვენებამდე წამები რჩებოდა, იური გაბისკირიამ მეტოქის საჯარიმოს წინა ხაზთან ბურთი რომ მიიგდო და ჭანტურიას შორეულ, მარჯვენა კუთხეში მზაკვრულად დაურტყა. გოლი გარდაუვალი ჩანდა, ოღონდ არა ჭანტურიასთვის. მეკარეს გვარიანად გაწელვა დასჭირდა კუთხურზე ბურთის მოსაგერიებლად. გულშემატკივრებმა ამოიოხრეს, მსაჯმა კი ჩასტვინა და ტაიმიც დასრულდა.


ბაჩანა ძიძიგურის ფოტო

ანდრი პოროშინის ხელმა „ტორპედოს“ ლამის სამი ქულა დააკარგვინა

ბოლნისი. 8 დეკემბერი. 14 საათი. თამაზ სტეფანია. 800 (ტევადობა 3 000)

**სიონი 0:1 ტორპედო**

0:1 ასათიანი (89)

ქორიძემ ვერ გაიტანა პენალტი (90, აცილა)

| | |
|---|---|
| სიონი: ვოლკოვი, სიდამონიძე (ორეშაშვილი 11), გოგიტიძე, გ. ჩხაიძე, ზ. ცქიფურიშვილი, გაბისკირია, კვეკვესკირი, ბაქრაძე, შავგულიძე, ისიანი (გიორგი ქორიძე 72), დ. გოდერძიშვილი (კაციაშვილი 62) სათადარიგონი: ბათიაშვილი, ხუტუა, კრავეიშვილი, დათეშიძე მწვრთნელი: თემურ მახარაძე | ტორპედო: ჭანტურია, მახვილაძე, ლ. ძილიძე, ქუთათელაძე, ჩომახიძე (ლილაძე 60), გამეზარდაშვილი (გ. ჩხეტიანი 60), ასათიანი, ახალკაცი, პოროშინი, ზვ. ქუთათელაძე (ძელიშვილი 65), კვეტენაძე სათადარიგონი: სტურუა, ბარათიანი მწვრთნელი: ალექსანდრ შტელინი |

გაფრთხილება: ისიანი (18), გამეზარდაშვილი (28), პოროშინი (47), ვოლკოვი (71)

მსაჯები: მ. მალალურაძე, ლ. სილაგაძე (ორივე თბილისი), გ. ჩიგოგიძე (სამტრედია); ლ. ფანიაშვილი (თბილისი)

სფფ-ის ინსპექტორი: შ. ხინჩაგაშვილი

ჯარიმა: 10-12; კუთხური: 5-11; კარისკენ დარტყმა: 4-6; კარში დარტყმა: 4-7; თამაშგარე: 2-8

შესვენების შემდეგ გაბისკირია-შავგულიძემ ორიგინალური საჯარიმო გაითამაშა. პირველმა მეორეს წვერით აუგდო ბურთი, მანაც ცაცია დააჯახა, მაგრამ დარტყმული კედელმა აისხლიტა.

მოგვიანებით ისიანს მართებდა პირისპირ გასვლის გამოყენება. კვეკვესკირმა უზუსტესი პასი გაუხერხა, თუმც ისიანმა ბურთი ვერ მოათვინიერა.

მასპინძლებმა ნელ-ნელა უკან დაიხიეს და ძირითადად კონტრშეტევებით იჩხვლიტებოდნენ. მათგან ბევრმა შეუღონა მტერის გული. „სიონის“ ფეხბურთელები ბოლო მომენტში სცოდავდნენ.

„ტორპედომ“ გასატანად გაიწია. შეცვლაზე შესული გაგა ჩხეტიანი კარგად ჩაეწერა ბურთაობაში. მან და ასათიანმა გვარიანად ანერვიულეს დამხვდურთა მცველებიც და ქომაგებიც.

ვოლკოვმა ჯერ ასათიანს აული ადლიდან დარტყმული, მერე ისევ მასვე ჰქონდა მომენტი. ახალკაცმა ისეთი პასი უბოძა, რომ „გოლმალხაზი“ უნდა გასულიყო, მაგრამ ისევ ვოლკოვმა არ დაანება.

მესამოცე წუთზე გოლი მაინც გავიდა. პოროშინმა საჯარიმოში შექმნილი არეულობით ისარგებლა და შეაგდო. მაისურის თავზე გადაფარებას აპირებდა, მალალურაძის სასტვენი რომ გაისმა — თამაშგარეო!

ორიოდ მეტრიდან ასათიანის დარტყმულს ადგილზე დაუხვდა ვოლკოვი, თუმც ისევ თამაშგარე აღინიშნა.

შეხვედრის დამთავრებამდე თხუთმეტი წუთით ადრე მოედანზე დაუპატიჟებელი ოთხფეხა გამოჩნდა. ძაღლის დევნაში ორი-სამი წუთი დაიხარჯა, მაყურებელი კი გაერთო. ძაღლმა თავის გზა მონახა და ღობეში გაძვრა.

განახლდა თუ-არა თამაში, ჩხეტიანმა გაიტანა, ოღონდ ისევ თამაშგარედან. მახვილი კუთხიდან დაჰკრეს ზედიზედ ჯერ ახალკაცმა, მერე ჩხეტიანმა. ორჯერვე ბურთმა შორეულ ძელის სიახლოვეს ჩაიზუზუნა.

ქუთაისელები გაფთრებით უტევდნენ, თან მეტოქის კონტრშეტევების ჩაშლაზეც ფიქრობდნენ. მათი საქმე გიორგი ქორიძემ და მასპინძელთა დაღლამ გააადვილა. ქორიძე ხშირად რჩებოდა სტუმართა ერთი მცველის პირისპირ, მაგრამ ეტყობოდა, რომ დიდხანს ჩამოშორებული იყო ბურთ-მოედანს, ამიტომ მისი გაუვნებლობა მცველებს არ გასჭირვებიათ.

ქუთათურთა ერთ-ერთი ბოლო იერიში სიონელებმა წესის დარღვევით შეაჩერეს. საჯარიმო ასათიანმა დაარტყა და ვოლკოვმა სასწაულებრივ მოიგერია. მასპინძელთა გულშემატკივრები მსაჯისგან მატჩის დასრულებას ითხოვდნენ. ვითარება დაიძაბა. მალალურაძე მშვიდად აგრძელებდა საქმეს. „სიონის“ კართან „ცეცხლმა“ იმატა. ვისაც როგორ შეეძლო, ისე იგერიებდა „ტორპედოს“ შეტევას, ერთადერთი გოლი კი არეულობაში გავიდა, საგოლედ ასათიანმა დაჰკრა.

ბოლნისის „სიონის“ მწვრთნელი ფირუზ რეხვიაშვილი მოედანზე შეიჭრა და მერაბ მალალურაძეს საათზე ანიშნა, დრო გასულია, რატომ არ დაამთავრეო. მალალურაძემ თავისი საათი მოწმედ მოიყვანა და თამაშის გაგრძელება ბრძანა.

ფინალი იყო ტრაგი-კომიკური. ცენტრიდან გათამაშებული ბურთი მარცხენა ფლანგზე შავგულიძემ მიიგდო და მასზე დაჯარიმდნენ. მასპინძლებმა მეტოქის კართან მოიყარეს თავი, მაყურებელიც წასასვლელად მოემზადა, როცა საჯარიმოში ჩაკიდებულ ბურთს პოროშინმა ხელი წაარტყა. მალალურაძემ თერთმეტმეტრიანი დანიშნა. სტუმრები გაოგნდნენ, მასპინძლები ხარობდნენ, მაგრამ...

მსგავსი რამ იშვიათად, ალბათ ძალიან იშვიათად თუ მომხდარა. ბურთთან ქორიძე მივიდა. მერე ერთი ოთხი მეტრით უკან დაიხია. მსაჯმა სასტვენით ანიშნა — დაარტყიო. ქორიძე დაიძრა და ჭანტურიას გახედა, რომელმაც ხელით ანიშნა, მოიცადეო. დამრტყმელი დაიბნა, შეჩერდა, მსაჯს გახედა, რომელსაც მომხდარზე რეაქცია არ ჰქონია. მაყურებელმაც ვერაფერი გაიგო, რა ხდებოდა. სიჩქარედაკარგული ქორიძე ხელახლა მოსხლტა ადგილიდან, მაგრამ ფეხი დაუცდა და დარტყმული ბურთი კარს აცილა. განცვიფრებულმა გულშემატკივარმა ვერც გააზრა მომხდარი, მსაჯმა რომ საფინალოდ დაუსტვინა.

# ძოძუაშვილმა ივაჰ-კაცა

თბილისი. 8 დეკემბერი. 14 საათი. სინათლე. 50 (ტევადობა 3 000)

**მილანი 0:3 დილა**

0:1 ძოძუაშვილი (59), 0:2 ბ. ჩიტაია (67), 0:3 ხმალაძე (84)

| | |
|---|---|
| მილანი: მამალაძე, ტარუაშვილი, ჯაბუა, აკობია, ჯაფარიძე (ვართაგავა 73), მეტონიძე, ლამბაშიძე (ეგაძე 73), ჭალიაშვილი, ქარჩავა, მ. სამხარაძე, შელეგია სათადარიგონი: ასლანიძე, დანელია, ვეადეიშვილი, გიორგაძე მწვრთნელი: ალექსანდრე არევაძე | დილა: თ. ილურიძე, რ. ხაჭაპურიძე, დავითაძე, ლომიძე, ფეხუაშვილი, საყვარელიძე (გ. ჩიტაია 78), რაზმაძე (გ. ზ. რევაზიშვილი 84), ჯობაძე, სულთანიშვილი (ა. ხმალაძე 80), ბ. ჩიტაია, ძოძუაშვილი სათადარიგონი: ნასყიდაშვილი, ხორგუაშვილი, სომხიშვილი, ლ. გოჩაშვილი მწვრთნელი: ვლადიმერ ხაჩიძე |

გაფრთხილება: საყვარელიძე (60), ვართაგავა (74)

მსაჯები: ს. კვარაცხელია (ზუგდიდი); კ. გაბრიაძე, ნ. რუხიშვილი; გ. კეკელიშვილი (სამივე ქუთაისი)

სფფ-ის ინსპექტორი: ო. გუნთაძე

ჯარიმა: 14:20; კუთხური: 4-7; კარისკენ დარტყმა: 7-4; კარში დარტყმა: 8-6; თამაშგარე: 3-1

**კახა შალამბერიძე**

**ამ გუნდების** პირველი წრის მატჩიც ნეიტრალურ მოედანზე ჩატარდა. მაშინ გორის „დილა“ იყო დასჯილი გულშემატკივართა მიერ ქვების სროლის გამო. გორელებმაც მცხეთის „არმაზზე“ უმასპინძლეს კახელებს და საკმაოდ იოლად, 3:1 სძლიეს.

ამჯერად „მილანი“ „აიბარგა“ გურჯაანიდან და მეტოქეს ავჭალაში, „სინათლეზე“ დაუხვდა. წნორელები მსაჯის ცემისთვის იხდიდნენ დისკვალიფიკაციას. გამარჯვება ისევ გორის „დილას“ დარჩა. ვლადიმერ ხაჩიძის შეგირდებმა ერთი ამოსუნთქვით დაჯაბნეს ფორმალური მასპინძლები.

არადა, პირველი ტაიმის შემხედვარე, ამას ნაღდად ვერ იფიქრებდი. „მილანი“ თანაბრად ებრძოდა „დილას“ და მართალია, კანტიკუნტად, მაგრამ მომენტები მაინც შექმნა. ტაიმის შუაგულამდე ასე გაგრძელდა, მერე კი ცამ პირი მოალო და „სინათლის“ უხარისხო მოედანზე ბურთაობა კიდევ უფრო გაჭირდა.

ყველაზე სახიფათო მომენტი ძალიან უწყინარ სიტუაციაში გორის „დილას“ კართან შეიქმნა. კუთხურიდან ჩაწოდებული ბურთი გორელებმა მოიგერიეს, თუმც თემურ ჯაფარიძემ საჯარიმოს გარედან გაისროლა. დარტყმა სუსტი გამოდგა და ილურიძის კარსაც ხიფათი არ ემუქრებოდა, მაგრამ ბურთს ჭვინტი ლამბაშიძემ წაჰკრა და... კარის ხაზზე გაშეშებული მეკარე ძელმა იხსნა.

ეს იყო და ეს. პირველ ტაიმში სხვა საინტერესო არაფერი მომხდარა და გუნდებიც შესვენებაზე გავიდნენ.

იქიდან კი მოედანზე მხოლოდ ერთი გუნდი დაბრუნდა. ყოველ შემთხვევაში, „მილანს“ გამარჯვებისთვის ბრძოლის არაფერი ეტყობოდა და „დილამაც“ მატჩის სადავეები მთლიანად იგდო ხელთ. სტუმართაგან განსაკუთრებით მერაბ ძოძუაშვილი აქტიურობდა, რომელმაც წნორელ მცველებს უამრავი თავსატეხი გაუჩინა. ბურთთან მისი ყოველი შეხება ან სახიფათო დარტყმით მთავრდებოდა, ანაც მეტოქის მხრიდან წესის დარღვევით. სწორედ ასე მოხდა 59-ე წუთზე — მარცხენა ფლანგზე ბურთიან ძოძუაშვილს ჯაბუამ ჩაარტყა ფეხი უხერხულ ადგილას. მსაჯმაც ჯარიმა დანიშნა. იქიდან ჩაწოდებულ ბურთს კი თავად ძოძუაშვილი შესწვდა და ჯავრიც იყარა — თავით შორეულ კუთხეში ლამაზი გოლი გაიტანა.

საინტერესოა, რომ ეს გორელთა პირველი დარტყმა იყო მამალაძის კარში მთელი მატჩის განმავლობაში. უფრო საინტერესო კი ის არის, რომ მეორე ცდაზე სტუმრებმა კიდევ ერთი გოლი გაიტანეს. 67-ე წუთზე ჯობაძის პასს ბექა ჩიტაიამ ისევე თავით მისცა სასურველი მიმართულება.

ამ გოლებს შორის „მილანსაც“ შეეძლო გატანა, თუმც ლამბაშიძემ ახლოდან ააცილა.

მატჩის მიწურულს ისევ ძოძუაშვილმა იყოჩაღა, საჯარიმოში მიიღო ბურთი, შეცვლაზე შესულ ხმალაძეს „დაუდევა“ და მანაც თანაგუნდელს გარჯა დაუფასა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 21 | 17 | 2 | 2 | 47:8 | 53 |
| ტორპედო | 21 | 15 | 4 | 2 | 44:12 | 49 |
| ლოკომოტივი | 21 | 15 | 2 | 4 | 34:10 | 47 |
| ვიტ ჯორჯია | 21 | 15 | 1 | 5 | 38:15 | 46 |
| სიონი | 21 | 9 | 3 | 9 | 24:24 | 30 |
| კოლხეთი | 21 | 9 | 3 | 9 | 28:31 | 30 |
| დილა | 21 | 6 | 3 | 12 | 17:26 | 21 |
| ბათუმი | 21 | 5 | 5 | 11 | 16:26 | 20 |
| მერანი | 21 | 5 | 5 | 11 | 22:35 | 20 |
| მეტალურგი | 21 | 5 | 1 | 15 | 12:50 | 16 |
| გორდა | 21 | 4 | 1 | 16 | 19:39 | 13 |
| მილანი | 21 | 3 | 4 | 14 | 11:43 | 13 |

პირველ ტურში „მერანს“, „მეტალურგს“, „გორდას“ და „მილანს“ ჩაეთვალათ 0:3 წაგება. მეცხრე ტურში „მეტალურგს“ „ვიტ ჯორჯიასთან“ ჩაეთვალა წაგება 0:3. მეთორმეტე ტურში „მერანს“ „გორდასთან“ ჩაეთვალა წაგება 0:3. მეთექვსმეტე ტურში „მეტალურგს“ „ტორპედოსთან“ ჩაეთვალა წაგება 0:3.

| ბომბარდირები | |
|---|---|
| 15 - მელქაძე | ვიტ ჯორჯია |
| 13 - იონანიძე | ტორპედო |
| 10 - დარასელია | დინამო |
| 8 - შავგულიძე | სიონი |
| კოშკაძე | მერანი |
| 7 - გოდერძიშვილი | სიონი |

# მანჩესტერი და კვლავ



REUTERS

მანჩესტერი — არსენალი. მასპინძელთა ორივე საგოლე პასი რუუდ ვან ნისტელროიმ (შუაში) გააზერხა

გასულ შაბათს „ოლდ ტრეფორდზე“ შეხვდით გაიმართა თამაში, რომელიც მთელი შობამდელი პრემიერლიგისთვის გადამწყვეტი იყო. „მანჩესტერ იუნაიტედმა“ 2:0 მოუგო „არსენალს“ და ამით ათქმევინა „მეთოფეთა“ მენეჯერ არსენ ვენგერს: „ჩემპიონობისთვის ბრძოლა ღია შეიქნა. „მანჩესტერი“ ჩაერთო ამ საქმეში.“

ახლა, პირველ ადგილზე დარჩენილ „არსენალსა“ და „მანჩესტერს“ შორის სხვაობა სამი ქულაა. სამი ქულა კი ერთი ფეხის დაცდენა და ერთი იოლი გამარჯვებაა.

საერთოდ, ორივე მენეჯერმა გადამწყვეტი უწოდა ამ შეხვედრას. სერ ალექს ფერგიუსონმა ისიც თქვა, რომ მისმა გუნდმა თანაქალაქელ „სიტისთან“ მარცხის შემდეგ დაიწყო აღმასვლა, იმის მიუხედავად, რომ ძირითად შემადგენლობაში კვლავ არ ჰყავთ ბექჰემი, კინი, ფერდინანდი და ბლანი. ვენგერმა კი განაცხადა, რომ შაბათს „მანჩესტერმა“ ისე ითამაშა, თითქოს თასის ფინალი იყოო.

და მაინც, როგორი იყო ეს თამაში? თავიდან ღია, მერე კი ჩაკეტილი და მძიმე. „მეთოფეებს“ ტრავმირებული სოლ კემპბელის ნაცვლად ნაცადი მარტინ კიოუნი გამოეყვანათ, ფერგის კი „ლივერპულთან“ მატჩის გმირი დიეგო ფორლანი დაესვა სკამზე.

დაშავებული ფორჩუნის ნაცვლად კი როგორც იქნა, სალიგო სასტარტოში ხუან ვერონი გამოჩნდა და გაირკვა, რომ მწვრთნელმა მოარტყა. „ლა ბრუხიტამ“ (ჯადოქრის ნაშიერი) გაიტანა შეხვედრის პირველი და გადამწყვეტი გოლი და „მანჩესტერში“ გადასვლის შემდეგ საუკეთესო თამაშიც გამოუვიდა. ეს იყო ძველი, ლაციოელი ვერონის თამაში.

თუმცა „მანჩესტერს“ სხვა გმირიც ჰყავდა. ორივე საგოლე პასი რუუდ ვან ნისტელროიმ გააზერხა. პირველი გოლისას რუუდს მკლავზე მოხვდა ბურთი, მაგრამ მსაჯმა დერმოტ გალაჰერმა არ დაუსტვინა, ამან კი თამაშის შემდეგ სალაპარაკო მისცა ვენგერს. მეორე გოლი პოლ სქოულზმა მაშინ გაიტანა, როცა „მეთოფეთა“ კუნთდაჭიმული მეკარე რამი შაბანი უკვე სტიუარტ ტეილორს შეეცვალა.

„არსენალს“ უფრო ვერონის გოლამდე ჰქონდა მომენტები — მეკარესთან პირისპირ დარჩენილ ტიერი ანრის ერთი შეხებით სურდა გატანა, მაგრამ ბარტეზმა ფანდი ამოუცნო. ანრი-რობერ პირესის კედელიც ბრწყინვალე იყო, ოღონდ ამ უკანასკნელმა კარს ააცდინა ბურთი. 55 თამაშის თავზე „არსენალი“ პირველად გავიდა მოედნიდან უგოლოდ.

„არსენალსა“ და „მანჩესტერს“ შუა კი ცხრილში დგას „ჩელსი“, რომელმაც ასევე საცხრილო ბრძოლა გადაიხადა ლივერპულში, „ევერტონს“ 3:1 მოუგო და დევიდ მოიესის ბოლოხანს წამოქაჩული „ევერტონი“ დაბლა დასწია. „არისტოკრატებისა და მეკობრეთა ბრძოლა“ (ასე უწოდა კლაუდიო რანიერიმ) საუცხოო საქცერი იყო. „ჩელსი“, რომელმაც იოლად მოუგო „ევერტონს“ ლიგის თასის შეხვედრა შუა კვირაში, ახლაც იოლად დაწინაურდა, ნახევარ საათში კი ორი ბურთით იგებდა. მაგრამ ნამდვილი ბრძოლა ამის შემდეგ გახურდა. გარი ნეისმიტმა პირველ ტაიმშივე გაქვითა ერთი გოლი და მთელი მეორე ნახევარი „ევერტონმა“ თავზეხელაღებულ შეტევებში გალია. მასპინძელთა ამ შეტევებს მოჰყვა სტუმართა გოლი სულ ბოლო წუთზე. ამ დროს უკვე გაეძევებინათ დევიდ ანსუორთი, რომელსაც იესპერ გრონკიაერთან მოსვლოდა ჩხუბი. მასპინძელთა რიგებში კვლავ გამოჩნდა ყრმა უეინ რუნი, რომელსაც კვლავ შეეძლო შეხვედრის გმირი შექნილიყო, თუმცა ეს საქმე მეკარე კარლო კუდიჩინიმ არ დაანება.

ზედიზედ მესამედ, ამჯერად ჩარლტონში, წააგო „ლივერპულმა“, რომელსაც ირფ დუდეკის ნაცვლად კირკლანდი ედგა კარში. კვლავ მოიგო „საუთჰემპტონმა“, ხოლო ჯეიმს ბიტის კვლავ ვერ ამოსდეს ლაგამი — სამხრეთელმა დუბლი აასრულა და ბოლო 8 თამაშში 11 გოლი დაუგროვდა. კვლავაც ვერ დააკავეს ალან შირერი, რომლის თავურმაც ამ სეზონში მეორე გასვლითი თამაში მოაგებინა „ნიუკასლს“, ამჯერად „ასტონ ვილასთან“. კვლავ წააგო „ლიდსმა“, სტუმრად „ფულემთან“, ამ სეზონში კი მეათედ. ტანჯულმა მენეჯერმა ტერი ვენეიბლზმა კი ოლივიე დაკურის გაყიდვის სურვილი გამოთქვა.

უქმეების ფრაზად კი გამოდგება „ტოტენჰემთან“ დამარცხებული „ვესტ ბრომვიჩის“ მენეჯერის, გარი მეგსონის სიტყვები: „მთელი სეზონი რომ ასე გვეთამაშა, როგორც ამ წაგებულ მატჩში, ლიდერები ვიქნებოდით.“

**ირაკლი ბაჩულიძე**

## ინგლისი

### პრემიერლიგა. XVII ტური

**მანჩესტერი 2:0 არსენალი**

1:0 ვერონი (22), 2:0 სქოულზი (73)
მანჩესტერი: ბარტეზი, ჯ. ნევილი, ბრაუნი, სილვესტრი, ოშე, ვერონი, ფ. ნევილი, სქოულზი, გიგზი, ვან ნისტელროი, სოლსკიაერი
მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი
არსენალი: შაბანი (ტეილორი 43), ეშლი კოული, სიგანი, კიოუნი, ლუენი, პირესი (ტური 77), ჟილბერტო სილვა, ვიეირა, ლუნგბერგი, ანრი, ვილტორდი (ბერხკამპი 68)
მწვრთნელი: არსენ ვენგერი
გაფრთხილება: ფ. ნევილი, ლუენი, სიგანი
მსაჯი: გალაჰერი
67 650 მაყურებელი

**ასტონ ვილა 0:1 ნიუკასლი**

0:1 შირერი (82)
ასტონ ვილა: ენკელმანი, სამუელი, მელბერგი, იონსენი, ბერი (კინსელა 42), დე ლა კრუზი, ჰენდრი, ლეონარდსენი, ჰიტცლსბერგერი, დაბლინი (ანჯელი 66), ვასელი
მწვრთნელი: გრემ ტეილორი
ნიუკასლი: გივენი, გრიფინი, ობრაიენი, ჰიუზი, ბერნარდი, სოლანო, ჯენასი, დაიერი, რობერი, შირერი, ბელამი
მწვრთნელი: ბობი რობსონი
გაფრთხილება: იონსენი, ჰენდრი
მსაჯი: ბენეტი
33 446 მაყურებელი

**ბოლტონი 1:1 ბლეკბერნი**

1:0 ოკოჩა (8), 1:1 შორტი (90)
ბოლტონი: იასკელაინენი, ბარნესი, ბერგსონი, კამპო, ჩარლტონი, ოკოჩა (ტოფტინგი 74), ფრანდსენი, ვარჰურსტი (ნოლანი 51), გარდნერი (რიკეტსი 54), ჟორკაეფი, პედერსენი
მწვრთნელი: სემ ოლდარდისი
ბლეკბერნი: ფრიდელი, ნაილი, შორტი, ტეილორი, მაკეილი (იოჰანსონი 52), ტომპსონი, ფლიტკროფტი, დანი (თუგაი 11), დაფი, იორკი, ენდი კოული
მწვრთნელი: გრემ სუნესი
გაფრთხილება: ჟორკაეფი, ფრანდსენი, ტომპსონი, თუგაი
მსაჯი: ბერი
24 556 მაყურებელი

**ჩარლტონი 2:0 ლივერპული**

1:0 იუელი (36), 2:0 კონჩესკი (78)
ჩარლტონი: კიელი, როუეტი, რუფუსი, ფიში, პაუელი, ლისბი, პარკერი (იენსენი 69), კიშიშევი (იანგი 80), კონჩესკი, იუელი, ბარტლეტი (სვენსონი 88)
მწვრთნელი: ალან კერბიშლი
ლივერპული: კირკლანდი, ტრაორე (ბაროში 61), ანშო, ჰიპია, კარაგერი, მერფი, ჰამანი, ჟერარდი, ჰესკი (რიისე 37), ოუენი, დიუფი
მწვრთნელი: ჟერარ ულიე
გაფრთხილება: იუელი, კონჩესკი, სვენსონი, ტრაორე, ანშო, ჰამანი
მსაჯი: რაილი
26 694 მაყურებელი

**ევერტონი 1:3 ჩელსი**

0:1 სტანიჩი (5), 0:2 ჰასელბაინკი (28), 1:2 ნეისმიტი (43), 1:3 გრონკიაერი (90)
ევერტონი: რაიტი, ჰიბერტი, იობო, სტაბსი, ანსუორთი, კარსლი, ლი ტიე (ჯემილი 63), გრაველსენი, ნეისმიტი, რაძინსკი (რუნი 63), ქ. კემპბელი
მწვრთნელი: დევიდ მოიესი
ჩელსი: კუდიჩინი, მელხიოტი, გალასი, დესაი, ლე სო, ლამპარდი, სტანიჩი (გრონკიაერი 60), პეტი, დე ლუკასი (ტერი 76), ჰასელბაინკი (გუდიონსენი 84), ძოლა
მწვრთნელი: კლაუდიო რანიერი
გაფრთხილება: სტაბსი, სტანიჩი, დე ლუკასი, გალასი, ჰასელბაინკი, ლამპარდი, გრონკიაერი
გაძევება: ანსუორთი (90)
მსაჯი: უოლსტენჰოლმი
39 396 მაყურებელი

**ფულემი 1:0 ლიდსი**

1:0 ჯიტუ (10)
ფულემი: ვან დერ სარი, ფინანი, მელვილი, ვომე, ბრევეტი, გოლდბეკი, მალბრანკი, დევისი, ლეგვინსკი, ბოა მორტე, ჯიტუ
მწვრთნელი: ჟან ტიგანა
ლიდსი: რობინსონი, კელი, უუდგეიტი, დაბერი, ჰარტი (მილსი 73), ბაკე, ოკონი, მაკფაილი (მილნერი 57), უილკოქსი, სმიტი (ფაულერი 45), ბრიჯესი
მწვრთნელი: ტერი ვენეიბლზი
გაფრთხილება: ლეგვინსკი, დევისი, ვომე, ბაკე, ფაულერი, უილკოქსი, უუდგეიტი
მსაჯი: დარკინი
17 494 მაყურებელი

**მიდლსბრო 2:2 ვესტ ჰემი**

0:1 კოული (46), 1:1 ნემეტი (58), 1:2 პირსი (76), 2:2 ეჰიოგუ (88)
მიდლსბრო: შვარცერი, კუდრუ, ეჰიოგუ, საუთგეიტი, ვიდმარი (ნემეტი 45), პარნაბი, ბოატენგი, გრინინგი, ჯერემი, მაკარონე (უილკშირი 89), ბოკშიჩი (ველანი 86)
მწვრთნელი: სტივ მაკლარენი
ვესტ ჰემი: ჯეიმსი, უინტერბერნი, რეპკა, დეილი, შემენი, სინკლერი, კარიკი, ე. სისე (ვონკური 85), ჯო კოული, დეფო, პირსი (ბრინი 90)
მწვრთნელი: გლენ რიოდერი
გაფრთხილება: პარნაბი, რეპკა
მსაჯი: პოლი
28 283 მაყურებელი

**საუთჰემპტონი 2:0 ბირმინგემი**

1:0, 2:0 ბიტი (60პ, 83)
საუთჰემპტონი: ჯოუნსი, დოდი, ლუნდეკვამი, მ. სვენსონი, ბრიჯი, ფერნანდესი (ტელფერი 88), ოუკლი, ა. სვენსონი, დელაპი, ბიტი, ორმეროდი (ტესემი 79)
მწვრთნელი: გორდონ სტრაჩანი
ბირმინგემი: ვესენი, კენა, პარსი, ტებილი, კანინგემი, დ. ჯონსონი (კარტერი 71), ა. სისე (ფაგანი 81), ჰიუზი (კიროვსკი 81), ლაზარიდისი, მორისონი, იონი
მწვრთნელი: სტივ ბრიუსი
გაფრთხილება: დ. ჯონსონი, მორისონი
მსაჯი: ვინტერი
31 132 მაყურებელი

**ტოტენჰემი 3:1 ვესტ ბრომვიჩი**

1:0 ციგე (3), 2:0 კინი (30), 2:1 დობი (73), 3:1 პოიეტი (80)
ტოტენჰემი: კელერი, კარი, პერი, რიჩარდსი, ციგე, დევისი, კინგი (ივერსენი 64), რედნაპი, ანდერტონი, შერინგემი (პოიეტი 74), რობი კინი
მწვრთნელი: გლენ ჰოდლი
ვესტ ბრომვიჩი: ჰოულტი, ბალიში, უოლვორკი, მაკინესი, კლემენტი, ჯონსონი (ა. ჩემბერსი 85), გრეგანი, სიგურდსონი, კუმასი, ჰიუზი (დობი 55), რობერტსი (დიჩიო 81)
მწვრთნელი: გარი მეგსონი
გაფრთხილება: ციგე, კელერი, კლემენტი
მსაჯი: უილი
35 958 მაყურებელი

**სანდერლენდი — მანჩესტერ სიტი**

წუხელ გვიან გაიმართა (იხ. მე-2 გვერდზე) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა

| | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 არსენალი | 17 | 11 | 2 | 4 | 36:19 | 17 | 35 | 9 | 8 | 0 | 1 | 22:8 | 14 | 24 | 8 | 3 | 2 | 3 | 14:11 | 3 | 11 |
| 2 ჩელსი | 17 | 9 | 6 | 2 | 31:14 | 17 | 33 | 8 | 5 | 2 | 1 | 17:6 | 11 | 17 | 9 | 4 | 4 | 1 | 14:8 | 6 | 16 |
| 3 მანჩესტერი | 17 | 9 | 5 | 3 | 27:17 | 10 | 32 | 9 | 7 | 1 | 1 | 16:6 | 10 | 22 | 8 | 2 | 4 | 2 | 11:11 | 0 | 10 |
| 4 ლივერპული | 17 | 9 | 4 | 4 | 27:17 | 10 | 31 | 9 | 5 | 3 | 1 | 15:7 | 8 | 18 | 8 | 4 | 1 | 3 | 12:10 | 2 | 13 |
| 5 ევერტონი | 17 | 9 | 2 | 6 | 20:20 | 0 | 29 | 8 | 5 | 2 | 1 | 12:8 | 4 | 17 | 9 | 4 | 0 | 5 | 8:12 | -4 | 12 |
| 6 ნიუკასლი | 16 | 9 | 1 | 6 | 26:23 | 3 | 28 | 8 | 7 | 0 | 1 | 16:6 | 10 | 21 | 8 | 2 | 1 | 5 | 10:17 | -7 | 7 |
| 7 ტოტენჰემი | 17 | 8 | 3 | 6 | 23:23 | 0 | 27 | 8 | 6 | 1 | 1 | 14:8 | 6 | 19 | 9 | 2 | 2 | 5 | 9:15 | -6 | 8 |
| 8 საუთჰემპტონი | 17 | 7 | 5 | 5 | 20:17 | 3 | 26 | 9 | 5 | 4 | 0 | 14:6 | 8 | 19 | 8 | 2 | 1 | 5 | 6:11 | -5 | 7 |
| 9 მიდლსბრო | 17 | 7 | 4 | 6 | 21:15 | 6 | 25 | 9 | 6 | 3 | 0 | 17:7 | 10 | 21 | 8 | 1 | 1 | 6 | 4:8 | -4 | 4 |
| 10 ბლეკბერნი | 17 | 6 | 6 | 5 | 23:20 | 3 | 24 | 9 | 3 | 3 | 3 | 13:11 | 2 | 12 | 8 | 3 | 3 | 2 | 10:9 | 1 | 12 |
| 11 ჩარლტონი | 17 | 7 | 2 | 8 | 18:20 | -2 | 23 | 8 | 3 | 1 | 4 | 10:12 | -2 | 10 | 9 | 4 | 1 | 4 | 8:8 | 0 | 13 |
| 12 ფულემი | 17 | 6 | 4 | 7 | 22:22 | 0 | 22 | 9 | 5 | 2 | 2 | 13:8 | 5 | 17 | 8 | 1 | 2 | 5 | 9:14 | -5 | 5 |
| 13 ბირმინგემი | 17 | 5 | 5 | 7 | 16:21 | -5 | 20 | 8 | 3 | 2 | 3 | 9:8 | 1 | 11 | 9 | 2 | 3 | 4 | 7:13 | -6 | 9 |
| 14 სიტი | 16 | 6 | 2 | 8 | 17:23 | -6 | 20 | 8 | 4 | 1 | 3 | 11:11 | 0 | 13 | 8 | 2 | 1 | 5 | 6:12 | -6 | 7 |
| 15 ასტონ ვილა | 17 | 5 | 4 | 8 | 15:17 | -2 | 19 | 9 | 5 | 1 | 3 | 13:7 | 6 | 16 | 8 | 0 | 3 | 5 | 2:10 | -8 | 3 |
| 16 ლიდსი | 17 | 5 | 2 | 10 | 20:25 | -5 | 17 | 8 | 2 | 0 | 6 | 8:13 | -5 | 6 | 9 | 3 | 2 | 4 | 12:12 | 0 | 11 |
| 17 ვესტ ბრომვიჩი | 17 | 4 | 3 | 10 | 12:25 | -13 | 15 | 8 | 3 | 2 | 3 | 6:8 | -2 | 11 | 9 | 1 | 1 | 7 | 6:17 | -11 | 4 |
| 18 ბოლტონი | 16 | 3 | 5 | 8 | 18:28 | -10 | 14 | 8 | 1 | 5 | 2 | 9:10 | -1 | 8 | 8 | 2 | 0 | 6 | 9:18 | -9 | 6 |
| 19 სანდერლენდი | 16 | 3 | 5 | 8 | 8:20 | -12 | 14 | 7 | 2 | 1 | 4 | 4:7 | -3 | 7 | 9 | 1 | 4 | 4 | 4:13 | -9 | 7 |
| 20 ვესტ ჰემი | 17 | 3 | 4 | 10 | 17:31 | -14 | 13 | 9 | 0 | 3 | 6 | 7:14 | -7 | 3 | 8 | 3 | 1 | 4 | 10:17 | -7 | 10 |

### XVIII ტური

**14 დეკემბერი**

ასტონ ვილა — ვესტ ბრომვიჩი
ტოტენჰემი — არსენალი
ჩარლტონი — მანჩესტერ სიტი
ევერტონი — ბლეკბერნი
ფულემი — ბირმინგემი
მანჩესტერი — ვესტ ჰემი
მიდლსბრო — ჩელსი
საუთჰემპტონი — ნიუკასლი

**15 დეკემბერი**

სანდერლენდი — ლივერპული

**16 დეკემბერი**

ბოლტონი — ლიდსი

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ბიტი (საუთჰემპტონი) | 11 |
| შირერი (ნიუკასლი) | 10 |
| ძოლა (ჩელსი) | 9 |
| ანრი (არსენალი) | 9 |
| ოუენი (ლივერპული) | 8 |
| ვილტორდი (არსენალი) | 8 |
| ვან ნისტელროი (მანჩესტერ იუნ.) | 8 |
| ანელკა (მანჩესტერ სიტი) | 8 |

## I დივიზიონი

### I დივიზიონი. XXII ტური

**დერბი ქაუნთი 3:0 უოტფორდი**

1:0 მორისი (4), 2:0 რიგოტი (62), 3:0 ბარტონი (71)
დერბი ქაუნთი: გრანტი, რიგოტი, ელიოტი, ჰიგინბოთემი, ბარტონი (ბოლდერი 35), ლი (ევატი 89), ბარლი, ბოერტენი, კრისტი, ბარტონი, მორისი (მაკლეოდი 86)
გიორგი ქინქლაძე სათადარიგო იყო
მწვრთნელი: ჯონ გრეგორი
21 653 მაყურებელი

**რედინგი 0:0 პორტსმუთი**

**ბრედფორდი 1:3 ჯილინგემი**

1:0 გრეი (42), 1:1, 1:2 კინგი (59პ, 74), 1:3 უოლესი (90)

**ბარნლი 1:0 ნოტინგემი**

1:0 ლი ბრისკო (28)

**კრისტალ პალასი 1:0 მილუოლი**

1:0 გრეჩელი (73)

**იფსვიჩი 1:2 როტერჰემი**

1:0 ვილნისი (11), 1:1 ტალბოტი (25), 1:2 ბარკერი (45)

**ლესტერი 0:0 შეფილდი**

**პრესტონი 3:5 უიმბლდონი**

1:0 ლაიგერტვუდი (11ს.კ.), 1:1 კონოლი (40), 2:1 მაკკენა (41), 3:1 ალექსანდერი (56პ), 3:2 კონოლი (65პ), 3:3, 3:4 მაკანუფი (72, 82), 3:5 რეო-ქოკერი (90)

**უენსდი 1:1 ბრაიტონი**

0:1 ბარტი (20), 1:1 კუქი (90)

**სტოკი 1:2 ქოვენთრი**

0:1, 0:2 ბოთროიდი (16, 21), 1:2 ჰუქსტრა (35)
გაძევება: ტომასი (74), გუნარსონი (90)

**უოლსოლი 3:1 გრიმსბი**

1:0 ჟუნიორი (27), 1:1 ლივინგსტონი (38), 2:1 ლეიტონ (66), 3:1 ვროკი (87)

**ვულვერჰემპტონი 1:0 ნორვიჩი**

1:0 კოული (37)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტსმუთი | 22 | 16 | 4 | 2 | 46:20 | 52 |
| ლესტერი | 22 | 13 | 6 | 3 | 33:20 | 45 |
| ნოტინგემი | 22 | 11 | 6 | 5 | 38:21 | 39 |
| ნორვიჩი | 22 | 11 | 6 | 5 | 34:18 | 39 |
| რედინგი | 21 | 12 | 3 | 6 | 24:14 | 39 |
| ვულვზი | 21 | 10 | 6 | 5 | 39:21 | 36 |
| შეფილდი | 21 | 10 | 6 | 5 | 33:24 | 36 |
| უოტფორდი | 22 | 10 | 4 | 8 | 27:32 | 34 |
| ბარნლი | 22 | 9 | 5 | 8 | 31:34 | 32 |
| როტერჰემი | 22 | 8 | 7 | 7 | 34:26 | 31 |
| უიმბლდონი | 22 | 9 | 4 | 9 | 38:36 | 31 |
| კრ. პალასი | 22 | 7 | 9 | 6 | 32:26 | 30 |
| დერბი | 22 | 9 | 3 | 10 | 27:28 | 30 |
| ქოვენთრი | 22 | 8 | 6 | 8 | 27:30 | 30 |
| მილუოლი | 22 | 8 | 5 | 9 | 23:31 | 29 |
| პრესტონი | 22 | 6 | 10 | 6 | 37:38 | 28 |
| ჯილინგემი | 22 | 7 | 7 | 8 | 24:29 | 28 |
| უოლსოლი | 22 | 7 | 4 | 11 | 34:38 | 25 |
| იფსვიჩი | 20 | 6 | 5 | 9 | 25:25 | 23 |
| ბრედფორდი | 22 | 4 | 7 | 11 | 22:41 | 19 |
| გრიმსბი | 22 | 4 | 5 | 13 | 24:44 | 17 |
| სტოკი | 22 | 3 | 6 | 13 | 22:40 | 15 |
| უენსდი | 22 | 2 | 8 | 12 | 17:36 | 14 |
| ბრაიტონი | 21 | 3 | 4 | 14 | 21:40 | 13 |

### ასოციაციის თასი. II ეტაპი

ბლეკპული — ტორკი 3:1; მარგეიტი — კარდიფი 0:3; დარლინგტონი — სტივენიჯი 4:1; სკანთორპი — კარლაილი 0:0; ქრიუ — მენსფილდი 3:0; ექსეტერი — რაშდენი 3:1; საუთენდი — ბორნმუთი 1:1; იორკი — ბრენტფორდი 1:2; კემბრიჯი — ნორთჰემპტონი 2:2; უიგანი — ლუტონი 3:0; სტოკპორტი — პლიმუთი 0:3; შრიუსბერი — ბაროუ 3:1; როჩდეილი — ბოლდეილი 1:1; ოლდემი — ჩელტენემი 1:2; მაკლსფილდი — ვოქსჰოლი 2:0; ჰაროგეიტი — ბრისტოლი 1:3; ოქსფორდი — სუინდონი 1:0

# გერმანია

## ბუნდესლიგა. XVI ტური

### ჰერთა 2:2 ვოლფსბურგი

1:0 სიმუნიჩი (25), 2:0 გოორი (47), 2:1 პონტე (63), 2:2 მაქსენი (90)
ჰერთა: კირალი, რემერი, სიმუნიჩი, ნენე, ფრიდრიხი, დარდაი, ბაინლიხი, მარქსი (პინტო 78), გოორი, მარსელინიო, პრეცი (სვერისონი 89)
მწვრთნელი: ჰუუბ სტივენსი
ვოლფსბურგი: რაიტმაიერი, რიტერი, მაქსენი (ფრანცი 90), შნური, ვაიზერი (პეტროვი 58), კარჰანი, მუნტიანუ, აკონორი, ეფენბერგი, პონტე, მარიჩი
მწვრთნელი: ვოლფგანგ ვოლფი
გაფრთხილება: მარსელინიო, სიმუნიჩი, სვერისონი
მსაჯი: ფლეშერი
33 163 მაყურებელი

### არმინია 3:0 ჰანზა

1:0, 2:0 ვიჩნიარეკი (45, 55), 3:0 რაინჰარდტი (81)
არმინია: ჰაინი, ლენსე, რაინჰარდტი, ჰანსენი, მურავსკი (ბოგუში 87), დაბროვსკი, დამეიერი, ბრინკმანი, ვატა (ჩა 78), დიაბანგი (ალბაირაკი 74), ვიჩნიარეკი
მწვრთნელი: ბენო მოლმანი
ჰანზა: შობერი, ვიმერი, იაკობსონი, კოვარი, მაული, ადუბე, ლანტცი, ჰირში (მეგლე 46), ვიბრანი, არვიდსონი, პრიკა (მეორლე 64)
მწვრთნელი: არმინ ვეჰი
გაფრთხილება: მეგლე
გაძევება: იაკობსონი (59)
მსაჯი: სტარკი
19 109 მაყურებელი

### შალკე 1:1 ვერდერი

0:1 დაუნი (3), 1:1 სანდი (8)
შალკე: როსტი, ჰაიტო (ვან კერკჰოვენი 71), ვან ჰოოგდალემი, მატელანი, კამფუისი (კმეტში 46), პოულსენი, ასამოა (იოდო 83), მოლერი, ვერმანტი, სანდი, მპენზა
მწვრთნელი: ფრანკ ნოიბართი
ვერდერი: ბორელი, ბაუმანი, ვერლაატი, კრსტაიჩი, სტალტერი, ფ. ერნსტი, სკრიპნიკი, ლისტეში (ბანოვიჩი 78), მიკუ, დაუნი (ხარისტეასი 74), აილტონი
მწვრთნელი: თომას შააფი
გაფრთხილება: მოლერი, ჰაიტო, აილტონი, სტალტერი, მიკუ
მსაჯი: ფრიოლიხი
60 600 მაყურებელი

### მიუნხენ 1860 0:3 ლევერკუზენი

0:1 ბიროფკა (9), 0:2 ბერბატოვი (51), 0:3 ნოივილე (89)
მიუნხენ 1860: იენში, ჩერნი, ელერსი, ვოტავა (აგოსტინო 71), პიურკი (ბორიმიროვი 59), მეიერი, შტრანცლი, კურცი, ვაისენბერგერი (შუკერი 59), ლაუტი, შროტი
მწვრთნელი: პეტერ პაკულტი
ლევერკუზენი: ჰ. ბუტი, ჟივკოვიჩი, რამელო, ჟუანი, ბალიტჩი, ბ. შნაიდერი (პრეოსი 89), ბაბიჩი, ბაშტურქი (კლეინი 71), ნოივილე, ფრანცა (ბერბატოვი 46), ბიროფკა
მწვრთნელი: კლაუს ტოპმოლერი
გაფრთხილება: ელერსი
მსაჯი: მერკი
20 000 მაყურებელი

### შტუტგარტი 0:3 ბაიერნი

0:1 ციკლერი (29), 0:2, 0:3 სანტა კრუზი (33, 68)
შტუტგარტი: ჰილდებრანდი, ჰინკელი, მეირა, ბორდონი (ტ. შნაიდერი 72), გერბერი (ვენცელი 46), მაისნერი, ტიფერტი (განეა 64), გლები, ბალაკოვი, ამანატიდისი, კურანი
მწვრთნელი: ფელიქს მაგათი
ბაიერნი: კანი, ჰარგრივსი, რ. კოვაჩი, თ. ლინკე, ლიზარაზუ, იერემისი (ფინკი 88), ნ. კოვაჩი (შვაინშტაიგერი 83), ბალაკი, სანტა კრუზი, ციკლერი (ზე რობერტო 78), ელბერი
მწვრთნელი: ოტმარ ჰიცფელდი
გაფრთხილება: ჰინკელი, მაისნერი, ნ. კოვაჩი
მსაჯი: შტინბორნი
53 400 მაყურებელი




REUTERS მიუნხენიდან

მიუნხენი — ლევერკუზენი. მასპინძელთა რბევა დანიელ ბიროფკამ დაიწყო

# ლევერკუზენი კუზიანი კვიცივით გაჭენდა
# კრუზის კრულვა მაგათს

### ნიურნბერგი 2:2 კოტბუსი

0:1 კალუჟნი (15), 1:1 ნიკლი (41), 2:1 პეტკოვიჩი (52პ), 2:2 იუნგნიკელი (86)
ნიურნბერგი: კამპა, პეტკოვიჩი, სანე, ნიკლი, ვოლფი, ლარსენი, ტოდოროვიჩი, იაროლიმი (ჟუნიორი 87), ლ. მიულერი, კაკაუ, ჩირიჩი
მწვრთნელი: კლაუს აუგენტალერი
კოტბუსი: ლენცი, კალუჟნი, ბეკი (როზგონი 61), და სილვა, შროტერი (იუსკოვიაკი 75), ტ. როსტი, ლოუ ლატუნდი, რეგეკამპფი, ტოპიჩი, რინკი (იუნგნიკელი 53)
მწვრთნელი: ედუარდ გაიერი
გაფრთხილება: ლარსენი, და სილვა, ბეკი, შროტერი
გაძევება: ტ. როსტი (60)
მსაჯი: კრუგი
17 600 მაყურებელი

### მიონხენგლადბახი 1:0 ჰანოვერი

1:0 დემო (15)
მიონხენგლადბახი: მელკა, ებერლი, პლეტში, ვიტეჩეკი, შტრასერი (მიუნხი 85), ჰაუსვაილერი, დემო (კორელი 79), ულრიხი, აიდო, ვან ჰუტი, ფელგენაუერი (კორზინეცი 69)
მწვრთნელი: ჰანს მაიერი
ჰანოვერი: სივერსი, ჩერუნდოლო, კონსტანტინიდისი, ჟურავი, ოსვალდი (შულერი 46), დე გუზმანი (სტენდელი 64), ხაიმე, კრუპნიკოვიჩი, სტაიმერი (კუფმანი 82), ბობიჩი, იდრისუ
მწვრთნელი: რალფ რანგნიკი
გაფრთხილება: შტრასერი, ლიტეჩეკი, დე გუზმანი, ოსვალდი, იდრისუ, ხაიმე
მსაჯი: უოკე
24 500 მაყურებელი

### ჰამბურგი 1:1 ბოხუმი

1:0 ბარბარეზი (56), 1:1 გრაულინდი (90)
ჰამბურგი: პიკენჰაგენი, ფუკალი, ჰერტჩი, იუფფალუში, ჰოლერბახი, მალტრიცი, ბენჯამინი, კარდოსო (რაჰნი 74), მაჰდავიკია, ბარბარეზი, კრისტენსენი (ანტარი 84)
მწვრთნელი: კურტ იარა
ბოხუმი: ვანდერი, კოლდინგი, კალა, ფარენჰორსტი, მაიხელბეკი, გუდიონსონი (გრაულინდი 65), შინძილორცი (ვრაიზდე 82), ვოში (ბემბენი 21), ფრაიერი, ტ. კრისტიანსენი, ჰაშემიანი
მწვრთნელი: პეტერ ნოიორურერი
გაფრთხილება: ფუკალი, ჰერჩი, კალა
გაძევება: ბარბარეზი (68)
მსაჯი: ალბრეხტი
39 028 მაყურებელი

### დორტმუნდი 3:1 კაიზერსლაუტერნი

1:0 როსიცკი (22), 1:1 დომინგუში (24), 2:1, 3:1 ამოროზო (74, 78)
როსიცკიმ ვერ გაიტანა პენალტი (45, აცილა)
დორტმუნდი: ლემანი, ვოორნსი, მეცელდერი, შ. როიტერი, ევანილსონი, ჰაინრიხი, ფრინგსი, როსიცკი (მადუნი 81), რიკენი (რეინა 63), იან კოლერი, ევერტონი (ამოროზო 63)
მწვრთნელი: მათიას ზამერი
კაიზერსლაუტერნი: გ. კოხი, ჰ. კოხი, კლოსე (ტ. როიტერი 81), ბასლერი, რიდლი, სფორცა (ტებერი 39), რამზი, ტიმი, დომინგუში, ლინკოლნი (აჯიჩი 80), ლოკვენცი
მწვრთნელი: ერიკ გერეტსი
გაფრთხილება: ბასლერი, ლინკოლნი, დომინგუში
მსაჯი: შტრამპე
68 000 მაყურებელი

**გელზენკირხენში** ბრემენელმა „მუსიკოსებმა“ ქულა აწაპნეს „ზუმარებს“ და მიუნხენის „ბაიერნმაც“ უახლოეს მდევრებთან რვაქულიანი ფორა დაიბევა.

სასწაულებს სჩადის როკე სანტა კრუზი — მან ამჯერად დუბლი მიითვალა, ხოლო მისი მეორე გოლის ნახვა ერთ რამედ ღირდა — ჰაერში შეყოვნებულმა უმშვენიერესი შეაგდო.

ეს პარაგვაელი ჭაბუკი 21 წლის გახლავთ, „ბაიერნში“ თავის მესამე სეზონს ატარებს და ლამაზ გოლებსაც გაუშინაურდა.

რაც შეეხება მარად პერსპექტიულ 28 წლის ალექსანდრ ციკლერს, არც მისი თავური იყო დასაწუნი — ციკლერს ჯოვანი ელბერმა ჩააწოდა.

და მოძღვრება ფელიქს მაგათის უმობილურესი და უმწყობრესი „შტუტგარტის“ შესახებ უმალ გაუფასურდა.

მესამე ადგილზე ჩანაცვლებულ ბრემენის „ვერდერს“ აქამდე ზედიზედ სამი მატჩი მოეგო, „შალკესთანაც“ დაწინაურდა მარკუს დაუნის 15-16 მეტრიანი დარტყმით, მაგრამ „შალკეს“ დანიელმა ფორვარდმა და კაპიტანმა ებე სანდმა ხუთ წუთში ახლოდან გაათანაბრა.

„ზუმარებს“ ყოფილი ბრემენელი, ახმახი ფრანკ ნოიბარტი წვრთნის და აბა, როგორ იქნებოდა, გასალები რამენაირად არ მოერგო „ვერდერისთვის“.

დიდი ბრძოლა და ნერვების წიწკნა გადახდა „დორტმუნდს“. ჩემპიონები მას შემდეგ დაწინაურდნენ, როცა ტომაშ როსიცკის დარტყმული ბურთი ლაუტერნელ მცველ თომას კლოსს მოხვდა და ბადეში გაეხვა.

„კაიზერსლაუტერნმა“ პორტუგალიელი მარცხენაფლანგელის ჟოზე მანუელ დომინგუშის გოლით გაათანაბრა — მან ახლოდან შეაგდო.

პირველ ტაიმში როსიცკიმ 11-მეტრიანით ხარიხა შეაზანზარა, მაგრამ „ლაუტერნი“ მარსიო ამოროზომ მაინც გატეხა, თუმცა ერიკ გერეტსის გუნდი ბოლო ადგილზე არ ჩაქვეითებულა.

აუტსაიდერმა „კოტბუსმა“ ათი კაცით გამოსტაცა ფრე „ნიურნბერგს“. კოტბუსის „ენერგიმ“ მართლაც და, ლომივით იბრძოლა. პირველი გოლიც სტუმრებმა გაიტანეს — პოლონელმა შუახაზელმა რადისლავ კალუჟნიმ თავური შეაგდო. „ნიურნბერგმა“ ჩეხი მცველი მარეკ ნიკლის წყალობით გაათანაბრა და იუგოსლაველი მცველი ლუშა პეტკოვიჩის შემწეობით დაწინაურდა.

„კოტბუსს“ ნახევარმცველი ტომი როსტი მეორე გაფრთხილების გამო გაუგდეს, მაგრამ სტუმრებმა მაინც გაათანაბრეს — მატჩის დამთავრებამდე ოთხი წუთით ადრე ლარს იუნგნიკელმა შეაგდო.

ლომივით ვერ იბრძოლა „ცისფერ ლომებად“ წოდებულმა „მიუნხენ 1860“-მა. არადა, პეტერ პაკულტის გუნდს აგვისტოს აქეთ შინ არ წაეგო. ხოლო კლაუს ტოპმოლერმა ნამატჩევს გადაკრულად მიანიშნა, მაღალი მიზნებისთვის საბრძოლველად ჩამოსაწერნი როდი ვართო.

დანიელ ბიროფკამ და დიმიტარ ბერბატოვმა ახლოდან გაიტანეს, ოლივერ ნოივილმა კი შედარებით შორიდან — როგორც ირწმუნებიან, „ლევერკუზენმა“ ერთობ ჯიგრიანად ითამაშა.

დიდი ანგარიშით მოიგო ბილეფელდის „არმინიამაც“. კვლავ დუბლით გამოირჩა არტურ [illegible] — ეს პოლონელი თავ[illegible] ფორმაშია. მან ჯერ ათი მეტრიდან გაიტანა, მერე კი მამადუ დიაბანგა უფრო ახლოდან ახეირა.

წინა ტურში „არმინიასგან“ შინ ნაგვემმა „ბოხუმმა“ ქულა წაიღო ჩრდილოეთიდან. ბოსნიელმა სერგი ბარბარესმა „ჰამბურგი“ დააწინაურა და 12 წუთის შემდეგ მინდვრიდან ორი ყვითელი ბარათის გამო მიაბრძანეს. დრო პეტერ გრილინდსაც უნდა დავუთვალოთ — მან 89 წუთზე და 57 წამზე გაათანაბრა.

ცუდი ამბავი შეემთხვა „ბოხუმის“ 33 წლის კაპიტან დარიუს ვოშს — ის 21-ე წუთზე შეცვალეს და წინასწარი მონაცემებით, მუხლის მყესები აქვს დაწყვეტილი.

მეორე ბუნდესლიგის ჩემპიონმა „ჰანოვერმა“ ზედიზედ მეოთხე მატჩი წააგო და ბოლოდან მესამე ადგილს ჩაეჭიდა. ხოლო მიონხენგლადბახური „ბორუსია“ ამ მოგებით მე-15-დან მე-13 საფეხურზე ალზევდა — ამ ნობათის გოლავტორი სლოვაკი ნახევარმცველი იგორ დემო შეიქნა.

ვერ მოიგო ბერლინის „ჰერტამ“. დედაქალაქელებმა ორბურთიანი უპირატესობა გაატანეს ნამქერს, ხოლო მისი ფანები ტრიბუნებზე მართლაც კარგად ითოშებოდნენ. ხორვატი მცველის იოზიფ სიმუნიჩის და ბელგიელი შუახაზელის ბარტ გოორის გოლები საკმარისი არ აღმოჩნდა გამარჯვებისთვის — რობსონ პონტემ თავურით უპასუხა, ხოლო კიმ მადსენმა ახლოდან გაიტანა და „ვოლფსბურგიც“ თავაწეული დაბრუნდა ფოლკსვაგენეთში.

**დავით თავართქილაძე**

| № | სულ თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | შინ თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | სტუმრად თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 ბაიერნი | 16 | 12 | 2 | 2 | 36:14 | 22 | 38 | 8 | 7 | 1 | 0 | 24:9 | 15 | 22 | 8 | 5 | 1 | 2 | 12:5 | 7 | 16 |
| 2 დორტმუნდი | 16 | 8 | 6 | 2 | 24:13 | 11 | 30 | 8 | 4 | 4 | 0 | 12:6 | 6 | 16 | 8 | 4 | 2 | 2 | 12:7 | 5 | 14 |
| 3 ვერდერი | 16 | 9 | 3 | 4 | 32:27 | 5 | 30 | 8 | 6 | 1 | 1 | 20:12 | 8 | 19 | 8 | 3 | 2 | 3 | 12:15 | -3 | 11 |
| 4 შალკე | 16 | 7 | 6 | 3 | 21:14 | 7 | 27 | 8 | 3 | 4 | 1 | 10:6 | 4 | 13 | 8 | 4 | 2 | 2 | 11:8 | 3 | 14 |
| 5 შტუტგარტი | 16 | 6 | 6 | 4 | 25:21 | 4 | 24 | 8 | 4 | 3 | 1 | 15:8 | 7 | 15 | 8 | 2 | 3 | 3 | 10:13 | -3 | 9 |
| 6 მიუნხენი | 16 | 7 | 3 | 6 | 24:23 | 1 | 24 | 8 | 4 | 2 | 2 | 14:10 | 4 | 14 | 8 | 3 | 1 | 4 | 10:13 | -3 | 10 |
| 7 ჰამბურგი | 16 | 7 | 3 | 6 | 21:23 | -2 | 24 | 8 | 5 | 2 | 1 | 11:8 | 3 | 17 | 8 | 2 | 1 | 5 | 10:15 | -5 | 7 |
| 8 ჰერტა | 16 | 6 | 5 | 5 | 18:17 | 1 | 23 | 8 | 3 | 3 | 2 | 12:9 | 3 | 12 | 8 | 3 | 2 | 3 | 6:8 | -2 | 11 |
| 9 ვოლფსბურგი | 16 | 7 | 2 | 7 | 19:20 | -1 | 23 | 7 | 6 | 0 | 1 | 11:4 | 7 | 18 | 9 | 1 | 2 | 6 | 8:16 | -8 | 5 |
| 10 ბოხუმი | 16 | 6 | 4 | 6 | 30:27 | 3 | 22 | 8 | 3 | 1 | 4 | 13:12 | 1 | 10 | 8 | 3 | 3 | 2 | 17:15 | 2 | 12 |
| 11 არმინია | 16 | 6 | 3 | 7 | 21:24 | -3 | 21 | 8 | 5 | 1 | 2 | 13:6 | 7 | 16 | 8 | 1 | 2 | 5 | 8:18 | -10 | 5 |
| 12 ლევერკუზენი | 16 | 5 | 5 | 6 | 24:25 | -1 | 20 | 8 | 2 | 2 | 4 | 11:15 | -4 | 8 | 8 | 3 | 3 | 2 | 13:10 | 3 | 12 |
| 13 გლადბახი | 16 | 5 | 4 | 7 | 20:17 | 3 | 19 | 8 | 4 | 3 | 1 | 13:4 | 9 | 15 | 8 | 1 | 1 | 6 | 7:13 | -6 | 4 |
| 14 ჰანზა | 16 | 5 | 4 | 7 | 20:20 | 0 | 19 | 8 | 2 | 2 | 4 | 10:11 | -1 | 8 | 8 | 3 | 2 | 3 | 10:9 | 1 | 11 |
| 15 ნიურნბერგი | 16 | 5 | 3 | 8 | 21:27 | -6 | 18 | 9 | 3 | 1 | 5 | 13:16 | -3 | 10 | 7 | 2 | 2 | 3 | 8:11 | -3 | 8 |
| 16 ჰანოვერი | 16 | 4 | 3 | 9 | 22:33 | -11 | 15 | 8 | 1 | 2 | 5 | 11:19 | -8 | 5 | 8 | 3 | 1 | 4 | 11:14 | -3 | 10 |
| 17 ლაუტერნი | 16 | 2 | 4 | 10 | 15:27 | -12 | 10 | 8 | 2 | 2 | 4 | 8:9 | -1 | 8 | 8 | 0 | 2 | 6 | 7:18 | -11 | 2 |
| 18 კოტბუსი | 16 | 2 | 4 | 10 | 13:34 | -21 | 10 | 8 | 1 | 1 | 6 | 6:15 | -9 | 4 | 8 | 1 | 3 | 4 | 7:19 | -12. | 6 |

### XVII ტური

15 დეკემბერი

კოტბუსი — დორტმუნდი
ვოლფსბურგი — შტუტგარტი
ბაიერნი — შალკე
ვერდერი — გლადბახი
ჰანოვერი — არმინია
ჰანზა — ჰამბურგი
ბოხუმი — მიუნხენ 1860
ლევერკუზენი — ნიურნბერგი
ლაუტერნი — ჰერტა

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| აილტონი (ვერდერი) | 12 |
| ელბერი (ბაიერნი) | 10 |
| კრისტიანსენი (ბოხუმი) | 10 |
| ს. ჩირიჩი (ნიურნბერგი) | 9 |
| კურანი (შტუტგარტი) | 9 |

## მეორე ბუნდესლიგა

### XVI ტური

### დუისბურგი 2:1 ზანკტ პაული

1:0 დრსეკი (69), 1:1 სტანისლავსკი (70), 2:1 ებერსი (71)

### ლიუბეკი 1:3 მაინცი

1:0 კულიგი (30), 1:1 ვორონინი (52), 1:2 ტურკი (78), 1:3 აზუა (80)

### ალენი 0:4 ვალდჰოფი

0:1 პლასნეგერი (4), 0:2 კამუსი (27), 0:3 ფიკერტი (31), 0:4 პლასნეგერი (88)

### ალემანია 3:1 როიტლინგენი

1:0 ივანოვიჩი (24), 2:0 ლანძაატი (30), 2:1 ფრომერი (54), 3:1 ივანოვიჩი (60)

### ბრაუნშვაიგი 1:2 უნიონი

1:0 ჩოი (28), 1:1 ბაუმგარტი (65)№ 1:2 ვიდოლოვი (85)

### ბურგჰაუზენი 1:3 ფიურტი

0:1 ბირლიკი (4), 1:1 ბოი (6), 1:2 როსლერი (83), 1:3 პოლიკელა (90)

ფიურტელ გიორგი დეკანოსიძეს არ უთამაშია

### აინტრახტი 1:0 ობერჰაუზენი

1:0 სკელა (87)

### ტრირი 2:3 კიოლნი

0:1 შერცი (21), 1:1 ბეშნაიდერი (22), 1:2 კულმანი (52), 1:3 კრაუზე (73), 2:3 ვინკლერი (74პ)

კიოლნელი არჩილ არველაძე ტრავმირებულია

### კარლსრუე — ფრაიბურგი

წუხელ გვიან გაიმართა (იხ. მე-2 გვერდზე) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კიოლნი | 16 | 9 | 7 | 0 | 34:18 | 34 |
| აინტრახტი | 16 | 10 | 3 | 3 | 27:12 | 33 |
| ფრაიბურგი | 15 | 9 | 2 | 4 | 22:13 | 29 |
| მაინცი | 16 | 8 | 3 | 5 | 24:15 | 27 |
| დუისბურგი | 16 | 7 | 6 | 3 | 25:20 | 27 |
| ალემანია | 16 | 7 | 5 | 4 | 27:21 | 26 |
| ფიურტი | 16 | 6 | 7 | 3 | 24:17 | 25 |
| ტრირი | 16 | 7 | 3 | 6 | 27:21 | 24 |
| ობერჰაუზენი | 16 | 6 | 5 | 5 | 17:17 | 23 |
| ლიუბეკი | 16 | 7 | 1 | 8 | 2826 | 22 |
| ბურგჰაუზენი | 16 | 5 | 6 | 5 | 25:20 | 21 |
| როიტლინგენი | 16 | 6 | 3 | 7 | 25:28 | 21 |
| უნიონი | 16 | 5 | 6 | 5 | 20:30 | 21 |
| კარლსრუე | 15 | 3 | 6 | 6 | 15:23 | 15 |
| ალენი | 16 | 3 | 4 | 9 | 17:27 | 13 |
| ვალდჰოფი | 16 | 3 | 2 | 11 | 1834 | 11 |
| ბრაუნშვაიგი | 16 | 2 | 4 | 10 | 17:34 | 10 |
| ზტ. პაული | 16 | 2 | 3 | 11 | 22:38 | 9 |

## ჩრდილოეთ რეგიონალლიგა

20-ე ტური: ესენი — ქემნიცი 0:0; ლევერკუზენი (მ) — კიოლნი (მ) 1:2; დრეზდენი — პადერბორნი 0:2; აუე — ოსნაბრიუკი 1:1; ჰამბურგი (მ) — ბაბელსბერგი 2:1; კილი — ვერდერი (მ) 3:2; დორტმუნდი (მ) — ურდინგენი 5:2; ფერლი — დინამო 0:0; ვატენშაიდი — მიუნსტერი 0:0

## სამხრეთ რეგიონალლიგა

22-ე ტური: ჰოფენჰაიმი — უნტერჰახინგი 1:0; ოფენბახი — ზიგენი 2:0; ბაიერნი (მ) — აინტრახტი (მ) 4:0; ლაუტერნი (მ) — ელვერსბერგი 0:1; ნოიკირხენი — აუგსბურგი 0:1; ერფურტი — ფულენდორფი 0:0; რეგენსბურგი — [illegible] 1:2; აალენი — ზაარბრიუკენი 2:0; [illegible] — დარმშტადტი 1:1

## ესპანეთი

### პრიმერადივიზიონი
### XIII ტური

**მალიორკა 1:5 რეალი**

0:1 რონალდო (6), 1:1 ეტოო (18), 1:2 რონალდო (48), 1:3, 1:4 რაული (63, 65), 1:5 გუტი (90)
მალიორკა: ლეო ფრანკო, პოლი, ნადალი, კამპანო, იბაგაზა, ნოვო, რიერა (რობლესი 73), მარკოსი, ლოზანო (პაკო სოლერი 83), ეტოო (ტუნი 79), პანდიანი
მწვრთნელი: გრეგორიო მანსანო
რეალი: კასილიასი, სალგადო, რობერტო კარლოსი, პავონი, ზიდანი (სოლარი 79), ი. ელგერა, ფ. კონსეისაო, მაკელელე, რაული (მორიენტესი 83), ფიგუ, რონალდო (გუტი 79)
მწვრთნელი: ვისენტე დელ ბოსკე
გაფრთხილება: ეტოო, ლოზანო, მაკელელე, პანდიანი
გაძევება: პანდიანი
მსაჯი: ლოპეს ნიეტო
23 100 მაყურებელი

**სელტა 2:1 ალავესი**

1:0 კარმონა (2), 2:0 ლუქსენი (24პ), 2:1 ილიე (50პ)
სელტა: კავალიერო, სილვინიო, კასერესი, ბერიზო, მენდესი, ხოსე იგნასიო, ედუ, ლუქსენი, კუდე (ხესული 78), გუსტავო ლოპესი (ხუანფრანი 89), კატანია
მწვრთნელი: მიგელ ანხელ ლოტინა
ალავესი: დუტრუელი, კარმონა, ჯელი, ლორენსი, აბელარდო, დესიო, ასტუდილიო (მარა 43), ტურიელი, რუბენ ნავარო (ივან ალონსო 78), მაგნო (ედუ ალონსო 80), ილიე
მწვრთნელი: ხოსე მანუელ ესნალ პარდო
გაფრთხილება: კასერესი, ტურიელი, დესიო, აბელარდო, ბერიზო, კატანია, ხესული, დესიო, ილიე
გაძევება: დესიო (82)
მსაჯი: პერეს პერესი
17 000 მაყურებელი

**ბილბაო 1:3 ოსასუნა**

0:1 ალოიზი (8პ), 1:1 ურსაისი (9), 1:2 მუნიოსი (15), 1:3 ივან როსადო (43)
ბილბაო: ლაფუენტე, ლარასაბალი, ლაკრუზი, მურილიო, იესტე (გერერო 72), ხავი გონსალესი, ალკისა, ტიკო, გურპეგი (ორბაისი 75), ეჩებერია (ესკერო 63), ურსაისი
მწვრთნელი: იუპ ჰაინკესი
ოსასუნა: სანსოლი, მატეო, კრუჩაგა, რივერო (პალასიოსი 88), ანტონიო ლოპესი, პუნიალი, მოა (განსედო 87), მუნიოსი, ივან როსადო (ლეკუმბერი 83), ისკიერდო, ალოიზი
მწვრთნელი: ხავიერ აგირე
გაფრთხილება: ლარასაბალი, მოა, პუნიალი
მსაჯი: მუნის ფერნანდესი
38 000 მაყურებელი

**ესპანიოლი 2:4 ბეტისი**

0:1 კაპი (12), 0:2 ხუანიტო (21), 1:2 როხერი (62), 2:2 მილოშევიჩი (71), 2:3, 2:4 ფერნანდო (73, 86)
ესპანიოლი: არგენსო, დავიდ გარსია, სოლდევილა, დომორო, მორალესი, მაქსი, ალექს ფერნანდესი (დე ლა პენია 73), ბერტრანი, მარტინ პოსე, ტამუდო (მილოშევიჩი 52), კრუსატი (როხერი 30)
მწვრთნელი: ხუანდე რამოსი
ბეტისი: პრატსი, ლუის ფერნანდესი, ხუანიტო (რივასი 63), ასუნსაო, ვარელა, ფერნანდო, კაპი (დენილსონი 68), ფილიპესკუ, არზუ, ალფონსო (იტო 79), ხოაკინი
მწვრთნელი: ვიქტორ ფერნანდესი
გაფრთხილება: ალექს ფერნანდესი, სოლდევილა, ხუანიტო, დომორო, დავიდ გარსია, ხოაკინი, მილოშევიჩი, ვარელა, მორალესი, დავიდ გარსია
გაძევება: დავიდ გარსია (89)
მსაჯი: კარმონა მენდესი
24 000 მაყურებელი

**ვალენსია 2:0 რასინგი**

1:0 ანგულო (42), 2:0 კარეუ (48)
ვალენსია: პალოპი, ფაბიო აურელიო, ჯუკიჩი, მარჩენა, კურრო ტორესი, ბარახა (ალბელდა 68), ანგულო, დე ლოს სანტოსი, კარეუ, ხუან სანჩესი (აიმარი 74), ვისენტე (კარბონი 62)
მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი
რასინგი: ლემენსი, სიეტესი, ნაფტი, მორა, ხუანმა, მატეო (მესიასი 64), ბენაიუნი (დიეგო ალონსო 65), პაბლო სიერა, ჩიკა (გერერო 69), პინედა, მუნიტისი
მწვრთნელი: მანოლო პრესიადო
გაფრთხილება: ნაფტი, ხუან სანჩესი, ბარახა, აიმარი, კურო ტორესი
მსაჯი: პუენტას ლეირა
40 000 მაყურებელი

# მისია შეუსრულებელია


REUTERS

რაიო ვალეკანო — ბარსელონა. კარლეს პუიოლს და კატალონიელებს ვალეკანოელებმა ჭიგრით აჯობეს

**სევილია 0:1 სოსიედადი**

0:1 კარპინი (70)
სევილია: ნოტარიო, ხავი ნავარო, დავიდ კასტედო, პაბლო ალფარო, ფრედი (ტოედტლი 68), რედონდო, მარკოს ვალესი, სამუესი (გალიარდო 78), კასკერო (ვიქტორ სალასი 83), რეიესი, ანტონიტო
მწვრთნელი: ხოაკინ კაპაროსი
სოსიედადი: ალბერტი, არანსაბალი, შურერი, ლოპეს რეკარტე, ხაურეგი (კვარმე 68), ტაიფუნი, დე პედრო, კარპინი, კოვაჩევიჩი, არანბურუ, ნიჰატი (ხოხლოვი 73)
მწვრთნელი: რეინალდ დენიო
გაფრთხილება: ხაურეგი, ნიჰატი, შურერი, არანსაბალი
მსაჯი: ესკინას ტორესი
30 000 მაყურებელი

**ატლეტიკო 1:0 ვალიადოლიდი**

1:0 ფერნანდო ტორესი (61)
ატლეტიკო: ესტებანი, ჰიბიჩი, გარსია კალვო, კოლოჩინი, კონტრა, ნაგორე, მოვილია (ალბერტინი 59), ი. სტანკოვიჩი (ლუის გარსია 62), აგილერა (ხორხე 46), ფერნანდო ტორესი, ხოსე მარი
მწვრთნელი: ლუის არაგონესი
ვალიადოლიდი: ბიზარი, პენა, მარკოსი, მარიო (მუსტაფა 46), ტორეს გომესი, კოლსა, ხესუსი (რიკეტი 62), ფერნანდო სალესი, ოსკარი, პაჩონი, ოლივერა (ჩემა 46)
მწვრთნელი: პეპე მორე
გაფრთხილება: ჰიბიჩი, აგილერა, ბიზარი, ალბერტინი
მსაჯი: მედინა კანტალეხო
40 000 მაყურებელი

**რაიო ვალეკანო 1:0 ბარსელონა**

1:0 ასკოიტია (64)
რაიო ვალეკანო: ეჩებერია, დე კონტანა, გრაფი, ონოპკო, მარიო, მაინცი, მიჩელი, ასკოიტია, ხულიო ალვარესი (პერაგონი 74), ბოლიჩი (კამუნასი 88), ბოლო (მორა 72)
მწვრთნელი: ფერნანდო ვასკესი
ბარსელონა: ბონანო, ფ. დე ბური, პუიოლი, ფ. ნავარო, ხავი, კოკუ, რიკელმე, როჩემბაკი (ხერარდი 79), გაბრი, სავიოლა (დანი 65), კლუივერტი
მწვრთნელი: ლუის ვან გაალი
გაფრთხილება: მაინცი, როჩემბაკი, ბოლო, გაბრი, კოკუ
მსაჯი: მეჯუტო გონსალესი
16 000 მაყურებელი

**მალაგა 1:1 ვილიარეალი**

0:1 პალერმო (58), 1:1 დარიო სილვა (75)
მალაგა: კონტრერასი, როხასი, ლიტოსი, როტეტა, ვალკარსე, ხერარდო, მუსამპა, რომერო (მანუ 46), სანდრო (კოკე 62), დელი ვალდესი (მიგელ ანხელი 62), დარიო სილვა
მწვრთნელი: ხოაკინ პეირო ლუკასი
ვილიარეალი: რეინა, ბელეტი, არუაბარენა, ბალესტეროსი, უნაი (ბერუე 8), ხორხე ლოპესი, ხოსიკო, სენა (გრაცია 56), პალერმო, ვიქტორი, გიარე (ხავი ვენტა 46)
მწვრთნელი: ვიქტორ მუნიოსი
გაფრთხილება: ბალესტეროსი, როხასი, როტეტა, ვიქტორი, როხასი, გრაცია
გაძევება: როხასი (71)
მსაჯი: როდრიგეს სანტიაგო
18 000 მაყურებელი

**უელვა 1:1 დეპორტივო**

1:0 რაულ მოლინა (21), 1:1 დიეგო ტრისტანი (27)
უელვა: ხ. ლუკე, ესპინოლა, ალექს პერეირა, ხავი გარსია, არპონი (ხისკო 73), კუბილიო (ბერმეხო 61), კაიკუ, რაულ მოლინა (ხოსე მარი 84)
მწვრთნელი: ლუკას ალკარასი
დეპორტივო: ხუანმა, სეზარი, კაპდევილა, დონატო, ვიქტორი, მაურო სილვა, ფრანი (ვალერონი 82), სკალონი (ვიქტორი 71), დუშერი, მაკაი, დიეგო ტრისტანი (ა. ლუკე 63)
მწვრთნელი: ხავიერ ირურეტა
გაფრთხილება: ბერმეხო, სკალონი, ხისკო
მსაჯი: იტურალდე გონსალესი
16 000 მაყურებელი

**იშვიათი** შემთხვევაა: „რაიო ვალეკანო“ — „ბარსელონას“ მატჩის წინ ორივე გუნდის მწვრთნელი გათავისუფლების ზღვარზე იდგა. მადრიდელთა თავკაცმა ფერნანდო ვასკესმა რამდენიმე დღის წინ შეიტყო, რომ პრეზიდენტ ტერეზა რივეროს ვალეკანოელთა ყოფილი დამრიგებლისთვის, ლოპეტეგისთვის უთხოვია გუნდში დაბრუნება. ლოპეტეგიმ, ვინაც ამჟამად ნაკრებში ინაკი საეზის თანაშემწეა, ეს ამბავი შორს დაიჭირა, თუმცა ვასკესისთვის ეს, ცხადია, ვერაფერი შეღავათია — მიუხედავად იმისა, რომ მწვრთნელს ფეხბურთელებიც გამოექომაგნენ და რივერომაც განაცხადა, ვასკესს ვითარების გამოსასწორებლად დრო კიდევ აქვსო. ვითარება კი მართლაც მძიმე იყო — „რაიოს“ ზედიზედ ექვსი მატჩი ვერ მოეგო.

საქმე უკეთესად არც ლუის ვან გაალს ჰქონდა. ერთი თვის წინ პრეზიდენტმა ხუან გასპარმა მას გამოსაცდელი ვადა მისცა, ნოემბრის ბოლომდე გუნდი ლიდერთა მარაქაში უნდა გარეულიყო. ახლა ეს მისია შეუსრულებლად მოჩანს და ამასთანავე კლუბში ფეხბურთელებსა და მწვრთნელს შორის კონფლიქტის ნიშნებიც გაჩნდა. ხოლო გუნდის გაძლიერებაზე ლაპარაკიც ზედმეტია — როგორც ახლახან ცნობილი შეიქნა, „ბარსას“ 40 მილიონი დოლარი ვალი დაუგროვდა და ვინძლო, გაისკა მენდიეტას გამოსყიდვაც ვერ შეძლოს.

ხმები ვან გაალის გათავისუფლების თაობაზე რა ხანია, გაჩნდა და დივიზიონის ერთ-ერთ აუტსაიდერთან მარცხმა ამის ალბათობა კიდევ უფრო გაზარდა. ფერნანდო ვასკესმა კი თქვა, „ბარსელონას“ დამარცხებისთვის ჩემს ფეხბურთელებს ალალად ეკუთვნით გვარიანი პრემიებიო.

კატასტროფის მოლოდინში ვან გაალმა მოედანზე ყველა საუკეთესო ფეხბურთელი შეუშვა, თვით ხუან რომან რიკელმეც, ვისთანაც ჰოლანდიელს ერთობ დაძაბული ურთიერთობა აქვს. და სხვათა შორის, სტუმართაგან სწორედ რიკელმე იყო საუკეთესო: ძალიან ბევრს მოძრაობდა, ვალეკანოელ მცველებს ხშირად ჩიხში ამწყვევდა და პასსაც ჭკვიანურად არიგებდა. ერთი სიტყვით, არგენტინელის მეცადინეობით „ბარსას“ ბლომად ხეირიანი მომენტი ჰქონდა. მაგრამ „რაიოს“ დაცვა ბევრად საიმედოდ გამოიყურებოდა, ვიდრე წინა მატჩებში და, რაც მთავარია, ყველა მადრიდელი მოწადინებული იყო, თავი დაედოთ და ვასკესს დახმარებოდნენ. დავძინოთ, რომ ვასკესი ჯერაც დისკვალიფიცირებულია და მატჩს ტრიბუნიდან უყურებდა.

საბოლოოდ, მოიგო იმან, ვინაც გამარჯვებისკენ მეტი სწრაფვა გამოავლინა: თავდამსხმელთა დასახმარებლად ჩასულმა მცველმა ასკოიტიამ ბოლოსგან პასი მიიღო და დაბალი დარტყმით გაიტანა.

„ბარსელონამ“ მადრიდის „ტერეზა რივერაზე“ ზედიზედ მეხუთე მატჩში ვერ შეძლო გამარჯვება.

მადრიდის „რეალმა“ მეორეადგილოსანი „მალიორკა“ მისსავე მოედანზე გაანადგურა და მეხუთე ადგილამდე დააქვეითა, თავად კი პოტენციურ მესამეადგილოსნად იქცა.

ამათ შეხვედრაში ექვსივე გოლი რეალელებისა იყო — სამუელ ეტოო, ვინაც მასპინძელთა ერთი საპასუხო გაიტანა, ყოფილი მადრიდელია. მაგრამ მატჩის გმირები სხვები იყვნენ. რონალდომ ორი ერთი მეორეზე უკეთესი ბურთი შეაგდო: ჯერ ფიგუ - რაულის კომბინაცია დაასრულა, მეორე გოლი კი თავიდან ბოლომდე მისი შექმნილი იყო. ბრაზილიელის დუბლს ერთი ამდენი რაულმა მიამატა, წამატებულ დროში გუტიმაც დაჰკრა, ხოლო მალიორკელთა მთავარი კაცი, ვალტერ პანდიანი 79-ე წუთზე გააძევეს.

ამრიგად, „მალიორკამ“ ცხრამატჩიანი წაუგებელი სერია (7 მოგება, 2 ფრე) შეწყვიტა, ლიდერმა „რეალ სოსიედადმა“ კი კვლავ იმარჯვა და ოთხი ქულით გაიჭრა წინ.

მასპინძელი სევილიელები მთელი მატჩის მანძილზე იმის ცდაში იყვნენ, როგორმე თავად არ გაეშვათ, რაც ერთი მხრივ, სანსებასტიანელებს იოლ ფრეს უქადდათ, სამაგიეროდ, გამარჯვების მიღწევას ურთულებდათ ბასკებმა ერთი კინკილა გოლით მოიგეს. იერიში ლამის საკუთარი საჯარიმოდან დაიწყეს, მეტოქისაში ჩავიდნენ და ხავი დე პედროს ჩაწოდებით ვალერი კარპინმა გაიტანა.

**გიორგი დარჯანია**

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | | |
| № | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | |
| 1 სოსიედადი | 13 | 8 | 5 | 0 | 24:14 | 10 | 29 | 6 | 4 | 2 | 0 | 14:9 | 5 | 14 | 7 | 4 | 3 | 0 | 10:5 | 5 | 15 | |
| 2 ვალენსია | 13 | 7 | 4 | 2 | 22:7 | 15 | 25 | 7 | 5 | 1 | 1 | 16:3 | 13 | 16 | 6 | 2 | 3 | 1 | 6:4 | 2 | 9 | |
| 3 სელტა | 13 | 7 | 3 | 3 | 17:9 | 8 | 24 | 7 | 3 | 3 | 1 | 8:5 | 3 | 12 | 6 | 4 | 0 | 2 | 9:4 | 5 | 12 | |
| 4 ბეტისი | 13 | 6 | 5 | 2 | 24:14 | 10 | 23 | 6 | 4 | 1 | 1 | 10:3 | 7 | 13 | 7 | 2 | 4 | 1 | 14:11 | 3 | 10 | |
| 5 მალიორკა | 13 | 7 | 2 | 4 | 20:20 | 0 | 23 | 7 | 3 | 1 | 3 | 9:13 | -4 | 10 | 6 | 4 | 1 | 1 | 11:7 | 4 | 13 | |
| 6 რეალი | 12 | 5 | 6 | 1 | 22:11 | 11 | 21 | 5 | 3 | 2 | 0 | 12:4 | 8 | 11 | 7 | 2 | 4 | 1 | 10:7 | 3 | 10 | |
| 7 ატლეტიკო | 13 | 5 | 6 | 2 | 19:13 | 6 | 21 | 7 | 3 | 4 | 0 | 10:6 | 4 | 13 | 6 | 2 | 2 | 2 | 9:7 | 2 | 8 | |
| 8 დეპორტივო | 13 | 5 | 5 | 3 | 18:17 | 1 | 20 | 6 | 2 | 2 | 2 | 8:8 | 0 | 8 | 7 | 3 | 3 | 1 | 10:9 | 1 | 12 | |
| 9 მალაგა | 13 | 4 | 6 | 3 | 18:18 | 0 | 18 | 7 | 3 | 3 | 1 | 12:9 | 3 | 12 | 6 | 1 | 3 | 2 | 6:9 | -3 | 6 | |
| 10 ბარსელონა | 13 | 4 | 4 | 5 | 18:16 | 2 | 16 | 6 | 3 | 3 | 0 | 13:5 | 8 | 12 | 7 | 1 | 1 | 5 | 5:11 | -6 | 4 | |
| 11 ვილიარეალი | 13 | 3 | 6 | 4 | 13:13 | 0 | 15 | 6 | 3 | 1 | 2 | 7:5 | 2 | 10 | 7 | 0 | 5 | 2 | 6:8 | -2 | 5 | |
| 12 ოსასუნა | 13 | 4 | 3 | 6 | 15:19 | -4 | 15 | 6 | 3 | 0 | 3 | 7:7 | 0 | 9 | 7 | 1 | 3 | 3 | 8:12 | -4 | 6 | |
| 13 ბილბაო | 13 | 4 | 3 | 6 | 19:26 | -7 | 15 | 7 | 3 | 1 | 3 | 10:11 | -1 | 10 | 6 | 1 | 2 | 3 | 9:15 | -6 | 5 | |
| 14 რასინგი | 13 | 4 | 2 | 7 | 12:15 | -3 | 14 | 6 | 2 | 2 | 2 | 6:5 | 1 | 8 | 7 | 2 | 0 | 5 | 6:10 | -4 | 6 | |
| 15 ვალიადოლიდი | 13 | 4 | 2 | 7 | 11:17 | -6 | 14 | 6 | 2 | 2 | 2 | 5:7 | -2 | 8 | 7 | 2 | 0 | 5 | 6:10 | -4 | 6 | |
| 16 ალავესი | 13 | 3 | 4 | 6 | 15:23 | -8 | 13 | 6 | 2 | 2 | 2 | 7:5 | 2 | 8 | 7 | 1 | 2 | 4 | 8:18 | -10 | 5 | |
| 17 რაიო ვალეკანო | 13 | 3 | 4 | 6 | 15:22 | -7 | 13 | 7 | 2 | 2 | 3 | 11:10 | 1 | 8 | 6 | 1 | 2 | 3 | 4:12 | -8 | 5 | |
| 18 სევილია | 13 | 3 | 5 | 5 | 8:11 | -3 | 14 | 6 | 2 | 3 | 1 | 6:6 | 0 | 9 | 7 | 1 | 2 | 4 | 2:5 | -3 | 5 | |
| 19 ესპანიოლი | 13 | 1 | 6 | 6 | 14:25 | -11 | 9 | 7 | 1 | 4 | 2 | 9:11 | -2 | 7 | 6 | 0 | 2 | 4 | 5:14 | -9 | 2 | |
| 20 უელვა | 13 | 2 | 3 | 8 | 10:24 | -14 | 9 | 7 | 2 | 2 | 3 | 8:14 | -6 | 8 | 6 | 0 | 1 | 5 | 2:10 | -8 | 1 | |

**XIV ტური**
**15 დეკემბერი**

ბეტისი — რაიო ვალეკანო
ოსასუნა — ესპანიოლი
ვალიადოლიდი — ბილბაო
ალავესი — ატლეტიკო
რასინგი — სელტა
ვილიარეალი — ვალენსია
დეპორტივო — მალაგა
რეალი — უელვა
სოსიედადი — მალიორკა
ბარსელონა — სევილია

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| მაკაი (დეპორტივო) | 10 |
| კოვაჩევიჩი (სოსიედადი) | 9 |
| პანდიანი (მალიორკა) | 8 |
| ურსაისი (ბილბაო) | 7 |
| ხულიო ალვარესი (რაიო ვალეკანო) | 7 |

### სეგუნდადივიზიონი
### XIV ტური

**ეიბარი 1:1 ტერასა**
1:0 ალექსი (9), 1:1 მონტი (86)

**ოვიედო 1:2 ხერესი**
1:0 სერხიო (27), 1:1 კალე (52), 1:2 მენა (81)

**ტენერიფე 1:1 ალბასეტე**
1:0 ივან ანია (6), 1:1 ხესუსი (23)

**ხეტაფე 1:1 ელჩე**
0:1 მეკა (36პ), 1:1 ლოპესი (74პ)

**მურსია 3:0 პოლი ეხიდო**
1:0 ტიტო (10), 2:0 რიჩი (41), 3:0 ისმაელი (62)

**ალმერია 2:1 ბადახოსი**
1:0 პენა (7), 2:0 ფრანსისკო (55პ), 2:1 ზე ტო (90)

**კომპოსტელა 2:3 სპორტინგი**
0:1, 0:2 ვილა (2, 12), 1:2 ლოზანო (25ს.კ.), 1:3 რუბენი (86), 2:3 ადრიანო (90პ)

**კორდობა 2:2 ლას პალმასი**
0:1 ანხელი (7), 1:1 ველიტონი (28), 1:2 რუბენი (51), 2:2 პლატერო (74)

**ლევანტე 0:1 სალამანკა**
0:1 კოკე (65)

**ფეროლი 1:1 ლეგანესი**
0:1 ლამბეა (55), 1:1 კუელარი (70)

**სარაგოსა 1:0 ნუმანსია**
1:0 გალეტი (45)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სარაგოსა | 14 | 8 | 4 | 2 | 18:9 | 28 |
| ლევანტე | 14 | 6 | 6 | 2 | 25:16 | 24 |
| ხერესი | 14 | 7 | 3 | 4 | 17:14 | 24 |
| ალბასეტე | 14 | 5 | 8 | 1 | 17:10 | 23 |
| მურსია | 14 | 6 | 4 | 4 | 15:7 | 22 |
| სალამანკა | 14 | 6 | 3 | 5 | 12:10 | 21 |
| ეხიდო | 14 | 5 | 6 | 3 | 13:13 | 21 |
| ტერასა | 14 | 4 | 8 | 2 | 15:13 | 20 |
| ფეროლი | 14 | 5 | 5 | 4 | 16:17 | 20 |
| ელჩე | 14 | 4 | 7 | 3 | 15:12 | 19 |
| ხეტაფე | 14 | 5 | 4 | 5 | 23:21 | 19 |
| ალმერია | 14 | 4 | 6 | 4 | 17:20 | 18 |
| ეიბარი | 14 | 4 | 5 | 5 | 11:14 | 17 |
| ბადახოსი | 14 | 5 | 2 | 7 | 10:20 | 17 |
| ლას პალმასი | 14 | 3 | 7 | 4 | 16:15 | 16 |
| ტენერიფე | 14 | 2 | 10 | 2 | 16:15 | 16 |
| სპორტინგი | 14 | 3 | 7 | 4 | 12:15 | 16 |
| კომპოსტელა | 14 | 3 | 5 | 6 | 14:16 | 14 |
| ლეგანესი | 14 | 2 | 7 | 5 | 10:14 | 13 |
| კორდობა | 14 | 2 | 6 | 6 | 8:14 | 12 |
| ნუმანსია | 14 | 3 | 3 | 8 | 13:20 | 12 |
| ოვიედო | 14 | 2 | 4 | 8 | 15:23 | 10 |

## იტალია

### სერია A. XIII ტური

**მილანი 1:0 რომა**

1:0 ინძაგი (73)
მილანი: აბიატი, შიმიჩი, ნესტა, მალდინი, შამოტი (კოსტაკურტა 80), ამბროზინი, პირლო, ზეედორფი, რუი კოშტა, სერჯინიო (ფ. ინძაგი 62), შევჩენკო (რედონდო 84)
მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი
რომა: ანტონიოლი, ძებინა, დელასი, სამუელი, პანუჩი (სარტორი 30), კაფუ, ემერსონი, ლიმა, ბომბარდინი (ტომიჩი 90), კასანო (ბატისტუტა 60), მონტელა
მწვრთნელი: ფაბიო კაპელო
გაფრთხილება: ნესტა, ძებინა
მსაჯი: კოლინა
67 786 მაყურებელი

**ლაციო 3:3 ინტერი**

1:0, 2:0, 3:0 ლოპესი (10, 31, 37), 3:1 კოუტუ (38ს.კ.), 3:2, 3:3 ემრე (67, 76)
ლაციო: პერუცი, სტამი, ნეგრო, ფ. კოუტუ, პანკარო (ლივერანი 82), ფიორე (ოდო 89), სიმეონე (ჯანიკედა 66), დ. სტანკოვიჩი, სეზარი, კ. ლოპესი, კორადი
მწვრთნელი: რობერტო მანჩინი
ინტერი: ტოლდო, ხ. ძანეტი, ი. კორდობა, ფ. კანავარო, პასკუალე (გამარა 85), ოკანი (რეკობა 31), ალმეიდა, ემრე, ს. კონსეისაო, ვიერი, კრესპო
მწვრთნელი: ექტორ რაულ კუპერი
გაფრთხილება: კორადი, სიმეონე, სტანკოვიჩი, ლივერანი, კორდობა, ვიერი
მსაჯი: როსეტი
60 000 მაყურებელი

**ქიევო 0:0 ბოლონია**

ქიევო: ლუპატელი, მორო, ლეგროტალიე, დანა, ლანა, პეროტა, კორინი, ფრანჩესკინი, კოსატო (დელა მორტე 28), ბირჰოფი (პელისიერი 78), მარაცინა (ბეგეტო 88)
მწვრთნელი: ლუიჯი დელ ნერი
ბოლონია: პალიუკა, ძაკარდო, ძანჩი, კასტელინი, პარამატი, ნერვო, ოლივე, კოლუჩი, ლოკატელი (ამოროზო 75), ბელუჩი, კრუზი
მწვრთნელი: ფრანჩესკო გვიდოლინი
გაფრთხილება: კორინი, ლოკატელი, კასტელინი, ოლივე, კოლუჩი
მსაჯი: პაპარესტა
13 680 მაყურებელი

**უდინეზე 2:1 ემპოლი**

1:0 პიზარო (15), 1:1 ვანუკი (24), 2:1 იაკინტა (90)
უდინეზე: დე სანქტისი, ბერტოტო, სენსინი, მანფრედინი, ალბერტო, პინცი (როსიტო 83), პიზარო, პიერი, იორგენსენი (იანკულოვსკი 66), იანკერი (იაკინტა 75), მუცი
მწვრთნელი: ლუჩანო სპალეტი
ემპოლი: ბერტი, ბელერი, კლიბარი, ლუკინი (პრატალი 62), კუპი, ჯამპიერეტი, გრელა, ბუშე, ვანუკი, როკი, ტავანო (გრიეკო 86)
მწვრთნელი: სილვიო ბალდინი
გაფრთხილება: პინცი, იაკინტა, ლუკინი, ბუშე, გრელა
მსაჯი: მესინა
15 000 მაყურებელი

**პერუჯა 0:0 პიაჩენცა**

პერუჯა: ს. როსი, სოლიანო (ნ. ამორუზო 69), დი ლორეტო, მილანეზე, ზე მარია, ბლასი, ბარონიო (ტედესკო 30), ფუზანი, ლუმბუტისი, კარაჩოლო, მიკოლი (ვრიზასი 85)
მწვრთნელი: სერსე კოზმი
პიაჩენცა: გუარდალბენი, კარდონე, მანგონე, კრისტანტე, გურენკო (კამპანარო 89), რიკო, მარესკა, მიჩელი, ტოსტო, დი ფრანჩესკო, კაჩა (ობოლო 90)
მწვრთნელი: ანდრეა აგოსტინელი
გაფრთხილება: დი ლორეტო, ბლასი, ფუზანი, კაჩა, მიჩელი
მსაჯი: რიზოლი
10 000 მაყურებელი

**პარმა 2:0 რეჯინა**

1:0, 2:0 ადრიანო (57, 80)
პარმა: ფრეი, ბენარივო, ბონერა (სიგილია 89), პ. კანავარო, ჟუნიორი, ბრიგი (მ. დონატი 83), ბარონე, ე. ფილიპინი, ნაკატა, ადრიანო, მუტუ (გრეშკო 81)
მწვრთნელი: ჩეზარე პრანდელი
რეჯინა: კასტელაცი, ჩირილო, პიერინი (ფრანეკი 77), ფრანჩესკინი, ფალზინი, კოცა (ლეონი 62), ბარეძი, მოცარტი, ნაკამურა (რასტელი 66), დი მიკელე, სავოლდი
მწვრთნელი: ლუიჯი დე კანიო
მსაჯი: ტრენტალანჯე
13 000 მაყურებელი

# იგლი ტარემ იუვენტუსს

## მწარე განცდა და სიკვდილი


REUTERS ბრეშიდან

ბრეშა — იუვენტუსი. ტურინელმა ლილიან ტურამმა რობერტო ბაჯოს ფეხქვეშ მიწა გამოაცალა

**მოდენა 1:1 კომო**

1:0 სკული (73), 1:1 ბიელანოვიჩი (88)
მოდენა: ბალოტა, მაიერი, პავანი, უნგარი, კოლუჩი (ძამბონი 86), მილანეტო, ალბინო (სკული 57), მაური, ბალესტრი, დ. კამარა, ტალდო (სკოპონი 80)
მწვრთნელი: ჯოვანი დე ბიაზი
კომო: ფერონი, გრეგორი, სტელინი, ჟუარესი, მ. როსი (ბიელანოვიჩი 79), ტომასი, კოუ, კორენტი (მუსიჩი 57), ალეგრეტი (ბენინი 59), ბინოტო, გოდეაში
მწვრთნელი: ეუჯენიო ფაშეტი
გაფრთხილება: მაიერი, მაური, ბინოტო, გრეგორი, კორენტი
მსაჯი: დატილო
13 407 მაყურებელი

**ბრეშა 2:0 იუვენტუსი**

1:0 შოპი (78), 2:0 ტარე (84)
ბრეშა: სერენი, მარტინესი, პეტრუცი (მარეკო 85), დაინელი, პიზანო (სტანკევიჩიუსი 82), შოპი (გიანა 89), ა. ფილიპინი, მატუზალემი, აპია, რ. ბაჯო, ტარე
მწვრთნელი: კარლო მაცონე
იუვენტუსი: ბუფონი, ტურამი, ფერარა, პესოტო (მორეტი 46), ძამბროტა, კამორანეზი, ტაკინარდი, დავიდსი (კონტე 75), ნედვედი, დი ვაიო (დელ პიერო 55), ზალაიეტა
მწვრთნელი: მარჩელო ლიპი
გაფრთხილება: დაინელი, მატუზალემი, პიზანო, მატუზალემი, ნედვედი, ფერარა
გაძევება: მატუზალემი (88)
მსაჯი: ფარინა
19 700 მაყურებელი

**ტორინო — ატალანტა**

გადაიდო

ისევე, როგორც გასული სეზონის ბოლო ტურში, „ლაციოსა" და ინტერის" შეხვედრა ამჯერადაც ექვსგოლიანი აღმოჩნდა, ოღონდ იმ თამაშისგან განსხვავებით, ახლა ჩემპიონის ტიტული პირიდან არავის არავისთვის გამოუცლია. ეგ იყო, რომ „ინტერმა" „ლაციოს" სამგოლიანი უპირატესობა გაუბათილა და ცხრილში პირველი ადგილიდან მეორეზე ჩაიყვანა.

მეორე მხრივ კი, სეზონის დასაწყისში იქნება, შუაში თუ ბოლოში, როდესაც 3:0-ს იგებ, თან უკვე 37-ე წუთზე, საბოლოოდ კი ვერ იმარჯვებ, ძალიან მწარე განცდა უნდა იყოს. სწორედ ასე დაემართათ რომაელებს: ისინი მე-10 წუთზე დაწინაურდნენ, როდესაც მილანელების არგენტინელმა ნახევარმცველმა, მატიას ალმეიდამ საკუთარ საჯარიმოში ბურთს მიმართულება ხელით შეუცვალა — მისი გუნდის კარში პენალტი დაინიშნა. პენალტი დაჯარიმებულის თანამემამულემ, კლაუდიო ლოპესმა გაიტანა.

31-ე წუთზე კლაუდიომ „ინტერის" კარში მეორე გოლი შეაგდო — სტეფანო ფიორემ დეიან სტანკოვიჩს ჩააწოდა, სტანკოვიჩმა დაარტყა, არგენტინელმა კი ბურთს მიაკრა და სტუმრებს საქმე გაურთულა.

ამას, „ინტერის" არგენტინელმა მწვრთნელმა ექტორ რაულ კუპერმა თურქი ნახევარმცველის, ბურუქ ოკანის მაგივრად ურუგვაელი თავდამსხმელის, ალვარო რეკობას შეყვანით უპასუხა, მაგრამ თამაშის ამ ეტაპზე ცვლილებამ მილანელთა დაცვას შეცდომები ვერ შეუმცირა. 37-ე წუთზე კლაუდიომ, რომელიც, მოგეხსენებათ, კუპერის ხელმძღვანელობით ესპანურ „ვალენსიაში" თამაშობდა, მესამე გოლიც გაიტანა, თუმცა ერთ წუთში უკვე კუპერი ხარობდა — კიდევ ერთმა არგენტინელმა ერნან კრესპომ ბურთი „ლაციოს" კარის ძელს გაარტყა, ხოლო იქიდან ჩამოვარდნილი პორტუგალიელ მცველს, ფერნანდო კოუტუს მოხვდა და მისსავე კარში შევარდა. აქვე დავძინოთ, რომ ამ ეპიზოდში კოუტუს გვერდით „ინტერის" თავდამსხმელი კრისტიან ვიერი იდგა და ავტოგოლი რომ არა, ალბათ, ის შეაგდებდა ბურთს რომაელების კარში. ერთი სიტყვით, ეს იმიტომ ვთქვით, რომ „ინტერის" მიერ გუნების გამოსაკეთებლად შეგდებული გოლი მთლად იღბლისთვის არ დაგვებრალებინა, ხოლო ამ გოლმა „შავ-ლურჯები" მხრებში გაშალა, ვფიქრობთ, ფაქტია.

შესვენების შემდეგ „ლაციო", რომელიც ზოგადად შემტევ ფეხბურთს თამაშობს, ძველებურად ცდილობდა მეტოქის კარის დალაშქვრას, მაგრამ გამოფხიზლებული „ინტერი" მასპინძელთა შეტევებს სათავისოდ აკვირდებოდა და მათ დაცვაში მოშიშვლებულ ადგილებს პოულობდა.

67-ე წუთზე შავ-ლურჯ მაისურაში გამოწყობილმა მოუსვენარმა თურქმა ემრემ, „ლაციოს" მეკარე ანჯელო პერუცი კარიდან [illegible], დაახლოებით 30 მეტრიდან დაუშინა და სხვაობა მინიმუმამდე შეამცირა, ხოლო ცხრა წუთის შემდეგ 25 მეტრიდან თვალსასეიროდ დაარტყა და ანგარიში გაქვითა.

81-ე წუთზე კრისტიან ვიერის სულაც გამარჯვების მომტანი გოლის შეგდება შეეძლო, მაგრამ...

მაგრამ, ეგ არაფერი. „ინტერმა" თუ ვერ გაიმარჯვა, ვერ გაიმარჯვა „იუვენტუსმაც", თუმცა, უკაცრავად, სწორად არ ვამბობთ... ვერ გაიმარჯვა კი არა, „იუვენტუსმა" სეზონში პირველი თამაში წააგო. „ბებერი ქალბატონი" ბრეშაში თამაშობდა და 78-ე წუთამდე ანგარიში ვერც თავად გახსნა და არც მასპინძლებს გაახსნევინა, შემდეგ კი ორი გოლი გაუშვა. პირველად ტურინელთა კარში ბურთი ნახევარმცველმა მარკუს შოპმა თავით შეაგდო, ხოლო ექვსი წუთის მერე ალბანელმა თავდამსხმელმა იგლი ტარემ მეორეც გაიტანა.

„კიევოსა" და „ბოლონიას" შეხვედრაში გამარჯვება ორივეს სჭირდებოდა. სამი ქულა რომ მიეწერათ, ერთიცა და მეორეც დაწინაურებული გუნდების ჯგუფში ამოჰყოფდა თავს, მაგრამ ვაგლახ, ამ მატჩში ბურთმა ბადეში შევარდნა არ ინდომა. 83-ე წუთზე „კიევოს" თავდამსხმელს, მასიმო მარაცინას შეეძლო გამარჯვების გოლის გატანა, მაგრამ მეკარესთან პირისპირ შესულმა ეს ვერ მოახერხა.

და კიდევ ერთი, მნიშვნელოვანი ამბავი: კვირას „ტორინოსა" და ატალანტას" შეხვედრა გადაიდო.

მიზეზი: „ატალანტას" გუნდის ექიმი ვალტერ პოლინი სასტუმროს ოთახში მკვდარი იპოვნეს. სიკვდილის მიზეზი ჯერ უცნობია.

**ბაჩუნა ქეძია**


REUTERS რომიდან

ლაციო — ინტერი. რომაელებმა კლაუდიო ლოპესის ჰეთ თრიქი ვერ შეირგეს

| | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | ო | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | ო | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | ო | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 მილანი | 13 | 9 | 2 | 2 | 28:9 | 19 | 29 | 7 | 7 | 0 | 0 | 16:1 | 15 | 21 | 6 | 2 | 2 | 2 | 12:8 | 4 | 8 |
| 2 ლაციო | 13 | 8 | 4 | 1 | 28:13 | 15 | 28 | 7 | 2 | 4 | 1 | 15:9 | 6 | 10 | 6 | 6 | 0 | 0 | 13:4 | 9 | 18 |
| 3 ინტერი | 13 | 8 | 3 | 2 | 28:15 | 13 | 27 | 6 | 4 | 1 | 1 | 11:4 | 7 | 13 | 7 | 4 | 2 | 1 | 17:11 | 6 | 14 |
| 4 იუვენტუსი | 13 | 7 | 5 | 1 | 21:10 | 11 | 26 | 6 | 3 | 3 | 0 | 10:5 | 5 | 12 | 7 | 4 | 2 | 1 | 11:5 | 6 | 14 |
| 5 ქიევო | 13 | 7 | 2 | 4 | 21:13 | 8 | 23 | 7 | 5 | 1 | 1 | 14:5 | 9 | 16 | 6 | 2 | 1 | 3 | 7:8 | -1 | 7 |
| 6 ბოლონია | 13 | 6 | 5 | 2 | 16:9 | 7 | 23 | 6 | 6 | 0 | 0 | 12:2 | 10 | 18 | 7 | 0 | 5 | 2 | 4:7 | -3 | 5 |
| 7 პარმა | 13 | 6 | 4 | 3 | 24:14 | 10 | 22 | 7 | 5 | 1 | 1 | 15:7 | 8 | 16 | 6 | 1 | 3 | 2 | 9:7 | 2 | 6 |
| 8 მოდენა | 13 | 6 | 1 | 6 | 12:20 | -8 | 19 | 6 | 3 | 1 | 2 | 6:7 | -1 | 10 | 7 | 3 | 0 | 4 | 6:13 | -7 | 9 |
| 9 პერუჯა | 13 | 5 | 3 | 5 | 17:19 | -2 | 18 | 6 | 4 | 1 | 1 | 10:4 | 6 | 13 | 7 | 1 | 2 | 4 | 7:15 | -8 | 5 |
| 10 უდინეზე | 12 | 5 | 3 | 4 | 11:13 | -2 | 18 | 6 | 4 | 2 | 0 | 7:3 | 4 | 14 | 6 | 1 | 1 | 4 | 4:10 | -6 | 4 |
| 11 რომა | 13 | 4 | 5 | 4 | 23:22 | 1 | 17 | 6 | 2 | 3 | 1 | 13:10 | 3 | 9 | 7 | 2 | 2 | 3 | 10:12 | -2 | 8 |
| 12 ემპოლი | 13 | 5 | 2 | 6 | 20:19 | 1 | 17 | 7 | 1 | 2 | 4 | 10:14 | -4 | 5 | 6 | 4 | 0 | 2 | 10:5 | 5 | 12 |
| 13 პიაჩენცა | 13 | 3 | 3 | 7 | 11:17 | -6 | 12 | 7 | 2 | 1 | 4 | 8:11 | -3 | 7 | 6 | 1 | 2 | 3 | 3:6 | -3 | 5 |
| 14 ბრეშა | 13 | 3 | 3 | 7 | 16:25 | -9 | 12 | 6 | 1 | 2 | 3 | 7:9 | -2 | 5 | 7 | 2 | 1 | 4 | 9:16 | -7 | 7 |
| 15 ატალანტა | 12 | 2 | 2 | 8 | 11:23 | -12 | 8 | 7 | 2 | 1 | 4 | 8:12 | -4 | 7 | 5 | 0 | 1 | 4 | 3:11 | -8 | 1 |
| 16 რეჯინა | 13 | 1 | 4 | 8 | 10:23 | -13 | 7 | 7 | 1 | 3 | 3 | 7:11 | -4 | 6 | 6 | 0 | 1 | 5 | 3:12 | -9 | 1 |
| 17 ტორინო | 12 | 2 | 0 | 10 | 6:26 | -20 | 6 | 6 | 2 | 0 | 4 | 3:12 | -9 | 6 | 6 | 0 | 0 | 6 | 3:14 | -11 | 0 |
| 18 კომო | 12 | 0 | 5 | 7 | 7:20 | -13 | 5 | 5 | 0 | 2 | 3 | 3:9 | -6 | 2 | 7 | 0 | 3 | 4 | 4:11 | -7 | 3 |

### XIV ტური

19 დეკემბერი

| | | |
|---|---|---|
| ბოლონია | - | პარმა |
| ბრეშა | - | პერუჯა |
| კომო | - | მილანი |
| ემპოლი | - | მოდენა |
| ინტერი | - | ატალანტა |
| იუვენტუსი | - | ლაციო |
| პიაჩენცა | - | ქიევო |
| რომა | - | რეჯინა |
| უდინეზე | - | ტორინო |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ვიერი (ინტერი) | 12 |
| ტოტი (რომა) | 9 |
| დელ პიერო (იუვენტუსი) | 9 |
| დი ნატალე (ემპოლი) | 8 |
| ფ. ინძაგი (მილანი) | 8 |
| კ. ლოპესი (ლაციო) | 8 |

### სერია B

#### XV ტური

**კოზენცა 3:3 მესინა**

1:0 გვიდონი (13), 1:1 ძამპანა (15), 2:1 ლენტინი (38), 2:2 პორტანოვა (41), 2:3 ძამპანა (45), 3:3 გვიდონი (89)

**ანკონა 2:1 კალიარი**

1:0 მაინი (43), 1:1 სუაზო (50), 2:1 დეგანო (68)

**კატანია 1:0 ბარი**

1:0 მონაკო (3)

**ლეჩე 2:1 ასკოლი**

1:0 ჩევანტონი (17), 1:1 ბონფილიო (43), 2:1 ჩევანტონი (55)

**პალერმო 0:0 ჯენოა**

**სალერნიტანა 1:3 ვერონა**

1:0 კომაცი (22ს.კ.), 1:1 იტალიანო (43), 1:2 კოსატო (46), 1:3 კასეტი (49)

**სამპდორია 1:2 ტერნანა**

1:0 ბაცანი (1), 1:1, 1:2 ფრიკა (17, 82)

**სიენა 0:0 ვენეცია**

**ვიჩენცა 0:0 ლივორნო**

**ტრიესტინა — ნაპოლი**

წუხელ გვიან გაიმართა (იხ.მე-2 გვერდზე) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სამპდორია | 14 | 6 | 6 | 2 | 17:11 | 24 |
| ლეჩე | 14 | 5 | 8 | 1 | 17:12 | 23 |
| სიენა | 14 | 5 | 8 | 1 | 13:9 | 23 |
| ტრიესტინა | 13 | 6 | 4 | 3 | 19:12 | 22 |
| ანკონა | 14 | 5 | 7 | 2 | 18:13 | 22 |
| ტერნანა | 14 | 6 | 4 | 4 | 15:12 | 22 |
| კალიარი | 13 | 6 | 4 | 3 | 14:12 | 22 |
| პალერმო | 14 | 6 | 3 | 5 | 15:17 | 21 |
| ლივორნო | 14 | 6 | 2 | 6 | 14:11 | 20 |
| ვერონა | 14 | 4 | 6 | 4 | 19:16 | 18 |
| ასკოლი | 14 | 4 | 5 | 5 | 10:12 | 17 |
| მესინა | 13 | 4 | 4 | 5 | 19:19 | 16 |
| ვიჩენცა | 14 | 3 | 7 | 4 | 16:20 | 16 |
| ვენეცია | 14 | 4 | 4 | 6 | 12:16 | 16 |
| ბარი | 14 | 2 | 9 | 3 | 11:10 | 15 |
| ჯენოა | 14 | 3 | 6 | 5 | 14:14 | 15 |
| კოზენცა | 14 | 4 | 3 | 7 | 14:17 | 15 |
| კატანია | 14 | 4 | 3 | 7 | 16:24 | 15 |
| ნაპოლი | 13 | 2 | 6 | 5 | 15:19 | 12 |
| სალერნიტანა | 14 | 3 | 1 | 10 | 12:24 | 10 |

### სერია C1/A

80-15 ტური: ლუმეცანე — ლუკეზე 1:3; პადოვა — ალბინოლეფე 3:3; პიზა — ჩეზენა 1:0; პისტოიეზე — არეცო 1:0; პრატო — პრო პატრია 2:2; სპალ — ჩიტადელა 0:1; სპეცია — ალძანო 1:1; ტრევიზო — რეჯანა 2:0; ვარეზე — კარარეზე 1:0

### სერია C1/B

80-15 ტური: ტორესი — ტარანტო 0:1; აველინო — აკილა 3:0; კროტი — პატერნო 2:0; ფერმანა — სორა 2:2; მარტინა — ჯულიანოვა 1:0; პესკარა — ბენევენტო 3:2; სამბენედეტეზე — ლანჩიანო 0:0; ტერამო — პეზარო 2:2; ვიტერბეზე — კროტონე 0:0

# იტალიის ჩემპიონატი

## მეცამეტე ტურის მატჩი

## მილანი 1:0 რომა

კახა კალაძეს არ უთამაშია



REUTERS

პაოლო მალდინიმ (№33) და ალესანდრო ნესტამ რომაელი ვინჩენცო მონტელა უბურთოდ დატოვეს

# მტკიცებულება იმისა, რომ ორი სჯობს ერთს

„სრული დატვირთვით ვარჯიში ვცადე, მაგრამ ვერ გავუძელი, ამის შემყურე მწვრთნელებმა გადაწყვიტეს, რომ მოვლენათა დაჩქარება არ ღირს, რადგან ოთხშაბათს „დორტმუნდთან“ ვთამაშობთ, ხუთშაბათს კი, კომერციული შეხვედრის ჩასატარებლად ყატარში მივფრინავთ“ — თქვა კახა კალაძემ „რომასთან“ მატჩის წინ და, მართლაც, ქართველ ლეგიონერს ამ შეხვედრაში არ უთამაშია.

მაშ ასე, გასულ შაბათს, მილანში, ქალაქის მფარველის, წმინდა ამბროსის დღესასწაულზე ქალაქის ცენტრში წამოჭიმული 12-მეტრიანი ნაძვისხიდან (ცოტა ადრე ხომ არ მოუვიდათ ნაძვის ხის წამოჭიმვა?) მოშორებით, „სან სიროზე“, იტალიის ჩემპიონატის მატჩი გაიმართა, რომელშიც „შავ-წითლებმა“ საქართველოს ნაკრების წევრის გარეშე „რომას“ 1:0 მოუგეს.

„რომას“ ფრანჩესკო ტოტი არ ჰყავდა. არ იყო ფრანგი მცველი ვენსან კანდელაც, თუმცა ტოტის არყოფნა ამ გუნდისთვის, ნებისმიერი სხვა მოთამაშის არყოფნაზე მეტი რომ არის, ყველამ იცის. მოგეხსენებათ, ტოტიცა და კანდელაც წინა ტურში მოედნიდან გააძევეს.

ლიდერისა და კაპიტნის არყოფნაში „რომას“ თავკაცმა ფაბიო კაპელომ მოედნის ცენტრი ბრაზილიელებს, ემერსონსა და ლიმას ანდო, ხოლო ნახევარდაცვის მარცხენა ფრთა ახალგაზრდა ბომბარდინის ჩააბარა. და მაინც, კაპელოს ყველაზე სარისკო ნაბიჯი დაცვის ცენტრში ბერძენი დელასის გამოყვანა გამოდგა. შეგახსენებთ, რომ დელასი ის მცველია, რომელმაც წინა კვირაში, იტალიის თასზე „ტრიესტინასთან“ თამაშის დროს დიდი სიმკვირცხლე ვერ გამოიჩინა და პენალტითაც დაისაჯა.

„მილანის“ თავკაც კარლო ანჩელოტის კი რივალდოს, ჯენარო გატუზოს, კალაძისა და მეკარე დიდას შემცვლელები ჰყავდა მოსაძებნი. მწვრთნელმა ასე ამჯობინა: კალაძეობა ვეტერან არგენტინელს, შამოტს დაავალა. კარში კრისტიან აბიატი ჩააყენა, ნახევარდაცვის გული მასიმო ამბროზინის ანდო, თავდასხმაში კი ფილიპო ინძაგის ანდრეი შევჩენკო ამჯობინა.

ერთი სიტყვით, ანჩელოტის გემოვნება ნათელი გახდა. მას უყვარს ერთი თავდამსხმელითა და ორი ინსაიდით თამაში — ინძაგის, სასტარტოში რომ ყოფილიყო, მეორე ფორვარდის ფუნქციები უნდა შეესრულებინა, ბრაზილიელი სერჟინიო კი მარცხენა ფრთიდან ქმნიდა ამინდს, ის ხომ ინსაიდია. და კიდევ, სათადარიგოთა სკამზე, არც მეტი, არც ნაკლები, ფერნანდო რედონდო იჯდა, რომელიც ბოლო 6 წუთი შევჩენკოს მაგივრად შევიდა მოედანზე.

თამაშის თხუთმეტწუთიანი დაგვიანებით დაიწყო: კაფუმ და მალდინიმ, ანუ მეტოქეთა კაპიტნებმა ქომაგებს ძალადობის წინააღმდეგ მიმართული განცხადება წაუკითხეს. იმავე მიზეზით, ასევე 15-წუთიანი დაგვიანებით დაიწყო ტურის სხვა მატჩებიც, მათ შორის სერია B-სა და C-შიც.

შემდეგ ბურთი გაგორდა და... პირველ ტაიმში ისე იგორა, რომ საინტერესო ადგილას არ მიგორებულა. მეორე ტაიმის დასაწყისში თითქოს „რომამ“ აჯობა მასპინძლებს, თუმცა გოლი, მოგეხსენებათ, ზუსტი დარტყმის შედეგია და არა ამა თუ იმ ყაიდის უპირატესობისა. კარლო ანჩელოტიმ სერჟინიო ინძაგით შეცვალა (რაგინდ გიყვარდეს ერთი ფორვარდით თამაში, ორს მეტად შეუძლია გოლის გატანა) და გაუმართლა: „სუპერპიპომ“ სეზონში თავისი მე-18 გოლი გაიტანა. თან მშვენიერი პასი არც მეტი, არც ნაკლები, შევჩენკომ მიაწოდა.

სხვათა შორის, ამ ეპიზოდში „რომას“ ფეხბურთელები მსაჯს, პიერლუიჯი კოლინას უმტკიცებდნენ, რომ მილანელმა ხელი მიაშველა საქმეს, მაგრამ მსაჯმა, არაო!

შემდეგ კი გაბრიელ ბატისტუტამ უმარტივესი მდგომარეობიდან ვერ გაქვითა.

**ბაჩუნა ძიძია**


# იყიდება სასწრაფოდ!

შავი ანტიკვარული როიალი „ბეხშტეინი“, ნახევრადსაკონცერტო, მე-19 საუკუნის, დამზადებულია შვედეთში.

ფასი 2 000 $



ტელ: 22-23-15


# მაკლიშური კლიშე მაჯლაჯუნა კელტებისთვის

## შოტლანდია

### პრემიერლიგა. XIX ტური

**რეინჯერსი 3:2 სელტიკი**

0:1 სატონი (1), 1:1 მური (10), 2:1 დე ბური (35), 3:1 მოლსი (40), 3:2 ჰართსონი (61)

რეინჯერსი: კლოსი, როსი (მალკოლმი 21), მური, ამორუზო, ნუმანი, რიკსენი, მაკკენი, ბ. ფერგიუსონი, რ. დე ბური, მოლსი (კანინჯა 84), შ. არველაძე (ლოვენკრანდსი 65)

მწვრთნელი: ალექს მაკლიში

გაფრთხილება: მური, დე ბური, მოლსი, ჰართსონი, ბალდე, ლენონი

მსაჯი: კლარკი

49 874 მაყურებელი

**კილმარნოკი 2:0 დანდი**

1:0 ფულტონი (57), 2:0 ბოიდი (90)

ზურაბ ხიზანიშვილი სათადარიგო იყო, გიორგი ნემსაძე ტრავმირებულია

**აბერდინი 1:1 მოზერუელი**

1:0 იანგი (30), 1:1 კინიბურგი (59)

**დანდი იუნაიტედი 1:1 ჰიბერნიანი**

1:0 ვილსონი (3), 1:1 მურეი (7)

**ჰართსი 2:1 ლივინგსტონი**

1:0 კირკი (5), 1:1 ზარატე (63), 2:1 კირკი (70პ)

**პარტიკი 4:0 დანფერმლაინი**

1:0 ბრიტონი (5), 2:0, 3:0 ბარნსი (45, 52), 4:0 მაკლეინი (70)

**დიდი მატჩი** „რეინჯერსმა“ მოიგო და ლიდერობა დაიბრუნა. ალექს მაკლიშის მიერ ნაწრთობი „ჩაფრები“ მარტინ ონილის „სელტიკისთვის“ კვლავაც გადაულახავი ზღუდეა.

მანამდე მაკლიშის „რეინჯერსმა“ ორჯერ მოუგო „სელტიკს“ — ერთხელ ასოციაციის, მეორედ ლიგის თასზე, ხოლო პრემიერლიგაში მაკლიშმა პირველად დასცა „სელტიკი“. აიბროქსელებს ჩემპიონატში შინ ორი წელიწადი არ მოეგოთ მტარვალი მეტოქისთვის. ერთი სიტყვით, რეინჯერსულ ბანაკში სტვირს მაგრად ჩაჰბერეს.

პირველი გოლი მე-19 წამზე გავიდა — ულრიკ ლაურსენმა მოედნის საკუთარი ნახევრიდან მოუქნია ბურთს, რომელიც „რეინჯერსის“ საჯარიმოსთან ჯონ ჰართსონმა მიუგდო ფეხებში და კიდევ უფრო წინ უპასა კრის სატონს — „რეინჯერსის“ დაცვა გაშეშდა და სატონმაც ახლოდან გაიტანა.

მაგრამ მაკლიშს სანერვიული ბევრიც არაფერი ჰქონდა — „რეინჯერსმა“ არანორმალური შეუპოვრობით შეუტია და აშკარა იყო, რომ საპასუხო გოლს ადრე თუ გვიან აუცილებლად გაიტანდა.

მიხაელ მოლსმა კუთხური მოინადირა, ფერნანდო რიკსენმა ჩააწოდა და კრეიგ მურმა ლონიერი თავურით დაამწუხრა რობ დუგლასი.

„სელტიკს“ მალევე შეეძლო დაწინაურება — ნეილ მაკკანმა ვითომ თანაგუნდელ მცველებს დაუგორა ბურთი, რომელსაც სელტიკელი სტილიან პეტროვი დაეპატრონა და ჰართსონს გადააწოდა — უელსელი შემტევის დარტყმა ჯერ ერთმა ძელმა აისხლიტა, მერე ბურთი კარის ხაზზე გაგორდა და საპირისპირო ძელსაც მოხვდა.

მაგრამ მაკკანმა მალევე გამოასწორა შეცდომა — დრიბლინგით თავგზა აუბნია ბობო ბალდეს და რონალდ დე ბურს პასი დაუხატა — ჰოლანდიელმაც ჰაერში შემართულმა ლამაზად გაახვია ბურთი ბადეში.



REUTERS

რეინჯერსი — სელტიკი. სტუმარმა ბობო ბალდემ მიხაელ მოლსი ჩაიხუტა

შემდეგ ფერნანდო რიკსენმა იყოჩაღა, სამი მეურვე ჩამოიცილა და შოთა არველაძეს გადააწოდა ბურთი. ქართველმა კი საგოლედ უპასა მიხაელ მოლსს — ჰოლანდიელი ფორვარდი დუგლასთან პირისპირ აღმოჩნდა და ჯიქურ დაურტყა უზუსტესად.

ამ გოლმა „ჩაფრები“ თითქოს დააგრილა, ჩაკეტილი თამაში წავიდა. „სელტიკს“ ერთადერთხელ მიეცა შანსი და გამოიყენა კიდეც — ჰენრიკ ლარსონის პასით ჰართსონმა დაბალი ბურთი შეუცურა შტეფან კლოსს.

„რეინჯერსმა“ სამიოდ წუთში მოინდომა პასუხი — ლორენცო ამორუზომ 40 იარდიდან დაარტყა და ძელი აატორტმანა. შემდეგ შეცვლაზე შესულ პიტერ ლოვენკრანდს ჰქონდა რამდენი კარგი შესაძლებლობა, მაგრამ დამაგვირგვინებელი დარტყმა სულ უცუდდებოდა.

„ამ გამარჯვებით აღფრთოვანებული ვარ, თუმც ჩემპიონობამდე კიდევ შორი და რთული გზაა გასავლელი. ჩემმა ფეხბურთელებმა პირველი წუთებიდანვე დაამტკიცეს თუ რა ხასიათის გუნდია „რეინჯერსი“. კარგ ფეხბურთელებს ასე სჩვევიათ — შეცდომების შემდეგ უფრო ძლიერად ათამაშდებიან ხოლმე. პირველ ტაიმში მართლაც ჩინებული ფეხბურთი ვაჩვენეთ, მახვილგონივრული გადაცემების ხარჯზე კარგად ვმოძრაობდით. მეორე ტაიმში აქცენტი დაცვაზე გადავიტანეთ, მაგრამ დასაძრახები ალბათ არც ვართ — ჩვენ „სელტიკს“ ვეთამაშებოდით და მოვიგეთ. ყველა ჩემი ფეხბურთელი დიდ ქებას იმსახურებს, მაგრამ კრეიგ მურს მაინც გამოვარჩევ. მან გამთანაბრებელი შეაგდო და კიდევ ერთი მატჩი ჩაატარა ბრწყინვალედ. წინ გრძელი გზაა, მაგრამ ისიც ხომ ფაქტია, დაუმარცხებელნი რომ ვართ“ — უთქვამს ნამატჩევს ალექს მაკლიშს.

**დავით თავართქილაძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეინჯერსი | 19 | 16 | 3 | 0 | 59:15 | 51 |
| სელტიკი | 19 | 16 | 1 | 2 | 54:12 | 49 |
| დანფერმლაინი | 19 | 9 | 3 | 7 | 34:38 | 30 |
| ჰართსი | 19 | 7 | 6 | 6 | 28:32 | 27 |
| ჰიბერნიანი | 19 | 8 | 2 | 9 | 26:28 | 26 |
| კილმარნოკი | 19 | 7 | 4 | 8 | 19:31 | 25 |
| დანდი | 19 | 6 | 6 | 7 | 24:29 | 24 |
| პარტიკ თისლი | 19 | 5 | 6 | 8 | 21:31 | 21 |
| აბერდინი | 19 | 4 | 7 | 8 | 18:31 | 19 |
| ლივინგსტონი | 19 | 4 | 4 | 11 | 26:32 | 16 |
| დანდი იუნ. | 19 | 3 | 6 | 10 | 18:35 | 15 |
| მოზერუელი | 19 | 3 | 4 | 12 | 24:37 | 13 |

### პირველი დივიზიონი

მე-17 ტური: ეარი — ინვერნესი 3:3; კლაიდი — სტ. ჯონსტონი 1:2; ფოლკირკი — არბროთი 2:1; ქუინ ოფ საუთ — ალოა 1:1; როს ქაუნთი — სტ. მირენი 4:0

### მესამე დივიზიონი

მე-16 ტური: ისტ სტირლინგი — პიტერჰედი 1:4; მორტონი — ელგინი 4:0; გრეტნა — ისტ ფაიფი 2:3; მონტროუზი — ალბიონი 0:1; ქუინზ პარკი — სტირლინგი 0:1; ელგინი — პიტერჰედი 0:4; მორტონი — ქუინზ პარკი 1:1; გრეტნა — ალბიონი 1:2

### თასი. პირველი ეტაპი

ისტ სტირლინგი — თრივი 1:1; რეითი — დამბარტონი 1:0; სელკირკი — ქოუდენბითი 1:4; სტენჰაუზმური — ბრეჩინი 4:1; სტრანრაერი — ვითერმილი 1:1; მონტროუზი — ბერვიკი 2:1; ბრუკსტონი — ჰამილტონი 0:1; ფორფარი — ჰანტლი 3:1

## თურქეთი

მე-16 ტური: ანკარაგიუჯიუ — გაზიანთეფი 5:3; ბურსა — ადანა 3:0; დიარბაქირი — ფენერბაჰჩე 3:0; გალათასარაი — ბეშიქთაში 0:1; გიოზთეფე — მალათია 0:3; ისთანბული — ელაზიგსფორი 2:1; კოჯაელი — ალთაი 3:0; სამსუნი — გენჩლერი 2:7; ტრაბზონი — დენიზლი 1:0

| 23.45 | 766 | ხუვენტუდი-ტელეკომი | 1,15 | 12,0 | 4,0 | 1,04 | 1 | 3 |
| 23.45 | 767 | ვარეზე-ზადარი | 1,3 | 12,0 | 2,8 | 1,17 | 1 | 2,27 |
| | | **11 დეკემბერი** | | | | | | |
| 23.00 | 768 | შარლერუა-ლეიდა | 1,8 | 12,0 | 1,8 | 1,56 | 1 | 1,56 |
| 23.30 | 769 | ტრიესტე-შალონი | 1,3 | 12,0 | 2,8 | 1,17 | 1 | 2,27 |
| | | **კალათბურთი. NBA** | | | | | | |
| | | **10 დეკემბერი** | | | | | | |
| 04.00 | 770 | ვაშინგტონი-პორტლენდი | 1,75 | 12,0 | 1,85 | 1,52 | 1 | 1,6 |
| 04.30 | 771 | ნიუ იორკი-სიეტლი | 1,9 | 12,0 | 1,7 | 1,64 | 1 | 1,48 |
| 04.30 | 772 | მაიამი-მემფისი | 1,35 | 12,0 | 2,5 | 1,21 | 1 | 2,06 |
| 05.30 | 773 | დალასი-კლიპერსი | 1,1 | 12,0 | 5,0 | 1 | 1 | 3,52 |
| 05.30 | 774 | ჰიუსტონი-საკრამენტო | 1,9 | 12,0 | 1,7 | 1,64 | 1 | 1,48 |
| 05.30 | 775 | ჩიკაგო-ორლანდო | 2,2 | 12,0 | 1,5 | 1,85 | 1 | 1,33 |
| 07.30 | 776 | გოლდენ სტეიტი-ლეიკერსი | 2,5 | 12,0 | 1,35 | 2,06 | 1 | 1,21 |

**შემდეგ ეტაპზე გასვლა**

**10 დეკემბერი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 20.30 | 2701 | შალკე-ვისლა | 1,05 | 6,0 |
| | | **12 დეკემბერი** | | |
| 20.45 | 2702 | პანათინაიკოსი-ლიბერეცი | 1,1 | 5,0 |
| 21.00 | 2703 | ლიონი-დენიზლი | 1,05 | 5,0 |
| 21.00 | 2704 | ფულემი-ჰერტა | 1,8 | 1,8 |
| 22.00 | 2705 | მაკაბი-აეკ | 10,0 | — |
| 22.00 | 2706 | დინამო-ბეშიქთაში | 2,3 | 1,35 |
| 22.30 | 2707 | ოსერი-ბეტისი | 2,5 | 1,35 |
| 23.00 | 2708 | სლავია-პაოკ | 2,0 | 1,5 |
| 23.30 | 2709 | შტუტგარტი-ბრიუგე | 1,02 | 8,0 |
| 23.30 | 2710 | ლაციო-შტურმი | — | 10,0 |
| 23.30 | 2711 | ანდერლეხტი-ბორდო | 1,02 | 7,0 |
| 23.45 | 2712 | ლივერპული-ვიტესი | — | 10,0 |
| 24.00 | 2713 | ლიდსი-მალაგა | 1,45 | 2,2 |
| 00.05 | 2714 | სელტა-სელტიკი | 1,65 | 1,9 |
| 00.15 | 2715 | ლანსი-პორტუ | 7,0 | 1,02 |
| 01.30 | 2716 | ბოავიშტა-ჰსვ | 2,2 | 1,45 |

**I ტაიმის შედეგი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **10 დეკემბერი** | | | | | | |
| 23.45 | 2001 | ბარსელონა-ნიუკასლი | 1,7 | 2,45 | 6,0 | 1 | 1,32 | 1,73 |
| 23.45 | 2002 | ინტერი-ლევერკუზენი | 1,75 | 2,4 | 6,0 | 1,01 | 1,35 | 1,71 |
| 23.45 | 2003 | აიაქსი-რომა | 2,9 | 2,1 | 3,2 | 1,21 | 1,52 | 1,26 |
| 23.45 | 2004 | არსენალი-ვალენსია | 2,45 | 2,0 | 4,2 | 1,1 | 1,54 | 1,35 |
| 20.30 | 2005 | შალკე-ვისლა | 1,5 | 3,0 | 7,0 | 1 | 1,23 | 2,09 |
| | | **11 დეკემბერი** | | | | | | |
| 23.45 | 2006 | დორტმუნდი-მილანი | 3,1 | 2,05 | 3,1 | 1,23 | 1,55 | 1,23 |
| 23.45 | 2007 | რეალი-ლოკომოტივი | 1,3 | 3,8 | 8,0 | 1 | 1,11 | 2,57 |
| 23.45 | 2008 | იუვენტუსი-ბაზელი | 1,4 | 3,4 | 7,0 | 1 | 1,16 | 2,28 |
| 23.45 | 2009 | მანჩესტერი-დეპორტივო | 2,05 | 2,1 | 6,0 | 1,03 | 1,52 | 1,55 |
| | | **12 დეკემბერი** | | | | | | |
| 20.45 | 2010 | პანათინაიკოსი-ლიბერეცი | 1,8 | 2,4 | 5,6 | 1,02 | 1,36 | 1,68 |
| 21.00 | 2011 | ლიონი-დენიზლი | 1,4 | 3,4 | 7,0 | 1 | 1,16 | 2,28 |
| 21.00 | 2012 | ფულემი-ჰერტა | 2,3 | 2,05 | 4,7 | 1,08 | 1,54 | 1,42 |
| 22.00 | 2013 | მაკაბი-აეკ | 2,8 | 2,1 | 3,3 | 1,19 | 1,51 | 1,28 |
| 22.00 | 2014 | დინამო-ბეშიქთაში | 2,25 | 2,1 | 4,7 | 1,08 | 1,52 | 1,45 |
| 22.30 | 2015 | ოსერი-ბეტისი | 2,7 | 2,05 | 3,5 | 1,16 | 1,52 | 1,29 |
| 23.00 | 2016 | სლავია-პაოკ | 2,2 | 2,1 | 5,0 | 1,07 | 1,52 | 1,47 |
| 23.30 | 2017 | შტუტგარტი-ბრიუგე | 2,0 | 2,15 | 6,0 | 1,03 | 1,5 | 1,58 |
| 23.30 | 2018 | ლაციო-შტურმი | 1,55 | 2,9 | 6,5 | 1,01 | 1,25 | 2 |
| 23.30 | 2019 | ანდერლეხტი-ბორდო | 2,5 | 2,1 | 3,6 | 1,14 | 1,47 | 1,32 |
| 23.45 | 2020 | ლივერპული-ვიტესი | 1,4 | 3,4 | 7,0 | 1 | 1,16 | 2,28 |
| 24.00 | 2021 | ლიდსი-მალაგა | 2,4 | 2,0 | 4,4 | 1,09 | 1,55 | 1,37 |
| 00.05 | 2022 | სელტა-სელტიკი | 2,1 | 2,1 | 5,6 | 1,04 | 1,52 | 1,52 |
| 00.15 | 2023 | ლანსი-პორტუ | 2,15 | 2,1 | 5,3 | 1,06 | 1,52 | 1,5 |
| 01.30 | 2024 | ბოავიშტა-ჰსვ | 2,8 | 2,05 | 3,4 | 1,18 | 1,53 | 1,27 |

## ტურში გატანილი გოლების რაოდენობა

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 14.12 18.30 | 2601 | გერმანია ბლ. (XVII ტური) | 25 ან ნაკლები – 1,9 | 27 ან მეტი – 1,9 |
| 14.12 16.15 | 2602 | ინგლისი პლ. (XVIII ტური) | 25 ან ნაკლები – 1,9 | 27 ან მეტი – 1,9 |
| 14.12 21.00 | 2603 | იტალია "A" (XIV ტური) | 23 ან ნაკლები – 1,9 | 25 ან მეტი – 1,9 |
| 14.12 00.30 | 2604 | ესპანეთი Iლ. (XIV ტური) | 25 ან ნაკლები – 1,9 | 27 ან მეტი – 1,9 |
| 14.12 20.15 | 2605 | საფრანგეთი Iლ. (XIX ტური) | 22 ან ნაკლები – 1,9 | 24 ან მეტი – 1,9 |
| 13.12 01.00 | 2606 | პორტუგალია Iლ. (XIV ტური) | 23 ან ნაკლები – 1,9 | 25 ან მეტი – 1,9 |
| 13.12 23.00 | 2607 | ბელგია Iლ. (XVI ტური) | 26 ან ნაკლები – 1,9 | 28 ან მეტი – 1,9 |
| 13.12 22.00 | 2608 | თურქეთი. (XVII ტური) | 26 ან ნაკლები – 1,9 | 28 ან მეტი – 1,9 |

| 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო | | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **10 დეკემბერი** | | | | | | | | | |
| 23.45 | 2101 | ბარსელონა-ნიუკასლი | 1,8 | 12,0 | 25,0 | 3,2 | 4,7 | 12,0 | 20,0 | 10,0 | 11,0 |
| 23.45 | 2102 | ინტერი-ლევერკუზენი | 1,9 | 12,0 | 25,0 | 3,2 | 4,7 | 12,0 | 20,0 | 10,0 | 11,0 |
| 23.45 | 2103 | აიაქსი-რომა | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 4,0 |
| 23.45 | 2104 | არსენალი-ვალენსია | 3,0 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 5,3 |
| 20.30 | 2105 | შალკე-ვისლა | 1,6 | 15,0 | 30,0 | 3,3 | 5,0 | 15,0 | 25,0 | 12,0 | 12,0 |
| | | **11 დეკემბერი** | | | | | | | | | |
| 23.45 | 2106 | დორტმუნდი-მილანი | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,8 |
| 23.45 | 2107 | რეალი-ლოკომოტივი | 1,4 | 20,0 | 40,0 | 3,4 | 6,0 | 15,0 | 30,0 | 15,0 | 15,0 |
| 23.45 | 2108 | იუვენტუსი-ბაზელი | 1,5 | 15,0 | 30,0 | 3,3 | 5,3 | 15,0 | 30,0 | 15,0 | 15,0 |
| 23.45 | 2109 | მანჩესტერი-დეპორტივო | 2,3 | 10,0 | 20,0 | 3,3 | 4,4 | 9,0 | 20,0 | 10,0 | 8,0 |
| | | **12 დეკემბერი** | | | | | | | | | |
| 20.45 | 2110 | პანათინაიკოსი-ლიბერეცი2,0 | 10,0 | 20,0 | 3,2 | 4,7 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 10,0 | |
| 21.00 | 2111 | ლიონი-დენიზლი | 1,5 | 15,0 | 30,0 | 3,3 | 5,3 | 15,0 | 30,0 | 15,0 | 15,0 |
| 21.00 | 2112 | ფულემი-ჰერტა | 2,8 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,4 | 7,0 | 20,0 | 10,0 | 5,6 |
| 22.00 | 2113 | მაკაბი-აეკ | 3,4 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,0 | 20,0 | 10,0 | 4,4 |
| 22.00 | 2114 | დინამო-ბეშიქთაში | 2,7 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,4 | 7,0 | 20,0 | 10,0 | 6,0 |
| 22.30 | 2115 | ოსერი-ბეტისი | 3,3 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 5,0 |
| 23.00 | 2116 | სლავია-პაოკ | 2,6 | 10,0 | 20,0 | 3,6 | 4,4 | 8,0 | 20,0 | 10,0 | 6,5 |
| 23.30 | 2117 | შტუტგარტი-ბრიუგე | 2,2 | 10,0 | 20,0 | 3,2 | 4,7 | 9,0 | 20,0 | 10,0 | 8,0 |
| 23.30 | 2118 | ლაციო-შტურმი | 1,7 | 12,0 | 25,0 | 3,2 | 5,0 | 12,0 | 25,0 | 12,0 | 12,0 |
| 23.30 | 2119 | ანდერლეხტი-ბორდო | 3,2 | 10,0 | 20,0 | 4,2 | 4,4 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 5,0 |
| 23.45 | 2120 | ლივერპული-ვიტესი | 1,5 | 15,0 | 30,0 | 3,3 | 5,3 | 15,0 | 30,0 | 15,0 | 15,0 |
| 24.00 | 2121 | ლიდსი-მალაგა | 3,0 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 5,3 |
| 00.05 | 2122 | სელტა-სელტიკი | 2,4 | 10,0 | 20,0 | 3,4 | 4,4 | 8,0 | 20,0 | 10,0 | 7,0 |
| 00.15 | 2123 | ლანსი-პორტუ | 2,5 | 10,0 | 20,0 | 3,5 | 4,4 | 7,5 | 20,0 | 10,0 | 6,5 |
| 01.30 | 2124 | ბოავიშტა-ჰსვ | 3,6 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,0 | 20,0 | 10,0 | 4,4 |

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | | კი | არა |
|---|---|---|---|---|
| | | **10 დეკემბერი** | | |
| 23.45 | 2301 | ბარსელონა-ნიუკასლი | 1,7 | 1,9 |
| 23.45 | 2302 | ინტერი-ლევერკუზენი | 1,7 | 1,9 |
| 23.45 | 2303 | აიაქსი-რომა | 1,65 | 1,95 |
| 23.45 | 2304 | არსენალი-ვალენსია | 1,65 | 1,95 |
| 20.30 | 2305 | შალკე-ვისლა | 1,8 | 1,8 |
| | | **11 დეკემბერი** | | |
| 23.45 | 2306 | დორტმუნდი-მილანი | 1,7 | 1,9 |
| 23.45 | 2307 | რეალი-ლოკომოტივი | 1,8 | 1,8 |
| 23.45 | 2308 | იუვენტუსი-ბაზელი | 1,8 | 1,8 |
| 23.45 | 2309 | მანჩესტერი-დეპორტივო | 1,7 | 1,9 |
| | | **12 დეკემბერი** | | |
| 20.45 | 2310 | პანათინაიკოსი-ლიბერეცი | 1,8 | 1,8 |
| 21.00 | 2311 | ლიონი-დენიზლი | 1,8 | 1,8 |
| 21.00 | 2312 | ფულემი-ჰერტა | 1,7 | 1,9 |
| 22.00 | 2313 | მაკაბი-აეკ | 1,65 | 1,95 |
| 22.00 | 2314 | დინამო-ბეშიქთაში | 1,7 | 1,9 |
| 22.30 | 2315 | ოსერი-ბეტისი | 1,7 | 1,9 |
| 23.00 | 2316 | სლავია-პაოკ | 1,7 | 1,9 |
| 23.30 | 2317 | შტუტგარტი-ბრიუგე | 1,65 | 1,95 |
| 23.30 | 2318 | ლაციო-შტურმი | 1,8 | 1,8 |
| 23.30 | 2319 | ანდერლეხტი-ბორდო | 1,7 | 1,9 |
| 23.45 | 2320 | ლივერპული-ვიტესი | 1,8 | 1,8 |
| 24.00 | 2321 | ლიდსი-მალაგა | 1,7 | 1,9 |
| 00.05 | 2322 | სელტა-სელტიკი | 1,7 | 1,9 |
| 00.15 | 2323 | ლანსი-პორტუ | 1,7 | 1,9 |
| 01.30 | 2324 | ბოავიშტა-ჰსვ | 1,75 | 1,85 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში. (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | **10 დეკემბერი** | | |
| 23.45 | 2201 | ბარსელონა-ნიუკასლი | 1,95 | 1,65 |
| 23.45 | 2202 | ინტერი-ლევერკუზენი | 1,95 | 1,65 |
| 23.45 | 2203 | აიაქსი-რომა | 1,9 | 1,7 |
| 23.45 | 2204 | არსენალი-ვალენსია | 1,85 | 1,75 |
| 20.30 | 2205 | შალკე-ვისლა | 1,9 | 1,7 |
| | | **11 დეკემბერი** | | |
| 23.45 | 2206 | დორტმუნდი-მილანი | 1,9 | 1,7 |
| 23.45 | 2207 | რეალი-ლოკომოტივი | 2,2 | 1,5 |
| 23.45 | 2208 | იუვენტუსი-ბაზელი | 2,0 | 1,6 |
| 23.45 | 2209 | მანჩესტერი-დეპორტივო | 1,95 | 1,65 |
| | | **12 დეკემბერი** | | |
| 20.45 | 2210 | პანათინაიკოსი-ლიბერეცი | 1,8 | 1,8 |
| 21.00 | 2211 | ლიონი-დენიზლი | 1,9 | 1,7 |
| 21.00 | 2212 | ფულემი-ჰერტა | 1,85 | 1,75 |
| 22.00 | 2213 | მაკაბი-აეკ | 1,95 | 1,65 |
| 22.00 | 2214 | დინამო-ბეშიქთაში | 1,85 | 1,75 |
| 22.30 | 2215 | ოსერი-ბეტისი | 1,8 | 1,8 |
| 23.00 | 2216 | სლავია-პაოკ | 1,85 | 1,75 |
| 23.30 | 2217 | შტუტგარტი-ბრიუგე | 1,95 | 1,65 |
| 23.30 | 2218 | ლაციო-შტურმი | 1,9 | 1,7 |
| 23.30 | 2219 | ანდერლეხტი-ბორდო | 1,9 | 1,7 |
| 23.45 | 2220 | ლივერპული-ვიტესი | 1,9 | 1,7 |
| 24.00 | 2221 | ლიდსი-მალაგა | 1,8 | 1,8 |
| 00.05 | 2222 | სელტა-სელტიკი | 1,85 | 1,75 |
| 00.15 | 2223 | ლანსი-პორტუ | 1,85 | 1,75 |
| 01.30 | 2224 | ბოავიშტა-ჰსვ | 1,8 | 1,8 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | **10 დეკემბერი** | | |
| 23.45 | 2401 | ბარსელონა-ნიუკასლი | 1,35 | 3,2 |
| 23.45 | 2402 | ინტერი-ლევერკუზენი | 1,4 | 3,0 |
| 23.45 | 2403 | აიაქსი-რომა | 1,85 | 1,95 |
| 23.45 | 2404 | არსენალი-ვალენსია | 1,7 | 2,2 |
| 20.30 | 2405 | შალკე-ვისლა | 1,3 | 3,4 |
| | | **11 დეკემბერი** | | |
| 23.45 | 2406 | დორტმუნდი-მილანი | 1,9 | 1,9 |
| 23.45 | 2407 | რეალი-ლოკომოტივი | 1,15 | 4,7 |
| 23.45 | 2408 | იუვენტუსი-ბაზელი | 1,2 | 4,0 |
| 23.45 | 2409 | მანჩესტერი-დეპორტივო | 1,55 | 2,5 |
| | | **12 დეკემბერი** | | |
| 20.45 | 2410 | პანათინაიკოსი-ლიბერეცი | 1,45 | 2,8 |
| 21.00 | 2411 | ლიონი-დენიზლი | 1,2 | 4,0 |
| 21.00 | 2412 | ფულემი-ჰერტა | 1,7 | 2,2 |
| 22.00 | 2413 | მაკაბი-აეკ | 1,8 | 2,0 |
| 22.00 | 2414 | დინამო-ბეშიქთაში | 1,65 | 2,3 |
| 22.30 | 2415 | ოსერი-ბეტისი | 1,75 | 2,1 |
| 23.00 | 2416 | სლავია-პაოკ | 1,6 | 2,4 |
| 23.30 | 2417 | შტუტგარტი-ბრიუგე | 1,5 | 2,6 |
| 23.30 | 2418 | ლაციო-შტურმი | 1,3 | 3,4 |
| 23.30 | 2419 | ანდერლეხტი-ბორდო | 1,7 | 2,2 |
| 23.45 | 2420 | ლივერპული-ვიტესი | 1,2 | 4,0 |
| 24.00 | 2421 | ლიდსი-მალაგა | 1,7 | 2,2 |
| 00.05 | 2422 | სელტა-სელტიკი | 1,6 | 2,4 |
| 00.15 | 2423 | ლანსი-პორტუ | 1,6 | 2,4 |
| 01.30 | 2424 | ბოავიშტა-ჰსვ | 1,85 | 1,95 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|---|
| | | **10 დეკემბერი** | | | |
| 23.45 | 2501 | ბარსელონა-ნიუკასლი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 23.45 | 2502 | ინტერი-ლევერკუზენი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 23.45 | 2503 | აიაქსი-რომა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 23.45 | 2504 | არსენალი-ვალენსია | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 20.30 | 2505 | შალკე-ვისლა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| | | **11 დეკემბერი** | | | |
| 23.45 | 2506 | დორტმუნდი-მილანი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 23.45 | 2507 | რეალი-ლოკომოტივი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 23.45 | 2508 | იუვენტუსი-ბაზელი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 23.45 | 2509 | მანჩესტერი-დეპორტივო | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| | | **12 დეკემბერი** | | | |
| 20.45 | 2510 | პანათინაიკოსი-ლიბერეცი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 21.00 | 2511 | ლიონი-დენიზლი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 21.00 | 2512 | ფულემი-ჰერტა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 22.00 | 2513 | მაკაბი-აეკ | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 22.00 | 2514 | დინამო-ბეშიქთაში | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 22.30 | 2515 | ოსერი-ბეტისი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 23.00 | 2516 | სლავია-პაოკ | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 23.30 | 2517 | შტუტგარტი-ბრიუგე | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 23.30 | 2518 | ლაციო-შტურმი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 23.30 | 2519 | ანდერლეხტი-ბორდო | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 23.45 | 2520 | ლივერპული-ვიტესი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 24.00 | 2521 | ლიდსი-მალაგა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 00.05 | 2522 | სელტა-სელტიკი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 00.15 | 2523 | ლანსი-პორტუ | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 01.30 | 2524 | ბოავიშტა-ჰსვ | 3,0 | 2,8 | 2,0 |

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

საქართველოს ჩემპიონატი

# ორი «ვაჰ!» ამბავი
## დიდი სიხარული, სასწრაფო და შეტევა საკუთარ ფარზე

ირაკლი ბერტაია

გადამეტებული რომ არაფერი ვარგა, შაბათს „აკადემია" — „მაკაბის" შემდეგ მომხდარმა შემთხვევამაც ცხადყო. აკადემიელთა ლიდერის, გიორგი ცინცაძის მამას ნამეტანი სიხარულისგან გული შეუწუხდა და საავადმყოფოში წასაყვანი შეიქნა. სასიხარულო კი ნამდვილად ჰქონდა მშობელს, დებიუტანტმა „აკადემიამ" ეროვნულ ჩემპიონატში პირველი გამარჯვება იზეიმა და ეს მისი შვილის წყალობით მოახერხა.

„აკადემია" 16-17 წლიანებით დაკომპლექტებული გუნდია. შეიძლება ითქვას, რომ ქართული კალათბურთის პერსპექტიული ახალთაობის მოზრდილი ნაწილი ამ გუნდში თამაშობს. არავის ეწყინება და, მათგან ყველაზე გამორჩეული სწორედ გიორგი ცინცაძეა, რომელსაც მეგობრებმა ერთობ ზანტი ფრინველის, ბუს სახელი კი შეარქვეს, მაგრამ ის მერცხალივით სწრაფია. მხოლოდ სისწრაფე როდია მისი უპირატესობა, გიორგი კალათბურთელისთვის საჭირო თითქმის ყველა მონაცემითაა დაჯილდოებული, მაგრამ მთავარი ისაა, რომ გამორჩეული ნიჭის წყალობით მას ამ მონაცემების განვითარება-სრულყოფის კარგი პერსპექტივა აქვს. ცინცაძეს არა აქვს უბადლო სროლა, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში მატჩის ბომბარდირი ხდება. გიორგი უთავბოლო სროლით კი არ იხვეჭს ქულებს, არამედ გააზრებული მოქმედებით თავად იქმნის სასროლად ხელსაყრელ მომენტს, აკი მაკაბელ ირაკლი ბერიშვილის შემდეგ პირველი წრის მეორე მთავარმექულეა. ცინცაძით საზღვარგარეთაც დაინტერესდნენ. მოსკოვის ცსკა-ს მისი ახალგაზრდულ გუნდში ჩარიცხვის სურვილი გამოუთქვამს, მაგრამ გიორგის ჯერ არსად მიეჩქარება და თუ ჩვენს ჩემპიონატში კლასის ამაღლება შესაძლებელია, იმაღლებს კიდეც.

აკადემიელებს შთამბეჭდავი გამარჯვება გამოუვიდათ, მათ აუტსაიდერებში უფრო ყოჩაღი „მაკაბი" დაამარცხეს. როგორც გითხარით, მატჩის გმირი გახდა გიორგი ცინცაძე, თუმცა წარმატებაში არც სხვა აკადემიელებს დაუდევთ მოკრძალებული წილი. პირველ ტაიმში ჩინებულად ირჯებოდა ჯანეზაშვილ-გვიმრაძის ტანდემი, რომლის შეწევნით კალათსაცდენილი ბურთების უმრავლესობა აკადემიელებს რჩებოდათ. ნოდარ ბექაურმა კი დიდ შესვენებამდე 5 სამქულიანი ჩაუგდო მაკაბელებს და თავის გუნდს თამაშის მოგების არცთუ ცუდი შანსი გაუჩინა. მეორე ნახევრიდან კი აკადემიის უკანა ხაზი ამოქმედდა — გიორგი ცინცაძე და ბესიკ ლეჟავა ქულას ქულაზე იხვეჭდნენ. მათ დაცვაში სათანადო წინააღმდეგობას ვერ უწევდა ირაკლი ბერიშვილი, რომლის თანაამპლუელი ნიკა ნოზაძე ავადმყოფობის გამო აკლდა „მაკაბის". მესამე მეოთხედის ბოლოს აკადემიელთა უპირატესობა 20 ქულამდე ავიდა და მატჩის ბედიც ფაქტობრივად აქ გადაწყდა. მერე კი იყო სიხარული, რომელსაც ექიმები დასჭირდა.

შაბათის მეორე მატჩი დაძაბულად დაიწყო, მაგრამ უინტერესოდ დასრულდა. რუსთავის „აზოტმა" სოხუმის უნივერსიტეტის გუნდს მხოლოდ პირველ მეოთხედში მისცა გაბრძოლების შესაძლებლობა, მერე კი მგრად შეუტია და საბოლოოდ დიდი სხვაობით დაამარცხა.

შაბათის ცენტრალური მატჩი ბათუმში გაიმართა. ბოლო სამი წლის ჩემპიონმა „ბასკომ" თბილისის ტექნიკური უნივერსიტეტის გუნდს უმასპინძლა და 6 ქულით დამარცხდა. ორი კვირის წინ ბათუმელებმა არსებობის მანძილზე პირველი საშინაო მარცხი იწვნიეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდისგან, ახლა კი ტექნიკოსებთანაც დათმეს შეხვედრა და ამ ბოლო დროს შელახული რეპუტაცია კიდევ უფრო გაიხუნეს.

კვირის ოთხი მატჩიდან ორი იყო საინტერესო — რუსთავში „აზოტი" — „დინამოს" დაპირისპირება და თბილისური „აკადემია" — სსუ. თსუ — „მაკაბი" და „ქუთაისი" — სტუ კი დროის მოსაკლავადაც არ გამოდგებოდა. რუსთავში „აზოტმა" გვარიანად ანერვიულა „დინამო", თუმცა თბილისელებმა დაძაბული თამაშის ბოლოს მაინც იძალეს. საინტერესო იყო ცენტრების — აზოტელ შოთა მაჭარაძის და დინამოელ იოვან სიროვინას დუელი. საბოლოოდ, ორივემ 15-15 ქულა მოიხვეჭა, მაგრამ ბოლო მეოთხედში იუგოსლაველმა აშკარად დაჯაბნა აზოტელი. რუსთაველებმა პირველი ტაიმი ქულით მოუგეს დინამოელებს, გადამწყვეტი ათწუთეულის წინ კი ფრე იყო, მაგრამ უკეთესმა შემადგენლობამ თავისი გაიტანა და ჩემპიონობის მაძიებლებმა ორი ქულა მიითვალეს.

„აკადემიას" სულ ცოტა დააკლდა ზედიზედ მეორე გამარჯვებამდე. დავით უსტიაშვილი გუნდი მისი კალიბრის ხსუ-ს შეხვდა და ბოლო წამებზე დამარცხდა. ცინცაძეს, „მაკაბისთან" თამაშის არ იყოს, ამჯერადაც შეეძლო მატჩის გმირად გახდომა, მაგრამ გადამწყვეტი სამქულიანი გაუცუდდა და აკადემიელები 2 ქულით დამარცხდნენ სოხუმელებთან. არადა, აკადემიელებმა ყველაფერი ბრწყინვალედ გააკეთეს. მესამე მეოთხედში ათქულიანი ჩამორჩენა აღმოფხვრეს და უკანასკნელი ათწუთეულის წინ დაწინაურდნენ კიდეც, თუმც ბოლოს არ გაუმართლათ და უკვე მერამდენედ წააგეს ბოლო წამებზე.

თსუ — „მაკაბი" კი, როგორც ვთქვით, ერთობ მოსაწყენი იყო. კონკურენტების („ბასკო", სტუ) დამარცხებით გულმოცემული სტუდენტები რომ ამ მატჩს მოიგებდნენ, ეჭვი ალბათ არც მაკაბელებს ეპარებოდათ. თსუ ფრაგმენტ-ფრაგმენტ თამაშობდა მონდომებით. გაიჭრებოდა წინ, მერე კი მოდუნდებოდა და მაკაბელებს წამოწევის შესაძლებლობას აძლევდა. კარგად თამაშობდა ლევან ქარაბაკი, რომელმაც საბოლოოდ 40 ქულა მოაგროვა.

გამოსარჩევი და დასამახსოვრებელი ამ შეხვედრაში მხოლოდ ერთი იყო, რითაც მატჩის ნახევრადმთვლემარე ორმოცდაათიოდე მაცქერალმა გვარიანად იხალისა. საკუთარ კალათში ბურთი შემთხვევით ბევრ კალათბურთელს ჩაუგდია, მაგრამ ეს განზრახ ალბათ არავის გაუკეთებია. ასეთი რამ არც ამ შეხვედრაში მომხდარა, მაგრამ არც არაფერი დააკლდა. მაკაბელ ირაკლი კონჯარიას ალბათ გადაავიწყდა, ტაიმის შემდეგ გუნდები ფარებს რომ ცვლიან და ხადავო გდებისას მოხელთებული ბურთი საკუთარი ფარისკენ გააქანა. მაკაბელი დინჯად შევიდა „მაკაბის" ფარქვეშ და სასროლადაც კი ახტა, თუმც ბოლო წამს გონება გაუნათდა და თავი კომიკურ მდგომარეობაში აღარ ჩააგდო. მერე კი თსუ-ს ფარს მიეძალა და იქაც არაფერი გამოუვიდა, ისევე როგორც დანარჩენ მაკაბელებს.

# სტუდენტებმა დინამოს ორიანი დაუწერეს



დინამოელი არჩილ ძლენტი ლევან ქარაბაკს გასცდა

9 დეკემბერი. ვერის ბაღი

**დინამო 86:88 თსუ**

29:17, 20:20, 21:30, 16:21

დინამო: ძლენტი (10), ნაცვლიშვილი (19), ლეჟანიშვილი (22), მუჰე (8), ოგანესიანი (6); აბრამიძე (4), თორთლაძე (12), სიროვინა (1), მარკოიშვილი (2), ჯაფარიძე (2)

თსუ: მაისურაძე (22), ტურაშვილი (8), ორმოცაძე, კილაძე (5), ქარაბაკი (37); არსიაშვილი, ვეფხვაძე (4), სანიკიძე (2), მიქაძე (10)

მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, მაკა კუპატაძე

კომისარი: მურმან ქურიძე

ასეთი განრისხებული „დინამოს" თავკაცი კარგა ხანია, აღარავის უნახავს. საფინალო სირენის შემდეგ ლევან მოსეშვილმა მოთამაშეთათვის დაფა მთელი ძალით ძირს დაანარცხა. არადა, ის დაფა მანამდე ოდნავ მოხერხებულად რომ გამოეყენებინა, თსუ-ს დამარცხება რთული არ იყო. თუმც ამაზე, ცოტა ქვემოთ...

ალბათ, არც თსუ-ს მწვრთნელი უნახავთ ასეთი გახარებული, „დინამოს" ძლევით აღფრთოვანებული გელა წულაძე პატარა ბავშვივით დარბოდა. ეს გამარჯვება ალალი იყო მასზე...

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდი აღარ ხუმრობს. პირველ წრეში სტუდენტებმა ყველა პრინციპული მატჩი წააგეს და მეორე წრეს ცხრილში მე-4 ადგილზე შეხვდნენ. ახლა კი მისდგნენ ფავორიტებს („დინამო, სტუ, „ბასკო") და ერთმანეთის მიყოლებით დაამარცხეს. დინამოელთა საქმე კი პირიქითაა, ვიცე-ჩემპიონებმა პირველ წრეში ისე იოლად მოინელეს ყველა მეტოქე, უძლეველობის ერთგვარი მითი შეიქმნეს. ამ მითს პირველი ბზარი ორი კვირის წინ „სტუჯეოსელმა" გაუჩინა როცა დინამოელებს პირველი მარცხი აგემა, გუშინ კი თსუ-მ საბოლოოდ დაამსხვრია იგი.

ზემოთ თსუ-ს მწვრთნელი სიხარული ვახსენეთ, თუმც ვინძლო წულაძეზე მეტად თსუ-ს უკანახაზელებმა გაიხარეს. ტურაშვილი, მაისურაძე და მიქაძე წინა ჩემპიონატში „დინამოში" თამაშობდნენ, მაგრამ საახალსეზონო განაცხადში ვერ მოხვდნენ და ძნელი მისახვედრი არაა, როგორ სიამოვნებას მიანიჭებდათ მათ ეს გამარჯვება.

სტუდენტი ირაკლი მაისურაძე კი სულაც მატჩის გმირად შეიძლება შერაცხოს. მისი დამსახურებაა, თსუ-მ პირველ ტაიმშივე რომ არ წააგო თამაში, არადა ყველაფერი აქეთკენ მიდიოდა. დასაწყისში დინამოელი ვლადიმერ ბეჟანიშვილისა და გიგი ნაცვლიშვილის შემჩერებელი თსუ-ელთაგან არავინ მოიძებნა, შედეგად სტუდენტთა ჩამორჩენამ 20 ქულას უწია. მაისურაძემ სწორედ აქ გამოიღო ხელი და მეორე ათწუთეულში მოხვეჭილი 14 ქულით თსუ-ს შანსი შეუნარჩუნა. მატჩის მიწურულს კი „მაისამ" ზედიზედ ჩაუჭრა დინამოელებს, რამაც თსუ-ს მოგება განაპირობა. მართლაც საინტერესოა, როგორ მოახერხეს დინამოელებმა იმ ათქულიანი უპირატესობის გაფლანგვა, რომელიც მათ თამაშის დასრულებამდე 3 წუთით ადრე ჰქონდათ.

ლევან მოსეშვილმა არც მაშინ მისცა შანსი ამ მატჩში უთამაშებელ რევაზ ჩხეიძესა და ზურაბ ჩუბინიძეს, როცა მოედანზე მყოფთაგან თითქმის ყველა დინამოელი გაოგნებული იყო თსუ-ელთა შტურმით.

არ შეიძლება, ლევან ქარაბაკის ჩინებულ თამაშზე, არ ითქვას. ხშირად იყო ეპიზოდები, როცა სტუდენტთაგან მხოლოდ ქარაბაკს შერჩენოდა ქულების მოხვეჭის იმედი-საბოლოოდ მის ანგარიშზე 37 ქულა დაგროვდა.

გარდა იმისა, რომ საფინალო სირენამდე 3 წუთით ადრე 10 ქულას იგებდა, ამ მატჩში „დინამოს" დამარცხება იმიტომაც იყო მოულოდნელი, რომ თითქმის ჯანახევრებული შემადგენლობას ეთამაშებოდა. თსუ-ს ტრამვის გამო ოთხი კალათბურთელი აკლდა და მესამე მეოთხედში მეხუთეც დაუშავდა. ძირითადი ხუთეულის წევრი ვალერი კილაძემ ფეხი იტკინა და მოედანზე ვეღარ დაბრუნდა. თუმც სტუდენტებმა მცირე ხასწაული მოახდინეს და დინამოელთა თითქმის აქედანვე დაბევებულ ჩემპიონობას წყალი შეუყენეს.

7 დეკემბერი. ბათუმი

**ბასკო 84:90 სტუ**

24:31, 21:17, 17:18, 22:24

ბასკო: დ. ბერიშვილი (9), ბაბიაშვილი (28), იამჩუ (1), ნონელია (9), ნიკოლაძე (5), კუშელავა (5), მინაშვილი (2), როდუმტა (6), ლ. შანიძე (7), შენგელია (12)

სტუ: ტულუში (19), ოთიურიძე (10), ლოსაბერიძე (10), ტუჯანი (17), მუშკუდიანი (14), დავითულიანი (12), ახალკაცი (6), მარხვაშვილი (2), გაგნიძე

მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, დავით ბერეკაშვილი

კომისარი: თენგიზ ქიქოძე

7 დეკემბერი. ვერის ბაღი

**მაკაბი 94:111 აკადემია**

23:24, 23:30, 23:28, 25:29

მაკაბი: ი. ბერიშვილი (37), ანდღულაძე (13), ბ. ნოზაძე (8), ფიცხელაური (2), ტატუნაშვილი (4); ნინოშვილი (5), ქოქოსაძე (6), ვაშაკიძე (4), კონჯარია (15)

აკადემია: ცინცაძე (35), ლეჟავა (25), ბექაური (25), ჯანეზაშვილი (13), გვიმრაძე (8), ათანელაშვილი (4); დერიუგინი

მსაჯები: მაკა კუპატაძე, ლია ქაჯაია

**სსუ 53:76 აზოტი**

17:17, 10:15, 14:23, 12:21

სსუ: კანკია (6), ბენდიაშვილი (3), კვაჭაძე, ბ. ქვილითაია (5), აბულაძე (14); ჩიტაშვილი (5), გ. ძლენტი (2), ურიდია, ონიკაშვილი (7), ბარბაქაძე (11)

აზოტი: არწივიძე (7), გოგობერიშვილი (18), ჯიმშელეიშვილი (1), ბერუაშვილი (11), მაჭარაძე (15); გაბისონია (2), გოქსაძე, ლიპარტელიანი (3), დანელიანი, ტყეშელაშვილი (11), კოკოლიშვილი (8)

მსაჯები: ზურაბ აბაშიძე, ზურაბ ანდრიაძე

კომისარი: როლანდ ხომერიკი

8 დეკემბერი. ბათუმი

**ქუთაისი 63:72 სტუ**

15:18, 18:24, 16:9, 14:21

ქუთაისი: ნ. შანიძე (9), ნინუა (5), დოლიძე (9), კვიმსაძე (10), მ. ბოლქვაძე (4), იმნაძე (15), დარაბველიძე (9), პირტახია (2)

სტუ: ტულუში (14), ლოსაბერიძე (14), დავითულიანი (11), გაგნიძე (8), მუშკუდიანი (15), მარხვაშვილი (4), ოთიურიძე (6)

მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, დავით ბერიკაშვილი

კომისარი: თენგიზ ქიქოძე

8 დეკემბერი. ვერის ბაღი

**სსუ 87:83 აკადემია**

25:20, 29:22, 13:26, 20:15

სსუ: ჩიტაშვილი (6), კანკია (19), ბენდიაშვილი (4), ბ. ქვილითაია (17), აბულაძე (26); ონიკაშვილი, ბარბაქაძე (15)

აკადემია: ცინცაძე (29), ლეჟავა (14), ბექაური (13), გვიმრაძე (18), ჯანეზაშვილი (4); გიორგობიანი (3), დერიუგინი (2)

მსაჯები: მაკა კუპატაძე, ზურაბ აბაშიძე

კომისარი: როლანდ გელოვანი

**მაკაბი 94:108 თსუ**

18:28, 32:35, 24:20, 20:25

მაკაბი: ი. ბერიშვილი (14), ანდღულაძე (28), კონჯარია (6), ვაშაკიძე (14), ფიცხელაური (8); ნინოშვილი, ქოქოსაძე (12), ერგემლიძე (2), ტატუნაშვილი (10)

თსუ: მაისურაძე (14), ტურაშვილი (10), ორმოცაძე (5), კილაძე (6), ქარაბაკი (40); არსიაშვილი (2), გამყრელიძე (5), ვეფხვაძე (1), სანიკიძე (7), მიქაძე (18)

მსაჯები: ლია ქაჯაია, ხათუნა გაბედავა

კომისარი: მურმან ქურიძე

8 დეკემბერი. რუსთავი

**აზოტი 72:76 დინამო**

18:19, 27:25, 16:17, 11:15

აზოტი: არწივიძე (17), გაბისონია (2), გოგობერიშვილი (13), ბერუაშვილი (13), მაჭარაძე (15); ტყეშელაშვილი (4), კოკოლიშვილი (3), ჯიმშელეიშვილი (5)

დინამო: თორთლაძე (6), ა. ძლენტი (7), რ. ჩხეიძე (6), ჯაფარიძე (6), სიროვინა (15); აბრამიძე (8), ბეჟანიშვილი (7), ოგანესიანი (9), ნაცვლიშვილი (7), მუჰე (5)

მსაჯები: მაკა კუპატაძე, ზურაბ აბაშიძე

კომისარი: როლანდ ხომერიკი

სატურნირო ვითარება

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| სტუ | 14 | 11 | 3 | +233 | 25 |
| დინამო | 13 | 11 | 2 | +280 | 24 |
| თსუ | 14 | 10 | 4 | +85 | 24 |
| ბასკო | 12 | 9 | 3 | +266 | 21 |
| აზოტი | 13 | 8 | 5 | +6 | 21 |
| მაკაბი | 14 | 4 | 10 | -226 | 18 |
| სსუ | 14 | 3 | 11 | -290 | 17 |
| ქუთაისი | 12 | 3 | 9 | -125 | 15 |
| აკადემია | 14 | 1 | 13 | -229 | 15 |

NBA რეგულარული ჩემპიონატი

# ნაცემი მაიამის ქართველმა საცემრად გაიწია

6 დეკემბერი

**პორტლენდი 88:69 მაიამი**

**პორტლენდი:** ანდერსონი (16), ველსი (17), პიპენი (8), ვოლესი (7), დევისი (11); რენდოლფი (11), სტუდემაიერი (6), პატერსონი (4), მაკინისი (4), საბონისი (2), დანიელსი (2), ვუდსი

**მაიამი:** ბუკერი (2), ჯონსი (1), კ. ბატლერი (6), ალენი (14), გრანტი (4 ქულა, 11 მოხსნა); მაუსი (15), სტეფანია (24 წუთი, 10 ქულა, 8 მოხსნა), ლემბლი (8), ჯეიმსი (5), რ. ბატლერი (4), ელისი

7 დეკემბერი

**სიეტლი 100:71 მაიამი**

**სიეტლი:** პეიტონი (18 ქულა, 11 პასი), ბერი (11), ლუისი (13), ევანსი (5), დროზნიაკი (10); რადმანოვიჩი (19), მეისონი (14), ანდერსონი (6), ბუთი (2), ფორტე (2), სესი

**მაიამი:** ბუკერი (2), ჯონსი (5), კ. ბატლერი (12), ალენი (2), გრანტი (2); რ. ბატლერი (19), მაუსი (14), ჯეიმსი (12), ელისი (2), სტეფანია (14 წუთი, 1 ქულა, 8 მოხსნა, 1 ჩაჭრა, 1 დაფარება), ლემბლი, კარტერი

6 დეკემბერი

**საკრამენტო 98:77 დენვერი**

**საკრამენტო:** ჯექსონი (21), კრისტი (23), ვოლესი (6), ვებერი (17 ქულა, 11 მოხსნა), დივაცი (8); ჯონსი (11), ჯექსონი (6), კლერკი (6)

**დენვერი:** ვიტნი (10), პოუზი (22), ბოუენი, ჰოვარდი (11 ქულა, 10 მოხსნა), პარკი (7); სატერფილდი (10), იარბრო (8), ცქიტიშვილი (17 წუთი, 5 ქულა, 2 მოხსნა, 1 პასი, 1 დაფარება), ჰარინგტონი, ვაიტი

7 დეკემბერი

**დენვერი 92:81 ინდიანა**

**დენვერი:** ვიტნი (23), პოუზი (18), ბოუენი (2), ჰოვარდი (17 ქულა, 10 მოხსნა), ბლუნტი (13); პარკი (9), ლ. ჰარინგტონი (7), ილარიო (3), იარბრო

**ინდიანა:** ტინსლი (7), რ. მილერი (2), არტესტი (19), ონილი (26), ბ. მილერი (15); ა. ჰარინგტონი (6), ბენდერი (6), მერსერი, სტრიკლენდი, კროშერი, ბრუიევი, ფოსტერი

„მაიამის“ მწვრთნელ პატ რაილის თამაშის მსვლელობაში იშვიათად ნახავთ ძელსკამის თავში ჩამომჯდარს. ემოციური კაცია და მატჩის მიმდინარეობისას ისე მღელვარებს, მისი მსაჯებთან კამათი ქანდარაზე 10-დოლარიან ადგილებზე მსხდომთ სიტყვასიტყვით ესმით. „პორტლენდთან“ შეხვედრაში რაილი პირველივე მეოთხედში მიჩუმდა, თავი ხელებში ჩარგო და თამაშს გამოეთიშა, ისე, ცალი თვალით უყურებდა მატჩს და მექანიკურად აკეთებდა შეცვლებს. ის ვერაფერს შეცვლიდა. „მაიამის“ უკვე საწყისი წუთების შემდეგ წაეგო თამაში.

„პორტლენდმა“ თავიდანვე ზუსტი სროლების ზვავში ჩანთქა სტუმრები, რომლებიც ზედიზედ მესამე გასვლას თამაშობდნენ და აშკარად მოღლილები ვერ ახერხებდნენ კარგად დამუშავებული დაცვის აწყობას. ბონზი ველსმა და სხვა პორტლენდელებმა უკვე მეშვიდე წუთისთვის 22:4 ჩამოიტოვეს ფლორიდელები.

სწორედ ამ დროს გამოჩნდა მოედანზე ვლადიმერ სტეფანია. ვოვამ მალიქ ალენი შეცვალა და კარგადაც ჩაერთო თამაშში. მან ერთ შეტევაში სამი ქულა გააჩინა, შემდეგ ორიანიც ჩააგდო და ზედიზედ მონაგრული ხუთი ქულით ანგარიში 9:24 გახადა, მაგრამ მარტო რას გახდებოდა. პორტლენდელებმა მაღალ ქართველს მატჩის სადავეები წაართვეს და თავიანთი საქმე განაგრძეს. მაიამელებმა პირველი მეოთხედი 11:26 წააგეს, პირველი ტაიმი 22:48 და მოგებაზე ფიქრი თავიდან ამოიგდეს.

დაახლოებით ასეთივე რამ დაემართა „მაიამის“ „პორტლენდის“ მეზობელ „სიეტლთან“ შეხვედრისასაც. „სუპერსონიქსმა“, სტეფანიას ძველმა გუნდმა, ახალს 34:12 მოუგო საწყისი მეოთხედი და რაილის შეგირდებმა მწვრთნელიანად ხელი ჩაიქნიეს.

თავად სტეფანიამ ამჯერად მხოლოდ ერთი ქულა ჩაიანგარიშა. შესაძლოა, მეტიც ჩაეგდო, მესამე მეოთხედში მსაჯს თამაშიდან რომ არ გაეგდო — ამ მეოთხედის დასაწყისში ვოვამ სიეტლელებს მათივე ფარზე მოუხსნა ბურთი (იმ დღეს სტეფანიამ მეტოქის ფარზე ბრძოლაში ექვსი ბურთი მოიგო), რითაც მასპინძელთა თავდამსხმელმა რეჯი ევანსმა თავი შეურაცხყოფილად იგრძნო და ქართველს ხელში მწარედ ჩაარტყა. სტეფანიამ მეტოქეს უხეშობა არ შეარჩინა და სამაგიერო გადაუხადა, რისთვისაც მსაჯმა ქართველს ტექნიკური მისცა. სტეფანიას მანამდეც, მეორე ტაიმში, დესმონდ მეისონთან კინკლაობისას მიელო პირველი ტექნიკური, ასე რომ, ევანსზე გაწევა თამაშიდან გავარდნად დაუჯდა. მაიამელებს ალბათ ნაკლებად ანუგეშებთ ის ფაქტი, რომ მსაჯმა ევანსს ორმაგი ტექნიკური მისცა და ისიც გააგდო — იმ დღეს „მაიამის“ კალათს ევანსზე მეტად სხვა სიეტლელები არბევდნენ.

ეს უქმეები შედარებით უკეთ გაიარა მეორე „ქართულმა“ გუნდმა — „დენვერ ნაგიტსმა“ და ერთ წაგებას ერთი (თანაც როგორ გუნდთან) მოგება მოუნაცვლა. ბობოლა დასავლელთან, „საკრამენტოსთან“ 21-ქულიანი მარცხიდან ერთ დღეში „დენვერი“ აღმოსავლეთის ლიდერ „ინდიანას“ დაუდგა და ტოლ-სწორად თამაში შეჰბედა. „დენვერის“ ლიდერებმა — პოუზიმ, ჰოვარდმა და ვიტნიმ როგორც იქნა, ერთდროულად გასწიეს ლიდერობა და დასავლეთში ტურნეზე მყოფ „ინდიანას“ გამარჯვება წაართვეს.



ნიკა ცქიტიშვილს საკრამენტოელი კეონ კლერკი ბურთს ეცილება

„დენვერის“ ქართველ ახალბედას, ნიკა ცქიტიშვილს ამ თამაშში მონაწილეობა წუთითაც არ მიუღია. ამის მიზეზი შესაძლოა წინა თამაშში ბევრი გაფუჭებული სროლა იყოს. „საკრამენტოსთან“ ნიკამ შვიდი სროლიდან მხოლოდ ერთი ჩააგდო, თან სამივე სამქულიანი ააცილა და მწვრთნელმა ჯეფ ბზდელიკმა ამჯერად მთელი 48 წუთით „დაასვენა“, პირველად ნიკას თვენახევრიან კარიერაში.







კობი ბრაიანტი და დირკ ნოვიცკი: იმარჯვებს ის, ვინც ბოლოს აღმართავს ხელს. ეს კობი იყო

# ტეხასელების ჯინაზე: კალიფორნიაში განკეზს კალიფორნიელები ქარცვავენ

6 დეკემბერი

**ლეიკერსი 105:103 დალასი**
**ორლანდო 88:78 ვაშინგტონი**
**ტორონტო 103:89 ჩიკაგო**
**სან ანტონიო 98:93 ფილადელფია**
**ფინიქსი 102:96 ინდიანა**
**იუტა 104:71 მემფისი**
**ნიუ ორლეანი 98:96 ჰიუსტონი**

ძირითადი დრო 84:84
**ბოსტონი 91:80 ნიუ იორკი**

7 დეკემბერი

**ჩიკაგო 112:104 კლივლენდი**
**ატლანტა 94:92 დეტროიტი**
**ნიუ ჯერსი 121:88 ორლანდო**
**მილუოკი 88:94 ნიუ ორლეანი**
**გოლდენ სტეიტი 116:121 დალასი**
**ჰიუსტონი 97:92 ფილადელფია**
**ვაშინგტონი 100:97 ნიუ იორკი**
**კლიპერსი 104:88 მინესოტა**

8 დეკემბერი

**ლეიკერსი 110:101 იუტა**
**მემფისი 102:94 ფინიქსი**
**სან ანტონიო 80:104 საკრამენტო**
**ტორონტო 91:104 პორტლენდი**

ჩემპიონი „ლეიკერსის“ კრიზისი შესაძლოა, „დალასთან“ შეხვედრის ბოლო მეოთხედში დამთავრდა. „დალასს“ ბოლო თორმეტი წლის განმავლობაში „ლეიკერსთან“ 24-ვე სტუმრობა წაეგო და ისე ჩანდა, ახლა უნდა გაეტეხა ნავსი, სამი მეოთხედის შემდეგ 27 ქულით უსწრებდა, მაგრამ „ლეიკერსმა“ სასწაული მოახდინა, 12 წუთში ამხელა დეფიციტი ამოილო და „დალასს“ ამ სეზონში მეორედ აგემა მარცხის სიმწარე. კობი ბრაიანტმა სასწაულები აკეთა. ბოლო მეოთხედამდე მას სულ 6 ქულა მოეგროვებინა, თან მეოთხე 12-წუთეულის დაწყებამდე თითქოს ფეხიც გადაუბრუნდა და მწვრთნელმა ფილ ჯექსონმა სკამზე დასმა დაუპირა, მაგრამ ამან თავისი გაიტანა, მოედანზე დაბრუნდა და დარჩენილ 11 წუთში 21 ქულა ჩააგდო. სხვებიც მისებრ მუშაობდნენ, „ლეიკერსს“ სროლები არ უცუდდებოდა (18-დან 16 ჩაგდება) და ბოლო მეოთხედის 44:15 მოგებით თამაშიც გადაარჩინა.

დალასელები მატჩის დამთავრების შემდეგაც ვერ მოვიდნენ გონზე. „შოკში ვარ“ — ამბობდა მათი ცენტრი რიფ ლაფრენცი. ხოლო ტეხასელთა მწვრთნელმა დონ ნელსონმა თქვა, 40 წელია, ნბა-ში ვარ და ასე არასდროს გავუმწარებივარ წაგებასო.

ბოლო მეოთხედში 27-ქულიანი დეფიციტის ამომღებმა „ლეიკერსმა“ ლამის მოხსნა ნბა-ს ყველა დროის რეკორდი, რომელიც „იუტა ჯაზს“ ეკუთვნის. 1996 წელს „დენვერთან“ შეხვედრის ბოლო მეოთხედში „იუტამ“ 28-ქულიანი ჩამორჩენა „ამოქაჩა“.

„იუტას“ რეკორდი ვერ დაამხო, მაგრამ „ლეიკერსმა“ „დალასის“ დამოკვიდან ორ დღეში თავად „იუტაც“ დასცა და სამარცხვინო სატურნირო მდგომარეობა ოდნავ გამოისწორა. რაკი კობი ბრაიანტმა წინა შეხვედრაში ივაჟკაცა, ახლა შაკილ ონილის ჯერი იყო, „იუტასთან“ ლამის მარტო შებმულმა შაკმაც ჩემპიონებს 32 ქულა გაუჩინა.

ზედიზედ რვა გამარჯვების შემდეგ წაგება დააგემოვნა ალენ აივერსონის „ფილადელფიამ“. „სან ანტონიომ“ ფილადელფიელთა 16 სროლას დააფარა, აქედან ნახევარი ტიმ დანკანის, წინა სეზონის უძვირფასესი მოთამაშის ანგარიშზეა. სამაგიეროდ, დანკანმა ორი დღის შემდეგ კვირას „საკრამენტოსთან“ ვერ ივარგა. მას პირადი დუელი მოუგო საკრამენტოელმა კრის ვებერმა.

ახალ ორლეანში ახლახან გადასახლებულმა „ჰორნეტსმა“ ახალი სახლიდან ახალი სტუმარი „ჰიუსტონ როკიტსი“ გაუშვა ნაწყენი. „რაზნები“ ღლემდე რჩებიან შინ დაუმარცხებელ გუნდად.

მემფისელმა „დათვებმა“ შინ „ფინიქსი“ იმსხვერპლეს და წლევანდელ მონაგარს, ორ გამარჯვებას მესამე წაუმატეს. ასოციაციის მეორე უარესმა გუნდმა „კლივლენდმა“ კი შაბათს „ჩიკაგოსთან“ წააგო. ჩანს, „კავალერია“ თავიდან აპირებს წაგებების ერთმანეთზე აკინძვას და ვინ იცის, როდის ალირსებს ორიოდმუჭა შემორჩენილ ქომაგებს მორიგ გამარჯვებას.

**ირაკლი ფირაშვილი**

| აღმოსავლეთის კონფერენცია | | | |
|---|---|---|---|
| **ატლანტის დივიზიონი** | | | |
| ფილადელფია | 15 | 6 | 71,4 |
| ბოსტონი | 13 | 6 | 68,4 |
| ნიუ ჯერსი | 13 | 7 | 65,0 |
| ორლანდო | 12 | 9 | 57,1 |
| ვაშინგტონი | 9 | 11 | 45,0 |
| ნიუ იორკი | 5 | 13 | 27,8 |
| მაიამი | 5 | 15 | 25,0 |
| **ცენტრალური დივიზიონი** | | | |
| ინდიანა | 15 | 5 | 75,0 |
| ნიუ ორლეანი | 15 | 6 | 71,4 |
| დეტროიტი | 12 | 7 | 63,2 |
| ატლანტა | 10 | 10 | 50,0 |
| მილუოკი | 8 | 11 | 42,1 |
| ტორონტო | 7 | 13 | 35,0 |
| ჩიკაგო | 5 | 15 | 25,0 |
| კლივლენდი | 3 | 18 | 14,3 |
| **დასავლეთის კონფერენცია** | | | |
| **შუა დასავლეთის დივიზიონი** | | | |
| დალასი | 18 | 2 | 90,0 |
| ჰიუსტონი | 11 | 8 | 57,9 |
| სან ანტონიო | 12 | 9 | 57,1 |
| იუტა | 12 | 9 | 57,1 |
| მინესოტა | 11 | 10 | 52,4 |
| დენვერი | 6 | 14 | 30,0 |
| მემფისი | 3 | 18 | 14,3 |
| **წყნარი ოკეანის დივიზიონი** | | | |
| საკრამენტო | 18 | 5 | 78,3 |
| სიეტლი | 11 | 9 | 55,0 |
| ფინიქსი | 10 | 9 | 52,6 |
| პორტლენდი | 9 | 9 | 50,0 |
| ლეიკერსი | 9 | 13 | 40,9 |
| კლიპერსი | 8 | 12 | 40,0 |
| გოლდენ სტეიტი | 7 | 13 | 35,0 |

# ბაბაიების ფინალი

## დათვები ყველას მოერივნენ და ხეზეც ავიდნენ

### საქართველოს ჩემპიონატი

**მცირე ფინალი**

ბათუმი. 7 დეკემბერი. ანგისა

**დათვები 2 15:7 ლოკომოტივი**

**დათვები 2:** სვინტრაძე, დავლაძე, გ. ევგენიძე, ს. ევგენიძე, შავაძე, ჩუბინიძე, ჭ. გიორგაძე, მოლაშხია, გურეშიძე, პაპავა, პარწიკანაშვილი, კიკვიძე, შვანგირაძე, ხაცომია
2ლ: ტექნიკური, შვანგირაძე; 1გ: ს. ევგენიძე; 2ს: ს. ევგენიძე
**ლოკომოტივი:** ასათიანი, გიგაური (ძიძიგური), ო. ელოშვილი, ალანია, აბაშიძე (ხაჩირაშვილი), გუგავა, სამხარაძე, გასვიანი (ქელიძე), მაჭუტაძე, გ. სუჯაშვილი, ბერძენიშვილი (კურცხელიძე), გ. გიორგაძე, თ. სუჯაშვილი (ჯღობია), მაისურაძე, ცხადია.
1ლ: ტექნიკური; 1გ: ხაჩირაშვილი
**მსაჯი: გია ჯავახიშვილი**

საქართველოს ახალი ჩემპიონი ეყოლება და აუცილებლად ბათუმური კლუბი. შაბათს თავსხმა წვიმაში „დათვები 2"-მა მცირე ფინალი მოუგო თბილისის „ლოკომოტივს" და მე-3 ადგილს დააკერა.

„დათვები 2" ფინალში გავიდა, სადაც უფროს ძმას, „დათვებს" შეხვდება. ამათ შეხლაში გაირკვევა საქართველოს ჩემპიონი. ფინალი ბათუმში 14 დეკემბერს გაიმართება.

მიუხედავად სტუმრობისა, ფავორიტი მაინც თბილისის „ლოკომოტივი" იყო. რკინიგზელები ბოლო ორი წელია, საჩემპიონო ტახტიდან არ ჩამოსულან. „დათვები 2" დებიუტანტები კი არიან, მაგრამ თუ შემადგენლობას გადავხედავთ, თითქმის ყველა მორაგბეს უთამაშია უმაღლეს ლიგაში. მეტიც, ზოგიერთი „დათვების" შემადგენლობაში საქართველოს ჩემპიონიც გამხდარა სამი წლის წინ. ამათ დაუმატეთ რაგბიში დაბრუნებული ექსბორჯღალოსანი დევკაცი სოსო პარწიკანაშვილი და რუსეთმოვლილი ალეკო პაპავა.

„ლოკომოტივს" ტრავმის გამო აკლდნენ მთავარმოიერიშეები, გიორგი ბუგიანიშვილი და ნონო ანდღულაძე.

მატჩი მეტად ლუნედ დაიწყო და მხოლოდ მეორე ტაიმის შუაში ჩაიხლართა სიუჟეტი. მანამდე ატალახებულ მოედანზე საინტერესო არაფერი მომხდარა. ნალდი ბრძოლა კი იყო, მაგრამ ანგარიში ტაიმის მიწურულსღა გაიხსნა: ბათუმელმა სულხან ევგენიძემ საჯარიმოთი დააწინაურა თავისიანები.




დათვური დუელი მწვრთნელების დუელიცაა: რამაზ სანებლიძე და ლევან მგელაძე

მეორე ტაიმში მთავარმა მსაჯმა გია ჯავახიშვილმა ორი ტექნიკური ლელო ჩათვალა. პირველი თბილისელებს ჩაუთვალა, რასაც მასპინძელი გულშემატკივრის აღშფოთება და ლუკა ხაჩირაშვილის გარდასახვა მოჰყვა. მეორე ლელო კი ბათუმელებისა იყო. ლელო სულხან ევგენიძემ გარდასახა და ბათუმელები მეორედ და საბოლოოდ დაწინაურდნენ 10:7. ამას გუნდური ჩხუბი მოჰყვა, თუმც მუშტიკრივი მალევე შეწყდა.

ეტყობა, „ლოკომოტივმა" მგზავრობას და ჩხუბს გვარიანი ძალა მიახარჯა და დარჩენილ დროში მატჩის გადასარჩენად არაფერი ვეღარ იღონა. შეხვედრის მიწურულს მასპინძელი შვანგირაძე დაუქრა თბილისელთა მცველებს და საბოლოო ანგარიში დააფიქსირა.

წლევანდელი სეზონი, რომელიც ეგრეთ წოდებული „ავსტრიული სისტემით" იმართება, ბათუმური ფინალით და ორი ალღოიანი და ცნობილი მწვრთნელის დუელით დასრულდება.

ვინ იქნება საქართველოს ახალი ჩემპიონი, ლევან მგელაძის გაწვრთნილი „დათვები" თუ რამაზ სანებლიძის მოთვინიერებული „დათვები 2"? საკითხავი ესღა დარჩა.

**ბაჩო სვანიძე**



# კლიჩკო ლას ვეგასში

## უკრაინელი ძმები ოდისეას იწყებენ



გერმანიაში მცხოვრებმა უკრაინელმა მძიმეწონოსანმა ვლადიმირ კლიჩკომ პირველად იკრივა ლას ვეგასში და დაადასტურა, რომ მძიმე წონაში სერიოზული მეტოქე იქნება ყველასთვის. მან მეათე რაუნდში ტექნიკური ნოკაუტით დაამარცხა ნიუიორკელი ჯამილ მაკლაინი.

კლიჩკო ამერიკაში ჩავიდა იქ არაპოპულარული ორგანიზაციის (ვბო) ჩემპიონად და ეს ტიტული დაიცვა. ჯამილ მაკლაინი ვერაფერი მოკრივეა, უკრაინელმა ათი ნაბრძოლი რაუნდიდან ცხრაში იმარჯვა. ასე დათვალა სამიდან ორმა მსაჯმა.

მეათე რაუნდში კი კლიჩკომ ზედიზედ ორი ცაცია პუკი სცა ამერიკელს, მერე ამოასუნთქა და კიდევ მარჯვენა-მარცხენა მიაყოლა. მაკლაინი ფიცარნაგზე გაგორდა, თუმცაღა მაინც წამოდგა და გონგმა შესვენებაზე გაისტუმრა. ამერიკელის კუთხემ უარი თქვა მის მეთერთმეტე რაუნდში გამოშვებაზე. თავად ვლადიმირ კლიჩკოს კუთხეში კი მწვრთნელთან და მენეჯერთან ერთად იყო მისი ძმა ვიტალი, ორგანიზაციის ყოფილი ჩემპიონი. ახლა სულ მეტს და მეტს უბრობენ ვიტალის სავარაუდო შერკინებაზე ლენოქს ლუისთან, რაიც მარტისთვისაა დაგეგმილი ლონდონში.

ვლადიმირს კი 41 პროფესიული ბრძოლიდან 40 მოუგია, აქედან 37 ნოკაუტით.

ასე რომ, კლიჩკოთა პირველი გამოჩენა ლას ვეგასის განთქმულ დარბაზებში წარმატებით დასრულდა.

**ალბერტ ხაჩატურიშვილი**






REUTERS



### რეგულარული ჩემპიონატი

**6 დეკემბერი**

ვაშინგტონი 7:6 ატლანტა
1:1 2:4 3:1 1:0
კოლორადო 7:6 მონრეალი
2:1 2:4 2:1 1:0
დალასი 3:3 დეტროიტი
0:0 0:1 3:2 0:0
რეინჯერსი 1:4 ბუფალო 1:1 0:2 0:1
სან ხოსე 3:2 კოლუმბუსი 0:1 1:1 2:0
ნიუ ჯერსი 3:1 პიტსბურგი 1:0 1:0 1:1
კაროლინა 0:2 ფლორიდა 0:0 0:1 0:1
ჩიკაგო 3:4 ანაჰაიმი 2:2 1:1 0:1
აილენდერსი 4:2 ტორონტო 1:1 2:0 1:1

**7 დეკემბერი**

ბუფალო 4:3 ვაშინგტონი 1:0 1:2 2:1
ფინიქსი 2:4 მონრეალი 0:3 1:1 1:0
ფლორიდა 0:4 ედმონტონი 0:3 0:0 0:1
ფილადელფია 1:3 სენტ ლუისი
0:2 0:0 1:1
სან ხოსე 2:4 ნეშვილი 1:1 1:1 0:2
პიტსბურგი 3:6 აილენდერსი 2:2 0:2 1:2
ლოსანჯელესი 2:4 კოლუმბუსი 1:1 1:1 0:2
ოტავა 5:2 კაროლინა 2:1 0:1 3:0
ბოსტონი 3:2 ტამპა
0:2 1:0 1:0 1:0
ტორონტო 1:0 ნიუ ჯერსი 1:0 0:0 0:0
ვანკუვერი 2:4 მინესოტა 0:1 2:2 0:1

**8 დეკემბერი**

ანაჰაიმი 3:0 ნეშვილი 1:0 2:0 0:0
ჩიკაგო 3:1 ტამპა 1:0 0:1 2:0
დეტროიტი 4:3 სენტ ლუისი
0:1 2:0 1:2 1:0
ატლანტა 0:3 ედმონტონი 0:0 0:1 0:2
რეინჯერსი 1:4 ბოსტონი 1:0 0:2 0:2



### ევროპის ჩემპიონატი. ქალები

**დანია 6-15 დეკემბერი**

**A ჯგუფი**

რუმინეთი 27:21 ავსტრია
იუგოსლავია 31:28 შვედეთი
შვედეთი 25:30 რუმინეთი
ავსტრია 23:30 იუგოსლავია
რუმინეთი 25:32 იუგოსლავია
ავსტრია 33:26 შვედეთი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| იუგოსლავია | 3 | 0 | 0 | 93:76 | 6 |
| რუმინეთი | 2 | 0 | 1 | 82:78 | 4 |
| ავსტრია | 1 | 0 | 2 | 77:83 | 2 |
| შვედეთი | 0 | 0 | 3 | 79:94 | 0 |

**B ჯგუფი**

საფრანგეთი 25:24 ჰოლანდია
უკრაინა 23:27 დანია
დანია 20:17 საფრანგეთი
ჰოლანდია 26:28 უკრაინა
უკრაინა 21:24 საფრანგეთი
დანია 27:23 ჰოლანდია

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| დანია | 3 | 0 | 0 | 74:63 | 6 |
| საფრანგეთი | 2 | 0 | 1 | 66:65 | 4 |
| უკრაინა | 1 | 0 | 2 | 72:77 | 2 |
| ჰოლანდია | 0 | 0 | 3 | 73:80 | 0 |

**C ჯგუფი**

რუსეთი 25:22 გერმანია
ნორვეგია 25:25 ესპანეთი
გერმანია 18:26 ნორვეგია
ესპანეთი 24:24 რუსეთი
გერმანია 31:27 ესპანეთი
რუსეთი 18:24 ნორვეგია

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ნორვეგია | 2 | 1 | 0 | 75:61 | 5 |
| რუსეთი | 1 | 1 | 1 | 67:70 | 3 |
| გერმანია | 1 | 0 | 2 | 71:78 | 2 |
| ესპანეთი | 0 | 2 | 1 | 76:80 | 2 |

**D ჯგუფი**

ჩეხეთი 25:20 სლოვენია
უნგრეთი 34:23 ბელარუსი
ბელარუსი 19:25 ჩეხეთი
სლოვენია 28:31 უნგრეთი
ბელარუსი 23:27 სლოვენია
უნგრეთი 33:26 ჩეხეთი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| უნგრეთი | 3 | 0 | 0 | 98:77 | 6 |
| ჩეხეთი | 2 | 0 | 1 | 76:72 | 4 |
| სლოვენია | 1 | 0 | 2 | 75:79 | 2 |
| ბელარუსი | 0 | 0 | 3 | 65:86 | 0 |

**ყოველწლიურად**, დეკემბერში, მონაცვლეობით იმართება ქალ ხელბურთელთა მსოფლიოს ან ევროპის ჩემპიონატები. ამჯერად დანიაში კონტინენტის პირველობა მიმდინარეობს.

პირველი ეტაპის შემდეგ ყოველი ჯგუფიდან სამ-სამი საუკეთესო ნაკრები გათამაშების მომდევნო, ასევე ჯგუფურ სტადიაზე გავიდა. გუნდებს ურთიერთშეხვედრების შედეგები გადაჰყვათ.

პირველ მეოთხედფინალურ ჯგუფში არიან იუგოსლაველი (4 ქულა), დანიელი (4), რუმინელი (2), ფრანგი (2), ავსტრიელი (0) და უკრაინელი (0) ხელბურთელები. მეორეში ორ-ორი მოგებით ლიდერობენ ოლიმპიური ჩემპიონი ნორვეგიელები და ევროპის წინა პირველობის ტრიუმფატორი უნგრელები. მსოფლიოს ჩემპიონ რუსებს და ჩეხებს ორ-ორი ქულა აქვთ, გერმანელებსა და სლოვენიელებს — არც ერთი.

გუნდები კიდევ სამ-სამ შეხვედრას გამართავენ, რის შემდეგაც საუკეთესო ოთხეული პლეი ოფის წესით უძლიერესს გამოავლენს.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია:
რედაქტორი გიორგი დარჯანია
გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია აზალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, დავით ბიბილაშვილი, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge